# სარბიელი

სპორტული გაზეთი | შაბათი 23 სექტემბერი 2000 №184 (1206) | ფასი 50 თეთრი


# ამერიკელების ფოკუსი და ქართველების ექსკურსია

## გუშინ ამერიკელებმა ერთი შესაძლებლიდან ორი ოქროს მედალი მოიპოვეს, ქართველებმა კი სიდნეის ოლიმპიური ობიექტები დაათვალიერეს



REUTERS სიდნეიდან

ამერიკელმა მოცურავეებმა ენტონი ირვინმა (მარცხნივ) და გერი ჰოლმა 50 მეტრი თავისუფალი სტილით ერთნაირ დროში გაცურეს და თავიანთ ქვეყანას ერთბაშად ორი ოქრო შემატეს

## გუშინ ოლიმპიური ჩემპიონები გახდნენ

### ცხენოსნობა

სამჭიდი
დევიდ ოკონორი (აშშ)

### მშვილდოსნობა

ვაჟები. გუნდური
კორეა
(იანგ იონგ ჰო, კიმ ჩუნგ ტაე, ოჰ კუო მუნი)

### ბადმინტონი

ქალები
გონგ ჟიჩაო (ჩინეთი)

### მძლეოსნობა

ვაჟები. 20 კმ. სიარული
რობერტ კორჟენიოვსკი (პოლონეთი)
ვაჟები. ბირთვი
არსი ჰარიუ (ფინეთი)

### ცურვა

ვაჟები. 50 მ. თავისუფალი სტილი
ენტონი ირვინი (აშშ)
გერი ჰოლი (აშშ)
ვაჟები. 100 მ. ბატერფლაი
ლარს ფროლანდერი (შვედეთი)
ქალები. 200 მ. გულაღმა
დიანა მოკანუ (რუმინეთი)
ქალები. 800 მ. თავისუფალი სტილი
ბრუკ ბენეტი (აშშ)

### ფარიკაობა

ვაჟები. რაპირა. გუნდური
საფრანგეთი
(ჟან-ნოელ ფერარი, ბრის გიარი, პატრის ლოტელიე, ლიონელ პლუმენელი)

### ბატუტი

ქალები
ირინა კარავაევა (რუსეთი)

### ძალოსნობა

ქალები. მძიმე წონა
დინგ მეი იუანი (ჩინეთი)
ვაჟები. 77 კგ
ჟან სუგანგი (ჩინეთი)

### ძიუდო

ვაჟები. მძიმე წონა
დავიდ დუიე (საფრანგეთი)
ქალები. მძიმე წონა
იუან ჰუა (ჩინეთი)

### მაგიდის ჩოგბურთი

ქალთა წყვილები
ლი ჟუ — ვანგ ნანი (ჩინეთი)

### სროლა

ვაჟები.
პნევმატური შაშხანა მოძრავ სამიზნეებზე
იანგ ლინგი (ჩინეთი)
ქალები. სპორტული პისტოლეტი
მარია გროზდევა (ბულგარეთი)

*ქართველ ოლიმპიელთა ნახევარი, თვრამეტი სპორტსმენი, უკვე დაემშვიდობა თამაშებს. ჯერჯერობით ერთადერთი ბრინჯაოს მედლის ამარა ვრჩებით. სამწუხარო რეალობაა, თუმცა, ბოლომდე გულახდილნი თუ ვიქნებით, ობიექტურად, უკეთესის მოლოდინი არც უნოა გვქონოდა. ეგ არის, კაცი იმედით ცოცხლობს და ეს იმედი მხოლოდ მაშინ გვტოვებს, როცა ბოლო შანსიც დაკარგულია.*

# იმედი ხშირად გვემშვიდობება

ელგუჯა ბერიშვილი

სიდნეიდან



გუშინ ეს შანსი ხელიდან გაუშვა ნინო სალუქვაძემ, ჩვენს ოლიმპიელთა შორის ყველაზე ტიტულიანმა და სახელოვანმა, რომელმაც წლევანდელი სეზონი მეტნაკლები წარმატებით განვლო, მაგრამ უმთავრეს შეჯიბრებაში თავი ვერაფრით გამოიჩინა. კიდევ ერთხელ დადასტურდა, რომ გუშინდელი გამარჯვებები დღევანდელ არგუმენტად ვერ გამოდგება. 679 ქულა და XI-XIV ადგილი — ასეთია სალუქვაძის საბოლოო შედეგი სპორტული პისტოლეტით სროლაში. მედლის მოპოვება კი არა, ფინალურ ეტაპზე გასვლაც გადაულახავ დაბრკოლებად იქცა: „ვიცი, ჩემი იმედი ბევრს ჰქონდა, ხელშეწყობაც არ მომკლებია და ძალიან ვწუხვარ, რომ გულშემატკივრებს სიხარული ვერ მივანიჭე. ვეცადე, თავი არ დამიზოგავს, მაგრამ არაფერი გამოვიდა.“ ხელი მოეცარა ნინო უჩაძესაც, რომელმაც 567 ქულით 33-34-ე ადგილები გაიყო.

სიდნეის სასროლო ცენტრიდან ოლიმპიურ სტადიონზე გადავინაცვლეთ. გუშინ აქ მძლეოსნებს პირველი სტარტები ჰქონდათ, უმთავრესად საკვალიფიკაციო, მაგრამ ტრიბუნაზე ცარიელი ადგილი თითქმის არ დარჩენილა. ადვილი წარმოსადგენია, რა ამბები დატრიალდება ფინალებზე, რომლებიც ქართველთა გარეშე ჩაივლის. ჩვენი სპრინტერების რუსლან რუსიძის და თამარ შანიძის ადრინდელი შედეგები ოპტიმიზმის არანაირ საფუძველს არ იძლეოდა, აქ კი უარესი მოხდა. რუსიძემ 100 მეტრი 10,7 წამში გაირბინა, გარბენში მეშვიდე ადგილი დაიკავა (საერთო ჯამში 71-ე), შანიძემ კი იგივე დისტანციას 12,56 წამი მოანდომა (გარბენში მერვე ადგილი, საერთო ჯამში 67-ე). ასე, წამებში დასრულდა ქართველ მძლეოსანთა ოლიმპიური ოდისეა.

ნაშუადღევს ნანა ნებიერიძის ოლიმპიური დებიუტიც შედგა. სწორედ მან გახსნა 10-მეტრიანი კოშკიდან წყალში მხტომელთა შეჯიბრება და ეს ამბავი დამატებითი ფსიქოლოგიური ტვირთი გამოდგა. ნანამ საბოლოოდ 40 სპორტსმენს შორის 26-ე ადგილი დაიკავა, თუმცა მისი მწვრთნელის იური გუტიაკულოვის განმარტებით, ზედმეტი ნერვიულობა რომ არა, შეეძლო უკეთესადაც გამოსულიყო (ნახევარფინალში 18 საუკეთესო გადიოდა).

ადგილობრივი დროით სამ საათზე მედლების ბოლო კომპლექტისთვის ბრძოლაში ჩაერთვნენ მძიმე წონის ძიუდოისტები. ალექსი დავითაშვილი, მისი ადრინდელი შედეგებიდან გამომდინარე, ფავორიტად ნამდვილად არ ითვლებოდა. ამას უიღბლო კენჭისყრაც დაერთო და ჩვენი ნაკრების მწვრთნელები ერთობ შეფიქრიანებულნი ჩანდნენ. ჩვენი ფალავანი პირველივე წრეში ევროპის სამგზის ჩემპიონ, თურქ სელიმ თათაროღლუსთან დაწყვილდა და იუკოთი დამარცხდა. სამწუხაროდ, ალექსის ბრძოლის გაგრძელების საშუალება არ მიეცა, რადგანაც მეორე წრეში თვით თათაროღლუმ წააგო. მისი მძლეველი ფრანგი დავიდ დუიე მერეც ვერავინ შეაჩერა და მეორედ გახდა ოლიმპიური ჩემპიონი. მან ფინალში მსოფლიოს ორგზის ჩემპიონს, იაპონელი შინიჩ შინოჰარას აჯობა. არადა, დუიე „ჩამოწერილი“ ჰყავდათ და ბოლო მომენტში დაუბრუნდა საფრანგეთის ნაკრებს. აი, რა შეუძლია გამოცდილებას და საჩემპიონო ხასიათს.

ჩემპიონობისა თუ არა, მედლის მოპოვების რეალურ პრეტენდენტად ითვლებოდა ბატუტზე მხტომელი რუსუდან ხოფერიაც. გამოცდილება და ტიტულები ნამდვილად არ აკლია, მსოფლიოს სამგზის ჩემპიონია. სპორტის ეს სახეობა, მოგეხსენებათ, პირველად გამოჩნდა ოლიმპიური თამაშების პროგრამაში და გუშინდელი ტურნირი ისტორიული მნიშვნელობისა იყო. რუსუდანმა ამ ისტორიაში თავისი ადგილი ჯერ კიდევ მაშინ დაიმკვიდრა, როცა მსოფლიოს 12 უძლიერეს მხტომელთა შორის მოხვდა და სიდნეიში გამოსვლის უფლება მოიპოვა.

შეჯიბრება ორ საათში დასრულდა. მონაწილეებმა ჯერ სავალდებულო პროგრამა წარმოადგინეს, შემდეგ — ნებისმიერიც, რასაც ფინალი მოჰყვა. ფინალში რვა სპორტსმენი გავიდა, ხოფერიას მეექვსე შედეგი ჰქონდა, საუკეთესო კი ანა დოლონაძე იყო, რომელიც გერმანიის სახელით გამოდის. წესი ასეთია — საკვალიფიკაციო ხტომების შედეგები ფინალში არ ითვლება, აქ ყველაფერი თავიდან იწყება, შანსები ისევ თანაბრდება. ხოფერიამ ოსტატურად შეასრულა ურთულესი პროგრამა, მაგრამ ბოლო დაშვებისას ძირითად „მოედანს“ აცდა და როგორც სპეციალისტებმა განმარტეს, სულ ცოტა 3,5 ქულა დაკარგა, იმდენი, რაც მესამე ადგილისთვის საკმარისი იქნებოდა (უარესი დაემართა დოლონაძეს — შუა ვარჯიშში, უმძიმესი შეცდომა მოუვიდა და ფინალში ბოლო, მერვე ადგილი ერგო). საბოლოოდ, რუსუდან ხოფერიამ VII ადგილი დაიკავა (34,10 ქულა).

...აი, ასეთი იყო გუშინდელი დღე, რომელმაც სანუგეშო ბევრი ვერაფერი მოგვიტანა, მაგრამ ერთ რამეში კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა: შეიძლება ოლიმპიურ თამაშებში შემთხვევით დამარცხდე, მაგრამ ოლიმპიადას შემთხვევით ვერ მოიგებ.

# ჯანი წავიდა! დარჩა ჯანი?


მია ახალაძის ფოტო

დღეს ჯანი კარნევალი „ბათუმს“ და საქართველოს დატოვებს

**„ბათუმის“** იტალიელ მწვრთნელ ჯანი კარნევალის საქართველოში მუშაობა უკვე ისტორიაა — დღეს ის გუნდს დაემშვიდობება და სამშობლოს მიაშურებს. გუშინ კი „ბათუმის“ ყოფილი მწვრთნელი გუნდს თბილისში ჩამოჰყვა.

სასტუმრო „მესაზღვრეში“ ვნახეთ განმარტოვებული და ჩაფიქრებული, უჟმურ ხასიათზე. კი გვსურდა, ინტერვიუ გვეთხოვა, მაგრამ მისი სახის შემხედვარე...

მერე გავიგეთ, მცხეთაში „ვიტ ჯორჯიას“ წინააღმდეგ მატჩში, „ბათუმს“ წარსულში ცნობილი და სახელოვანი მეკარე, ახლა კი გუნდის ტექნიკური დირექტორი ასლან ბალაძე უმწვრთნელებსო:

„არა, ასე არ იქნება. „ვიტ ჯორჯიასთან“ „ბათუმს“ ოთხი მწვრთნელი ეყოლება, რა თქმა უნდა, დროებით — პრეზიდენტი თემურ ბეჟანიძე, ამირან გოგიტიძე, იური მამინაშვილი და მე. უფლებებიც თანაბარი გვექნება. ასე მხოლოდ მცხეთაში ითამაშებს ჩვენი გუნდი. პირველ ოქტომბრამდე კი ალბათ კარნევალის მემკვიდრე ახალი მწვრთნელის ვინაობასაც გამოვაცხადებთ. ბოდიში, მაგრამ კანდიდატებზე ვერაფერს გეტყვით. ჯობს, ჯერჯერობით საიდუმლოდ დარჩეს. ისე კი „ბათუმის“ მწვრთნელობა მეც შემომთავაზეს, მაგრამ უარი ვთქვი, ვფიქრობ, დღეს ჩემი ტექნიკური დირექტორობა უკეთესი იქნება. შიშით, არ მეშინია, უბრალოდ, ასე ვამჯობინე“ — გვითხრა ასლან ბალაძემ და დაამატა, ალალად ვილაპარაკოთო. ეს თქვა ტექნიკურმა დირექტორმა და ჯანი კარნევალის გუნდიდან წასვლის უმთავრეს მიზეზზე ვკითხეთ. მანაც ალალადვე განგვიცხადა:

„უპირველესი მიზეზი გუნდის ცუდი შედეგი და არასწორი სელექცია გახლდათ, თანაც ჯანი კარნევალის ჯანმრთელობამაც უმტყუნა, კუჭმა შეაწუხა. რასაც ახლა გეტყვით, ჯანისთვის პირშიც მითქვამს. არავინ იფიქროს, გუნდიდან წავიდა და ბალაძე მერელა ალაპარაკდაო. იცით, შარშანდელ სეზონში, ისეთი გუნდი გვყავდა, მეოთხე ადგილზე უმწვრთნელოდაც გავიდოდა.

წარმოიდგინეთ, ბიჭებს შვიდი წელი ერთად ჰქონდათ გატარებული და ერთმანეთისა, რომ იტყვიან, უსიტყვოდ ესმოდათ. მერე ჩემპიონატი დასრულდა და კარნევალიმ 8-10 ფეხბურთელი თავის სურვილით გაუშვა გუნდიდან, აქაოდა, ჩემს მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებთო. არადა, ისინი „ბათუმს“ კიდევ გამოადგებოდნენ. მერე, ისევ თავის სურვილით, გუნდში ის ექვსი ფეხბურთელი მოიყვანა, რომლებზეც დღეს ამდენს ვლაპარაკობთ. ითამაშეს ამ ბიჭებმა რამდენჯერმე და იტალიელმა გუნდის კრება მოიწვია. მეც იქ ვიყავი და ყველაფერი ჩემი ყურით მოვისმინე, ადგა კარნევალი და ქვაჩახიას, ქობულაძეს, ბარქოიას, გაბისონიას, სიდამონიძესა და შენგელიას გამოუცხადა, „ბათუმის“ ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით თქვენ გუნდიდან თავისუფლები ხართო. ბიჭები გაოგნდნენ. ახლა კი მთავარს გეტყვით. კარნევალიმ წინა სეზონში მეოთხეობა იმ 8-10 ფეხბურთელს დააბრალა, რომლებიც გუნდიდან გაუშვა. წლეულს ასეთი წარუმატებელი დასაწყისის გამოც ისევ ფეხბურთელები გამოიყვანა განტევების ვაცებად და ამით თავის გამართლება სცადა. ყოველივე ამას მისადმი დანარჩენი ბიჭების უნდობლობაც დაუმატა და... იტალიელს ბევრი დადებითი თვისება ჰქონდა, მაგრამ უფრო მეტი უარყოფითი“.

კი მაგრამ, ბუნებრივია, ისმის კითხვა, იმ ექვს ფეხბურთელს, რომლებიც ჯანი კარნევალის გუნდიდან დაუთხოვია, რა ეშველებათ? ისინი, როგორც თავად განგვიცხადეს, სასამართლოში ჩივილს აპირებენ და ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი მერაბ ჟორდანიაც საქმის კურსში ჩააყენეს. ექვსეული სამართლიანად ითხოვს კუთვნილ ფულსა და თამაშის უფლებას, ფედერაციის დებულებით კი ჩემპიონატის მიმდინარეობისას გუნდიდან გუნდში გადასვლა აკრძალულია. მაშ, დარჩნენ უფულოდ და უმუშევრად? ასლან ბალაძის პასუხი ასეთია:

„მე მათ გვერდით ვარ და შესაძლებლობისამებრ ყველაფერს გავაკეთებ, ამ ბიჭებს სიმართლე რომ არ დაეკარგოთ. კიდევ ერთხელ ვამბობ, ისინი გუნდიდან მწვრთნელმა გაუშვა და არა ხელმძღვანელებმა“.

ჩვენთან შეხვედრამდე კი ასლან ბალაძე დაკავებული გახლდათ, გუნდის პრეზიდენტ თემურ ბეჟანიძესთან და აქამდე კარნევალის თანაშემწეებთან ერთად ის ფეხბურთელებს შეხვდა. მერე კი, როცა ნახევრად ჩაბნელებულ დერეფანში ბიჭებმა გაიარეს, ნახევარზე მეტი უცნობი სახე დავინახეთ:

„ვიტ ჯორჯიასთან“ სათამაშოდ 20-მდე ფეხბურთელი ჩამოვიყვანეთ. ბიჭები „ბათუმის“ ფარმკლუბ „ბათუმი 2“-დან დავიმატეთ. მთლად ახალგაზრდები არიან, გამოუცდელები. დარწმუნებული ვართ „ვიტ ჯორჯიასთან“ ისინი მთელი ძალით ითამაშებენ. ხომ იცით, ერთი მატჩისთვის მობილიზაცია ყოველთვის ყველას შეუძლია. მცხეთაში არწაგება ჩვენთვის უმნიშვნელოვანესი იქნება, პირველყოვლისა ფსიქოლოგიური თვალსაზრისით. დღეს გუნდი მორყეულია. ბიჭებს თავის რწმენა დაკარგული აქვთ. ახლა კრებაზეც ამაზე ველაპარაკეთ, გავამხნევეთ და ვუთხარით, რომ გუშინდელი დაივიწყონ, ისინი „ბათუმის“ ფეხბურთელები არიან და სწორედ ახლა უნდა დაამტკიცონ, რა შეუძლიათ“.

და ერთიც, ალბათ მოგეხსენებათ, კარნევალის თანაშემწედ ასევე იტალიელი ლუჩო მესინა ჰყავდა და როცა ამის თაობაზე ასლან ბალაძეს ვკითხეთ...

„ლუჩო ბათუმში რჩება და რამდენადაც ვიცი, დიდი ხნით. მას ბათუმელი მეუღლე ჰყავს, ძალიან მოსწონს ჩვენი ქალაქი. ის ალბათ გუნდშიც იმუშავებს“.

აი, ასეთია ბათუმური ახალი ამბები. ეს გუნდი ჩრდილში არასდროს ყოფილა და არც ახლა ეკადრება, რომ ჯგუფში ადგილის შენარჩუნებისთვის იბრძოლოს.

**ბონდო ინასარიძე**

## გერმანია

VI ტური

მიუნხენი 3:1 ფრაიბურგი

0:1 მიულერი (35), 1:1, 2:1 აგოსტინო (75, 85), 3:1 მაქსი (90)

გაძევება: კელი (89, ფრაიბურგი)

### II ბუნდესლიგა

VI ტური

ნიურნბერგი 3:1 დუისბურგი

ულმი 3:1 ზაარბრიუკენი

## თურქეთი

VI ტური

ანკარაგიუჯიუ 1:5 ბეშიქთაში

## ჰოლანდია

VI ტური

აიაქსი 2:0 როზენდალი

## პორტუგალია

V ტური

სალგეიროში 2:1 გიმარაეში

## ავსტრია

XII ტური

რიდი 2:3 გრაცერი

## ბელგია

VII ტური

ანდერლეხტი 5:2 ლიერსი

## შვეიცარია

XII ტური

ქსამაქსი 1:1 ლუცერნი

ციურიხი 5:0 ივერდონი

1:0 ბიულმანი (3), 2:0 ბარტლეტი (41), 3:0 ჯამარაული (45), 4:0 ბარტლეტი (65), 5:0 ჯამარაული (66)

## ინგლისი

### III დივიზიონი

IX ტური

მაკლსფილდი 1:1 დარლინგტონი

## დანია

X ტური

ლიუნგბიუ 1:0 ვიბორგი

## ჩეხეთი

VIII ტური

დრნოვიცე 3:1 ტეპლიცე

## რუსეთი

XXV ტური

ცსკა 4:0 ანჟი

## იტალია

თასის მერვედფინალის საპასუხო მატჩი

ატალანტა 4:2 რომა (1:1)


REUTERS მოუწოდებს

მიუნხენი — ფრაიბურგი 3:1.
მასპინძელი მარტინ მაქსი (№9) და სტუმარი დიარა ბუბაქარი

# საფეხბურთო საქმეს უშიშროება გაარჩევს

**მოულოდნელი** შედეგით დასრულდა „ეროვნული“ სტადიონისა და თბილისის „დინამოს“ პრობლემების შემსწავლელი სახელმწიფო კომისიის მუშაობა. ადრეც ვიუწყებოდით, რომ კომისიის უკლებლივ ყველა წევრმა მოიწონა ჩატარებული კვლევის შედეგები, მაგრამ საბოლოო დასკვნის მიღებისას აზრები ორად გაიყო. ასე თუ ისე, საბოლოო დასკვნა მაინც უნდა მიეღოთ, მაგრამ ნურას უკაცრავად, კომისიამ ადვილი გზა ირჩია, დასკვნის მიღებას გვერდი აუარა და მისმა წევრებმა მხოლოდ იმ მოკვლევას მოაწერეს ხელი, რომელიც ამას წინათ „სარბიელის“ ფურცლებზეც დაიბეჭდა. მოკვლევა თავისთავად ურიგო არ არის, მასში სრული ობიექტურობითაა გაშუქებული სტადიონის, „დინამოსა“ და ზოგადად ქართული ფეხბურთის პრობლემები, და შესაბამისად შეჯამებას, საბოლოო დასკვნასაც საჭიროებს, მაგრამ...

სახელმწიფო კომისიის მიერ ხელმოწერილ მოკვლევას უშიშროების საბჭოს პირველ სხდომაზე განიხილავენ.

**ბაატა ძვანტალიანი**

# ახალკაცი დაბრუნდა

**რაც** ჩემპიონატი დაიწყო, ფოთის „კოლხეთში“ გორელი თავდამსხმელი რომან ახალკაცი არ გამოჩენილა. მას ბრმა ნაწლავი აწუხებდა და ფეხბურთელმაც მოსალოდნელი გართულებაც თავიდან აიცილა, უკვე ორი კვირაა, მშობლიურ გორში ოპერაცია გაიკეთა. რომან ახალკაცი ახლა თავს ჩინებულად გრძნობს და უკვე გუნდთან ერთადაც ვარჯიშობს.

**გიორგი გაბაძიძე**

# გასამდა და შეთხელდა

**„რეგიონალური** ლიგა 2000-2001 წლების XII ჩემპიონატში დაიყოფა ტერიტორიული პრინციპით ორ ზონად: აღმოსავლეთ და დასავლეთ ზონებად. მატჩები ჩატარდება წრიული სისტემით (შინ და გარეთ). რეგიონულ ლიგაში მონაწილეობას მიიღებს 20-20 გუნდი, რომლებიც დააკმაყოფილებენ სფფ-ს მოთხოვნებს. რეგიონული ლიგის ზონების გამარჯვებული გუნდები მომავალ XIII ჩემპიონატში იასპარეზებენ I ლიგაში. მეორე ადგილზე გასული გუნდები ნეიტრალურ მოედანზე (1 მატჩში) შეხვდებიან ერთმანეთს, რომლის გამარჯვებულიც ითამაშებს 1 ლიგაში.“

აი, რა წერია სფფ-ის მიერ შედგენილ-დამტკიცებულ რეგლამენტის 3.5 პუნქტში, მაგრამ დღეს კი შეიძლება ითქვას, რომ ეს ყველაფერი მხოლოდ ფურცელსღა შემორჩა.

გუშინ რეგიონული ლიგის ჩემპიონატი დაიწყო. 34 გუნდიანი პირველობა განსხვავებული სისტემით და რეგლამენტით ჩატარდება. ამის თაობაზე გადაწყვეტილება სფფ-მ გუშინ მიიღო, ბუნებრივია, ზემოთ მოყვანილი პუნქტიც გააუქმა. მიზეზი ალბათ იოლი მისახვედრია. სფფ-მ თამაშის მსურველი 40 გუნდი ვერ მოძებნა, თანაც დასავლეთ ზონიდან მხოლოდ 12-მა განაცხადა თანხმობა რეგიონულ ლიგაში საასპარეზოდ. აღმოსავლეთის 22 გუნდი სფფ-მ ორ ცენტრალურ და აღმოსავლეთ ზონებში გაანაწილა. სამივე ზონის გამარჯვებული პირველი ლიგის საგზურს მოიპოვებს.

აღმოსავლეთ და ცენტრალური ზონების კალენდარი ჯერაც დახვეწას საჭიროებს. ამ ზონებში პირველი ტური ხვალ დაიწყება. რაც შეეხება დასავლეთს, იქ პირველ ტურში კი, რომელიც გუშინ გაიმართა, გუნდები ასე დაწყვილდნენ: სქური — მერცხალი; სამეგრელო — დინამო (სოხუმი); ლაზიკა — მზიური; გურია 2 — ინტერი; კოლხეთი 2 — სულორი; ბათუმი 2 — სალხინო

სფფ-ის გადაწყვეტილებით, რეგიონალური ლიგის პირველობას აღმოსავლეთ და დასავლეთ ზონის რეგიონალური ფედერაციების საორგანიზაციო კომიტეტები უკურატორებენ.

**ბაატა ძვანტალიანი**

*დღეს ფოთის „კოლხეთი" ეროვნული ჩემპიონატის მეექვსე ტურში ბოლნისის „სიონს" მასპინძლობს. ორიოდ დღის წინ ზღვისპირელებმა თავკაცი გამოიცვალეს. გია ტყებუჩავას ნაცვლად გუნდში ძველი მწვრთნელი, სოსო ფილია დაბრუნდა. დღეს ფილიას ხელმეორე დებიუტი ელის, როგორი, ამას მალე შევიტყობთ. გუშინწინდელ „სარბიელში" სოსო ფილიას ცხელ გულზე ნათქვამი შემოგთავაზეთ. წუხელ ბატონ სოსოს კვლავ დავუკავშირდით, ვიცოდით, „კოლხეთის" პრეზიდენტ ჯემალ ინაიშვილთან ჰქონდა შეხვედრა. ცხადია, ინტერვიუც აქედან დავიწყეთ, თუმც მწვრთნელმა საინტერესო სხვაც ბევრი გვითხრა:*

# მომავალი წარსულიდან

## კოლხეთში ისევ ფილია გამეფდა

— პრეზიდენტმა ძალიან გულთბილად მიმიღო. მე ჩემი გეგმა წარვუდგინე, რაზე და როგორ უნდა ვიმუშაოთ სამომავლოდ. მიხარია, რომ ბატონმა ჯემალმა სრული მხარდაჭერა და თანადგომა აღმითქვა.

**— კონკრეტულად რას ითვალისწინებს ეს გეგმა?**

— უპირველესად, იმ ელემენტარული პირობების შექმნას, რაც აუცილებელია მუშაობისთვის. ახლა ეროვნული ნაკრები ლიტვა-იტალიაში მიემგზავრება და გვინდა, ეს საკმაოდ დიდი დრო, ორკვირიანი შუალედი, ნაყოფიერად გამოვიყენოთ. ამ ხნის მანძილზე „კოლხეთი" შეკრებას გაივლის ყვავილნარში, სადაც ძირითადად ფიზიკურ მოლონიერებასა და ტექნიკის დამუშავებაზე გავაკეთებთ აქცენტს. გარდა ამისა, უახლოეს ხანში გერმანიიდან ჩამოგვივა ახალი სათამაშო და სავარჯიშო ფორმის სრული კომპლექტი და ბურთები. შეკვეთა უკვე გავუგზავნეთ. გერმანიაშივე იმყოფება ჩვენი კლუბის ვიცე-პრეზიდენტი თემურ ხოხობაია, რომელიც მოლაპარაკებას აწარმოებდა ერთ-ერთ ფირმასთან და ყველაფერი დადებითად გადაწყდა. დაახლოებით ერთ თვეში „კოლხეთს" ახალი ავტობუსი ეყოლება. ამისათვის საჭირო დაახლოებით 50 000 ამერიკული დოლარი კლუბის პრეზიდენტმა უკვე გამოგვიყო. ერთი სიტყვით, პრეზიდენტთან შეხვედრით ძალიან კმაყოფილი ვარ. ამის შესახებ ფეხბურთელებსაც ვუთხარი და ყველა იმედიანადაა.

**— ამბობდნენ, „კოლხეთს" ფული შემოაკლდა და ფინანსურად გაუჭირდა...**

— ტყუილია. ჯემალ ინაიშვილთან საქმიანმა საუბარმა დამარწმუნა, რომ ჩვენი პრეზიდენტი რეალისტი პიროვნებაა, ოღონდ უნდა დაუსაბუთო, რა არის კერძოდ გუნდისთვის საჭირო. ხელფას-პრემიების, კვების საკითხი პრობლემა არასოდეს ყოფილა და არ მესმის, ვის რაში სჭირდება ასეთი ლაპარაკი.

**— „ტორპედოსთან" გუნდის ბოლო თამაში ნახეთ? იცოდით მაშინ, რომ სულ მალე მწვრთნელად თქვენ უნდა დანიშნულიყავით...**

— ვიდეოფირზე ვნახე, ქუთაისში ჩასვლა ვერ მოვახერხე. „ტორპედოსთან" თამაშამდე ჩემთვის უკვე ცნობილი იყო ყველაფერი, მაგრამ პასუხის გაცემა არ ვიჩქარე, მიუხედავად იმისა რომ, არ დაგიმალავთ, სურვილი დიდი მქონდა. ჯემალ ინაიშვილსაც მადლობა ვუთხარი ნდობისათვის, „კოლხეთის" მწვრთნელობა ჩემთვის ორმაგად საპასუხისმგებლოა. კიდევ ერთხელ ვიმეორებ, ვიცოდი, ჩემს ქალაქს და გუნდს კვლავ დავჭირდებოდი.

**— გია ტყებუჩავასთან როგორი ურთიერთობა გაქვთ?**

— ჩვენ უპირველესად მეგობრები ვართ. როდესაც ცნობილი გახდა, რომ „კოლხეთი" უნდა გამეწვრთნა, იმ დღესვე მასთან შინ მივედი. მეგობრულად მიმიღო, ძალიან გაუხარდა ჩემი დანიშვნა და სურვილიც გამოთქვა, თუ შენ წინააღმდეგი არ იქნები, მხარში ამოგიდგებიო. ცხადია, საწინააღმდეგო არაფერი მქონდა და გია ტყებუჩავაც „კოლხეთის" გუნდის უფროსად დაინიშნა. თანაშემწეები კი, როგორც უკვე იცით, ნუგზარ მიქაბერიძე და მამუკა მიქავა იქნებიან.



სოსო ფილიასეული „კოლხეთის" ყველაზე დიდი სირცხვილი „ცრვენა ზვეზდასთან" ჯამური 0:11 იყო

**— გუნდთან კონტრაქტი გააფორმეთ?**

— არა, ხელშეკრულება არ გაგვიფორმებია. თავად ჩემი მოთხოვნა იყო, ჯერ საქმე გავაკეთო და მერე, თუ კმაყოფილნი იქნებით, კონტრაქტი არსად გაიქცევა-მეთქი.

**— ბატონო სოსო, „ცრვენა ზვეზდას" გაგახსენებთ. იუგოსლავიელებთან განადგურებიდან 6 თვის მერე გაგათავისუფლეს. გული დაგწყდათ?**

— ცხადია, გული დამწყდა. არ მინდა ახლა იმდროინდელი მიზეზების გახსენება. მე შემეძლო და მქონდა კიდეც იმის პოტენციალი, რომ გუნდში კვლავ გამეგრძელებინა ნაყოფიერი მუშაობა.

სრული პასუხისმგებლობით გეუბნებით, რომ „ცრვენა ზვეზდასთან" 0:4 და 0:7 წაგებებში ყველაზე ნაკლები ბრალი მიმიძღვის. შეიძლება გაიკვირვოთ, მაგრამ ასეა. თავის მართლება არ მჩვევია. ბრძნული გამონათქვამია, თამაშს იგებს ფეხბურთელი, აგებს მწვრთნელი, ჩემს წილ პასუხისმგებლობას, ცხადია, ვგრძნობ, მაგრამ მერწმუნეთ, მართალს ვამბობ.

**— აბა, ვინაა დამნაშავე, ვის მიუძღვის ბრალი...**

— არ მინდოდა მეთქვა, მაგრამ იძულებული გამხადეთ. „ცრვენა ზვეზდასთან" თამაშამდე ჩემსა და კლუბის ხელმძღვანელობას შორის ურთიერთობა გამწვავდა, რასაც გუნდის მზადების ჩავარდნა მოჰყვა. არ იყო სათანადო მხარდაჭერა და პირობები. თუმცა ამ კონფლიქტის გაღრმავებაში ნაწილობრივ მეც ვარ დამნაშავე. ემოციური პიროვნება გახლავართ და ალბათ ზედმეტიც მომივიდა. სწორედ ამან განაპირობა, ჩემი აზრით, „ცრვენა ზვეზდასთან" მარცხი. არ გვითამაშია არც ერთი ამხანაგური მატჩი და მოსამზადებელი ციკლი ფაქტობრივად ჩაგვივარდა.

**— ამას წინათ გვითხარით, სხვა გუნდებიც მიწვევდნენო, მარამ მანამდე ფარმ-კლუბის „კოლხეთი 2"-ის მწვრთნელობას დათანხმდით. რატომ მაინცდამაინც ფარმ-კლუბი?**

— სხვა გუნდში რომ მივსულიყავი, უმთავრესი მაინც შედეგი იქნებოდა, ერთი წაფორხილებიც და... კარგი გუნდებიც მიწვევდნენ, საშუალოებიც, ქვედა ლიგის წარმომადგენლებიც, მაგრამ ყველას უარი ვუთხარი. „კოლხეთი 2"-საც ამიტომ დავთანხმდი, რომ ფოთელი კაცი ვარ და ჩემს ქალაქს, ჩემს გუნდს უფრო გამოვადგებოდი. ცხადია, შედეგიც მაინტერესებს. დარწმუნებული ვიყავი, რომ დიდ გუნდში კვლავაც დავჭირდებოდი და ფარმ-კლუბიც ამად ვარჩიე.

**— დღეს „სიონთან" თქვენი ხელახალი დებიუტი გელით, გამოცდილი ფეხბურთელი, ცენტრალური მცველი კახა გოროზია კი დისკვალიფიკაციის გამო არ გეყოლებათ...**

— ამას გეტყვით, გოროზიას თუ კიდევ ერთხელ გააძევებენ, ჩათვალოს, რომ გუნდიდან თავისუფალია. ეს მარტო კახას არ ეხება, ეს სხვებმაც უნდა გაითვალისწინონ.

**— კი მაგრამ, თუ ფეხბურთელმა წითელი ბარათი სათამაშო სიტუაციისას დაიმსახურა?**

— კიდევ ერთხელ ვიმეორებ, ნებისმიერი ფეხბურთელი, გარჩევა არ მჩვევია, განზრახ თუ გააგდებინებს თავს მსაჯს მინდვრიდან, გუნდიდან თავისუფალი იქნება. ჩათვალოს გოროზიამ, რომ ეს მისი ბოლო გაფრთხილებაა. თუ სათამაშო სიტუაციაში გააძევეს, რა, გიჟი ხომ არა ვარ, ვერ გავუგო. მე ვგულისხმობ, განზრახ ქმედებას: მსაჯთან კამათს, მის სიტყვიერ თუ ფიზიკურ შეურაცხყოფას. ჩემთვის უმთავრესი მკაცრი დისციპლინაა, მის გარეშე ნორმალური გუნდი წარმოუდგენელია. „კოლხეთში" რომ მოვედი, ფეხბურთელებს დაუფარავად ვუთხარი, მორჩა თქვენი პარპაში, მე ვარ დიქტატორი, მე ვარ თქვენი მეფე. მინდვრის გარეთ თქვენი მეგობარი ვიქნები, საქმეში კი ყველა მე დამემორჩილებით-მეთქი.

**— „სიონთან" მოგებას გეგმავთ?**

— აუცილებლად, უკანდასახევი გზა არ გვაქვს. ფეხბურთელები მატჩის დაწყებისთანავე მეტოქის კარზე იქნებიან დაგეშილნი.

**გიორგი ვაშაკიძე**

# მოვითხოვთ, ბატონო მერაბ!



ანატოლი მილჩენკო ბრალდებამ ისე აალელვა, ჰალსტუხი მოიხსნა

**ᲐᲘ,** კვლავაც კვირის ფრაზა — თქვენ კორუმპირებული ხართ. ფრაზა, რომელიც ღია ომის გამოცხადების ტოლფასი იყო. „ვიტ ჯორჯიას" პრეზიდენტი გურამ რუხაძე სამსაჯო-საინსპექტორო კომიტეტის წინააღმდეგ.

ერთი შეხედვით უთანასწორო დაპირისპირება, თუმც საბოლოო შედეგს ძნელად იწინასწარმეტყველებს კაცი. გეხსომებათ, ანატოლი მილჩენკომ, ბრალდებული კომიტეტის თავკაცმა, ფაქტობრივად პასუხის გაუცემლად დატოვა სტკ-ს სხდომა. მეორე დღეს „სარბიელმა" მილჩენკოს ამ ბრალდებასთან დაკავშირებით კომენტარის გაკეთება სთხოვა, თუმც ამაოდ. სამსაჯო-საინსპექტორო კომიტეტის თავკაცი დაგვპირდა, ოფიციალურ განცხადებას ვამზადებთ რუხაძის ცილისწამებაზე და ყველაფერი იქ იქნება ნათქვამიო. გუშინ წარმატებით დასრულდა შავოსანთა საპასუხო პეტიციის მომზადების ორდღიანი პროცესი და რედაქციაში სფფ-დან ფაქსი მოვიდა, რომელსაც უცვლელად გთავაზობთ:

„საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტს ბატონ მერაბ ჟორდანიას.

ბატონო მერაბ!

*ა/წლის 20 სექტემბერს სფფ-ის სადისციპლინო კოლეგიის სხდომაზე თბილისის „ვიტ ჯორჯიას" პრეზიდენტმა ბატონმა გურამ რუხაძემ გააკეთა საჯარო განცხადება. სფფ-ის სამსაჯო-საინსპექტორო კომიტეტის თავმჯდომარის ანატოლი მილჩენკოსა და ქვეყნის ჩემპიონატის მომსახურე მსაჯთა და დელეგატთა კორუმპირებულობის შესახებ. ზემოაღნიშნულ განცხადებასთან დაკავშირებით, მოვითხოვთ, რომ ბატონმა გურამ რუხაძემ ა/წლის 1 ოქტომბრამდე სფფ-ის ხელმძღვანელობას წარმოუდგინოს სფფ-ის მსაჯთა კორპუსის კორუმპირებულობის დამადასტურებელი მასალები, წინააღმდეგ შემთხვევაში მოვითხოვთ მოწვეულ იქნას სფფ-ის საგანგებო კომიტეტის სხდომა, ბატონ გურამ რუხაძის მიერ ანატოლი მილჩენკოსა და მისი კოლეგების მიმართ გამოთქმული ცილისმწამებლურ განცხადებასთან დაკავშირებით.*

*მსაჯები: კვარაცხელია, მალაღურაძე, ფანიაშვილი, დოლიძე, ელიკაშვილი, მიქელაძე, ჩიგოგიძე, გაბრიაძე, შილაკაძე, მეშკოვი, მესხი, სამხარაძე, სანაია, ა. შალამბერიძე, ცირდავა, ორდენიძე, ანიაშვილი, ჯვარიძე, კიკაჩეიშვილი, დოგრაშვილი, რუსიშვილი, რაზმაძე, თბილელი. აფხაზეთის მსაჯთა კოლეგია: უჩა დგებუაძე. ს. შალამბერიძე, ზ. ხუციშვილი, კრიჭაშვილი, აფციაური, ურუშაძე, სილაგავა.*

*მსაჯ-ინსპექტორები და კომისრები: მ. ანჯაფარიძე, კ. ყრუაშვილი, მ. კობიაშვილი, ო. გუნთაძე, ჯ. ჯანელიძე, რ. ჩილაჩავა, ე. სილაგავა, ა. ბაჩუკაშვილი, უ. ფურცელაძე, რ. ტალიაშვილი, ჯ. ზეინკლიშვილი, ვ. ელოშვილი".*

აი, ასეთია მსაჯ-ინსპექტორთა კორპუსის განცხადება. უცნაურია, მაგრამ ფაქტია, მას მთავარი გმირი, თავად მილჩენკო არ აწერს ხელს. ყოველ შემთხვევაში სკანდალი გრძელდება, ჯერი გურამ რუხაძეზეა.

**ბაატა ძვანტალიანი**

# ბახულა

*...ლალი ბიჭი იყო მახარე მინდიაშვილი, სიცოცხლითა და სიყვარულით აღსავსე...*

*ფეხბურთს თამაშობდა და ცდილობდა, ყველასთან პირნათელი ყოფილიყო... იყო კიდეც.*

*ორმოცი დღე გასულა და მისი სული საბოლოოდ ტოვებს საყვარელ ოჯახს, ქალაქს, ახლობელ-ნათესავებს.*

*ბახულა ბევრს, ძალიან ბევრს მოენატრება. ბევრს კი კვლავაც საფეხბურთო მინდორზე ეგონება, მეტოქის კარისკენ ჯიქურ დაძრული.*

*რა ხანმოკლეა წუთისოფელი...*



ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს 12 ჩემპიონატი
პირველი წრე
6 ტური

# ძველებურად: ფილიასთან და უჯანოდ

**ახალი** ამბები, სკანდალი და ბრალდებები მოუმზადა ეროვნულმა ჩემპიონატმა გათამაშების მეექვსე ტურს. გაუძლებს თუ არა ქართული ფეხბურთი ამდენ სიდუხჭირეს? უნდა გაუძლოს, სხვა გზა არ არის. ამისთვის ყველა გონს უნდა მოეგოს, ერიც და ბერიც.

სიახლეები გნებავთ? ინებეთ, ბატონო. წავიდა იტალიელი კარნევალი. არა, არა, უფრო მართლები ვიქნებით, თუ ვიტყვით, რომ მიდის. დარჩა „ბათუმი" უმწვრთნელოდ (იმედია, დროებით), შვიდი მომჩივანი ფეხბურთელის (მეშვიდე კლუბის ყოფილი მოთამაშე თარგამაძეა) მუქარით და გაახალგაზრდავებულ-დასუსტებული. ნუ გგონიათ ყველა ჩამოთვლილი სიავე იტალიელის ჩადენილი. კლუბში სულ სხვა მიზეზები დაგროვდა და ადრე თუ გვიან მათაც შევიტყობთ, ოღონდ ეს კარნევალის ველარ მოაბრუნებს.

იქნებ არც არის საჭირო... ვერ გეტყვით, ამას დრო გვიჩვენებს.

ცვლილებებია ფოთშიც. ნებით გადადგა „კოლხეთის" აწ უკვე ყოფილი თავკაცი გია ტყებუჩავა მის ადგილზე მრავალნაცადი სოსო ფილია დაინიშნა. დღეიდან კლუბში არაერთი კოლხყოფილის მიბრუნებას უნდა ველოდეთ.

საშინელი დღე გაუთენდა გუშინწინ სამსაჯო კომიტეტს. დაპირისპირებამ კულმინაციას მიაღწია. ამათ სულ კორუმპირებულები უძახეს, იყო ფიცი-მტკიცი და დავიდარაბა.

გუშინ შედარებით სიმშვიდე სუფევდა საფეხბურთო საქართველოში, ვნახოთ, რა იქნება დღეს.

მეექვსე ტურის ცენტრალური მატჩი თბილისში, „ეროვნულზე" ჩატარდება. თასის მფლობელი ბრინჯაოს პრიზიორის სტუმარ-მასპინძელია.

შეიძლება მოიგოს „ლოკომოტივმა", მაგრამ იგივეს ჩადენა „დინამოსაც" ძალუძს. გამორიცხული არც ფრეა, ამიტომ საბოლოო პროგნოზს ვერ შემოგთავაზებთ. უმჯობესი იქნება, თუ მეტოქეთა ავანჩავანზე მოგახსენებთ.

„დინამოში" მატებაა. სავსებით შესაძლებელია, დღეს ათგზის ჩემპიონთა რიგებში შვეიცარიიდან დაბრუნებული გიორგი ანჩაბაძე ვიხილოთ. ამბობენ, მურთაზ შელიაც გამალებით ემზადებაო. თუ ასე მოხდა, „დინამოს" დაცვა და შუა ხაზი მოძლიერდება და...

„ლოკომოტივს" მცველები ხელიდან ეცლება. სილაგაძე თურქეთშია, მიქაძე — უკრაინაში. მართალია, რევაზ ძოძუაშვილს მათი შემცვლელები ეგულება, მაგრამ სილაგაძითა და მიქაძით „დინამოს" უფრო იმედიანად შეუტევდნენ.

მოკლედ, დღეს „ეროვნულზე" თამაშის ნახვა ნამდვილად ღირს. ორივე, სტუმარიც და მასპინძელიც მოგებას შეეცდება. ამათ სხვა გზა არც დარჩენიათ, ფრე წაგების ტოლფასია.

მცხეთაში დასვენებული და გამოშუშებული „ვიტ ჯორჯია" „ბათუმს" ელის. ერთ კვირაში ზედიზედ მეორედ მოდიან ბათუმელები თბილისში და, ალბათ, ისევ უქულოდ გაბრუნდებიან უკან.

არ გაგაკვირვოთ „არმაზზე" ჯანი კარნევალის ხილვამაც. არც იმან გაგაოცოთ, თუ იტალიელს ბათუმელთა სათადარიგოებთან მოკალათებულს ნახავთ. უბრალოდ, სინიორ ჯანი სამშობლოში თბილისიდან მიემგზავრება და იქნებ ერთხელაც მიხედოს გუნდს, რომელთანაც წელიწადზე მეტი გაუტარებია.

ვინ დარჩა „ბათუმს" გამოცდილი მობურთალი? ამირან მუჯირი, ზურაბ მინდაძე, გელა ქორიძე, ავთანდილ ღლონტი, ზვიად პაპიძე და შალვა აფხაზავა. ექვსი ფეხბურთელი ხუმრობა საქმე როდია და სხვა დროს, სხვა ვითარებაში „ვიტ ჯორჯიას" იქნებ გასჭირვებოდა საქმე, მაგრამ...

მასპინძელთა უპირატესობას ორი მაგალითით დაგისაბუთებთ. ჯერ კიდევ „მორკინალიდან" მოყოლებული და ვეტერინარებით გაგრძელებული „ბათუმს", შინ თუ გარეთ, ამათთან ძნელად თუ გაუხარია. ზემოთ ჩამოთვლილი ექვსეულიდან მუჯირი და ღლონტი ფორმაში ვერ არიან, ქორიძე და აფხაზავა, ფაქტობრივად, ეულად თამაშობენ ნახევარდაცვასა და თავდასხმაში. დაცვაში გამწესებული პაპიძე და მინდაძე კი როდემდე გაუძლებენ მასირებულ შეტევებს. კი მაგრამ, სად არიან სხვები? ისინი თავს არ ზოგავენ, თუმც უმაღლეს ლიგასთან შეგუებას დრო მაინც უნდა.

„ვიტ ჯორჯიას" კი ყიფიანი და გვაზავა დაუბრუნდნენ, მართალია, ერთ-ერთი დროებით, მაგრამ საჭიროების შემთხვევაში ამ ორს გუნდის გაძლიერება შეუძლია. როგორც შევიტყვეთ, საჯაიასაც მოურჩენია მტკივანი ფეხი. ასე რომ, ვეტერინარები მთელი შემადგენლობით ხვდებიან მეტოქეს. მართალია, კლუბის ხელმძღვანელობას სამსაჯო კომიტეტთან ურთიერთობა გაურთულდა, მაგრამ რაკი მსაჯები მცხეთაში წასვლაზე ყაბულს არიან, ესე იგი, ზავი, დროებითი მაინც, გაფორმებულია.



შარშანდელი „ლოკომოტივი" — „დინამო" 1:2. ამ მატჩში მარცხით ლოკომოტიველებმა რჩეულ რვაში მოხვედრის შანსი დაკარგეს თორემ გურამ ასკაროღლის ცემა ხახვივით შერჩათ

| უმაღლესი ლიგა | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № გუნდები | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 ტორპედო | 5 | 5 | 0 | 0 | 9:1 | 8 | 15 | 3 | 3 | 0 | 0 | 5:1 | 4 | 9 | 2 | 2 | 0 | 0 | 4:0 | 4 | 6 |
| 2 ლოკომოტივი | 5 | 4 | 0 | 1 | 14:3 | 11 | 12 | 2 | 1 | 0 | 1 | 6:1 | 5 | 3 | 3 | 3 | 0 | 0 | 8:2 | 6 | 9 |
| 3 ვიტ ჯორჯია | 5 | 3 | 1 | 1 | 9:3 | 6 | 10 | 2 | 1 | 0 | 1 | 1:1 | 0 | 3 | 3 | 2 | 1 | 0 | 8:2 | 6 | 7 |
| 4 დინამო | 5 | 3 | 0 | 2 | 5:5 | 0 | 9 | 2 | 1 | 0 | 1 | 2:3 | -1 | 3 | 3 | 2 | 0 | 1 | 3:2 | 1 | 6 |
| 5 მერანი | 5 | 2 | 2 | 1 | 9:7 | 2 | 8 | 3 | 2 | 1 | 0 | 6:3 | 3 | 7 | 2 | 0 | 1 | 1 | 3:4 | -1 | 1 |
| 6 გორდა | 5 | 2 | 2 | 1 | 8:11 | -3 | 8 | 3 | 2 | 1 | 0 | 6:3 | 3 | 7 | 2 | 0 | 1 | 1 | 2:8 | -6 | 1 |
| 7 დილა | 5 | 2 | 1 | 2 | 6:9 | -3 | 7 | 3 | 1 | 1 | 1 | 4:6 | -2 | 4 | 2 | 1 | 0 | 1 | 2:3 | -1 | 3 |
| 8 ბათუმი | 5 | 2 | 0 | 3 | 6:9 | -3 | 6 | 2 | 2 | 0 | 0 | 5:2 | 3 | 6 | 3 | 0 | 0 | 3 | 1:7 | -6 | 0 |
| 9 თსუ | 5 | 2 | 0 | 3 | 9:12 | -3 | 6 | 3 | 1 | 0 | 2 | 4:7 | -3 | 3 | 2 | 1 | 0 | 1 | 5:5 | 0 | 3 |
| 10 კოლხეთი | 5 | 1 | 0 | 4 | 5:8 | -3 | 3 | 2 | 1 | 0 | 1 | 4:4 | 0 | 3 | 3 | 0 | 0 | 3 | 1:4 | -3 | 0 |
| 11 სიონი | 5 | 1 | 0 | 4 | 4:7 | -3 | 3 | 2 | 0 | 0 | 2 | 2:4 | -2 | 0 | 3 | 1 | 0 | 2 | 2:3 | -1 | 3 |
| 12 იბერია | 5 | 0 | 0 | 5 | 1:10 | -9 | 0 | 3 | 0 | 0 | 3 | 0:5 | -5 | 0 | 2 | 0 | 0 | 2 | 1:5 | -4 | 0 |

თბილისი. „ეროვნული". 23 სექტემბერი. 17 საათი

## ლოკომოტივი — დინამო

მსაჯები: მ. მალაღურაძე; ლ. სილაგავა (ორივე თბილისი), ბ. ბრეგვაძე (ქიათურა); ა. მუშკუდი (თბილისი); სფფ-ის ინსპექტორი: ა. დღურსუნიში
დისკვალიფიცირებული: არავინ

მცხეთა. „არმაზი". 23 სექტემბერი. 17 საათი

## ვიტ ჯორჯია — ბათუმი

მსაჯები: ა. შალამბერიძე; კ. გაბრიაძე, ნ. რუსიშვილი;
პ. დოგრაშვილი (ყველა ქუთაისი); სფფ-ის ინსპექტორი: გ. ფირცხალავა
დისკვალიფიცირებული: არავინ

ფოთი. „ფაზისი". 23 სექტემბერი. 17 საათი

## კოლხეთი — სიონი

მსაჯები: ზ. ანიაშვილი (გორი); ზ. ჯვარიძე, მ. ელიკაშვილი (ორივე თბილისი);
ლ. რაზმაძე (გორი); სფფ-ის ინსპექტორი: ა. მილჩენკო
დისკვალიფიცირებული: გოროზია (კოლხეთი)

გორი. „ცენტრალური". 23 სექტემბერი. 17 საათი

## დილა — ტორპედო

მსაჯები: დ. სანაია; ა. სამხარაძე (ორივე სოხუმი), გ. ცირდავა (გულრიფში);
ა. შილაკაძე (თბილისი); სფფ-ის ინსპექტორი: ბ. ქარქაშაძე
დისკვალიფიცირებული: არავინ

თბილისი. „სინათლე". 23 სექტემბერი. 17 საათი

## მერანი — თსუ

მსაჯები: ს. კვარაცხელია (ზუგდიდი); ლ. მიქელაძე, გ. ჩიგოგიძე (ორივე სამტრედია);
ა. ორდინიძე (ონი); სფფ-ის ინსპექტორი: ნ. კაკულია
დისკვალიფიცირებული: არავინ

ზესტაფონი. „მეტალურგი". 23 სექტემბერი. 17 საათი

## იბერია — გორდა

მსაჯები: ლ. ფანიაშვილი; ვ. ჩოჩიშვილი, ი. შალამბერიძე
ა. კრიჟაშვილი (ყველა თბილისი); სფფ-ის ინსპექტორი: ი. მჭედლიშვილი
დისკვალიფიცირებული: ლაშა სილაგაძე (გორდა)

„კოლხეთმა" ახალი მწვრთნელი მოიყვანა, მაგრამ მოთამაშეებს ჯერჯერობით ვერავინ შეუცვლის. ამისთვის პირველი ეტაპის ბოლომდე მოუწევთ მოცდა. ისევ ძველ კონტიგენტს მართებს თავის გამოჩენა, თუ, რა თქმა უნდა, „სიონმა" მისცა ამის უფლება მათ.

მეტად გაბრაზებულია ბოლნისური გუნდი. „სიონმა" ზედიზედ ორი თამაში წააგო და დღეს ფოთში მეტად აგრესიული იქნება.

მიუხედავად ამისა, უპირატესობას მასპინძლებს ვანიჭებთ. „ფაზისზე", ალბათ, „კოლხეთი" იმარჯვებს. თამაში კი ნახვად ეღირება. ფოთელთა და ბოლნისელთა ორთაბრძოლა მუდამ გამოირჩეოდა დაძაბულობითა და საინტერესო მომენტებით.

ქვეყნის ჩემპიონი და მეთორმეტე პირველობის ლიდერი, ჯერაც ქულადაუკარგავი „ტორპედო", გორში მიდის „დილას" დასამარცხებლად. ქუთაისელებს ადრეც არაერთხელ უმარჯვიათ გორში, მეთერთმეტე ეროვნულის გამარჯვებულის სახელიც ხომ იქ გაიფორმეს. ობიექტურად რომ ვიმსჯელოთ, „ტორპედო" „დილაზე" გაცილებით ძლიერია. სტუმართა ყველა რგოლი თავისუფლად დაუმტკიცებს თავის უპირატესობას მასპინძელთა დაცვა-ნახევარდაცვა-თავდასხმას. ამიტომ გორში „ტორპედოს" გამარჯვებას ვიწინასწარმეტყველებთ.

„დილას" უკანა ხაზის თამაში ბოლო დროს ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს. ხანდახან რომ უტეხნი და უცნაურნი არიან, ამით თუ გამორჩებიან გორელები ქულას, მაგრამ გაჭრის ყოველივე „ტორპედოსთან"? საეჭვოა.

საცოდავი „იბერია". გუშინწინ შუადღეს არავინ იცოდა, სად ითამაშებდა ვითომ სამტრედიული გუნდი. პასუხი ვერც საღამოს მივიღეთ. ვარიანტი ორი იყო — ან ზესტაფონი, ანაც ხაშური. ბოლოს მატჩის ზესტაფონში გამართვა გადაწყდა.

მაქსიმუმი, რასაც „იბერიამ" შეიძლება მიაღწიოს, ფრეა, მაგრამ როგორც გვითხრეს, რუსთაველები სამი ქულის მოპოვებას გეგმავენ და...

იასონ ალადაშვილს კვლავ პრობლემები აქვს თავდასხმაში. ბიძინა ივეჩიანი ჯერაც არ დაბრუნებულა. ლაშა სილაგაძე დისკვალიფიცირებულია. კიტეიშვილისა და კახა ალადაშვილის ნახევარდაცვიდან თავდასხმაში გამწესება შეიძლება, თუმც მწვრთნელი ისევ სიძნელეებს აწყდება, ორივე ფეხბურთელი დაშავებულია. წინა თამაშიც ფეხნატკენებმა ჩაამთავრეს.

სოსო ფრუიძეს კი ისევ ადრინდელი საწუხარი აქვს: მოკლე სათადარიგო სკამი, შეცდომები დაცვაში და ყველაზე მთავარი, ახალგაზრდილი გუნდი საშინაო მატჩებს ნეიტრალურ სტადიონზე ატარებს. ჩათვალეთ, რომ „იბერიას" მეთორმეტე ეროვნულში სულ სტუმრად უწევს ბრძოლა.

ავჭალაში მართლაც კარგი თამაში იქნება. თუ „სინათლეზე" მიბრძანდებით, „მერანი" — თსუ გულს ნამდვილად არ დაგწყვეტთ.

თუ თსუ-მ დაცვაში პრობლემები მოაგვარა, მაშინ ავჭალელებს ბევრი საფიქრალი გაუჩნდებათ. სწრაფია და მობილური სტუდენტთა შუა და წინა ხაზი.

სამაგიეროდ, სერგო გაბელაიას ჰყავს მუხინი, რომელიც ნელ-ნელა შინაურდება საქართველოში. ჰყავს დევაძე, გუბაჯიბე, მოუსვენარი დევიძე და სახიფათო გოდერძიშვილი ჭინჭარაულთან ერთად.

„სინათლეზე" მოთამაშე „მერანს" ყველა გუნდთან უპირატესობა აქვს, ამიტომ თუ პროგნოზზე მიდგება საქმე, ვიტყვით — „მერანი" მოიგებს, ყოველ შემთხვევაში, არ უნდა წააგოს, მით უმეტეს, რომ თსუ-ს ურთიერთშეხვედრებში უკეთესი ბალანსით სჯობნის.

სულ ესაა, რისი თქმაც გვსურდა. ფოთიდან თბილისამდე ნებისმიერი მატჩი აირჩიეთ და დაესწარით. ვერსად იხილავთ თანამედროვე ფეხბურთს, არც ვარსკვლავები გელით სადმე, მაგრამ ქართული ფეხბურთი ქომაგს ითხოვს და ნუ მივატოვებთ, შევუძახოთ მაინც...

**მამუკა ძგანტალიანი**

| ბომბარდირები | |
|---|---|
| 6 - დ. გოდერძიშვილი | მერანი |
| 4 - გ. შენგელია | ლოკომოტივი |
| იონანიძე | ტორპედო |
| 3 - ა. მუჯირი | ბათუმი |
| ფუფუნავა | თსუ |

## უეფას თასი. პირველი ეტაპი
საპასუხო მატჩები. 21 სექტემბერი

UEFA CUP

**ჰერტა 2:0 ზიმბრუ (2:1)**

1:0 ჰარტმანი (23), 2:0 დაეი (26)
ჰერტა: კირალი, ვან ბურიკი (მარკუში 63), ტრეჩოკი, სვერისონი, დაისლერი (ვოში 46), სანე, შმიდტი, მიხალკე, ჰარტმანი, დაეი, ალვეში (პრეეცი 46)
მწვრთნელი: იურგენ რიობერი
ზიმბრუ: რომანენკო, კულიკი, კატინსუსი, ტელესნენკო, ოლექსისი, ბორეცი, გელაზევი, ეპურეანუ, ჩებოტარი, მიტერევი, არხირე
მწვრთნელი: ალექსანდრ სპირიდონი
მსაჯი: ივან დობრინოვი (ბულგარეთი)
23 618 მაყურებელი

**ლაუტერნი 0:1 ბოჰემიანსი (3:1)**

0:1 ქროუ (42)
კაიზერსლაუტერნი: გ. კოხი, რამზი, ჰ. კოხი, შჯრასერი, პეტერსონი, გრამოცისი, ხრისტოვი, კომლიენოვიჩი, რაიხი, ლოკვენცი, ტარე (კლოსე 46)
მწვრთნელი: ოტო რეჰაგელი
ბოჰემიანსი: რასელი, ბოუმენი, ჰოპერი (ოკონორი 58), ჰილი, ვები, მორისონი, ჰანტი, უილიამსონი (ონილი 62), კეფი, ქროუ, ოკიფი
მწვრთნელი: რობი კოლინსი
მსაჯი: ანტი ვუორელა (ფინეთი)
15 000 მაყურებელი

# კაიზერსლაუტერნმა ბოდიში მოიხადა

**ხუთშაბათს** უეფას თასის ორი საპასუხო მატჩი გაიმართა, რომლებიც წესით და რიგით მომავალ ხუთშაბათს უნდა ჩატარებულიყო, მაგრამ კლუბების თხოვნით უეფამ ერთი კვირით ადრე დანიშნა. ორივე შეხვედრაში გერმანული გუნდი მონაწილეობდა. ერთმა მოიგო, მეორემ წააგო, თუმც შემდგომ ეტაპზე ორივე გავიდა.

ბერლინის „ჰერტამ“ მოლდოვის დედაქალაქის „ზიმბრუს“ უმასპინძლა. გერმანელებს სტუმრად 2:1 ჰქონდათ მოგებული. იმ მატჩში „ზიმბრუს“ შემადგენლობაში ორმა ქართველმა ითამაშა — ლადო ახალაია და ლევან გვაზავა შეცვლებზე შევიდნენ, თუმცა თავიანთი გუნდი წაგებისგან ვერ იხსნეს. გუშინწინ ბერლინშიც რომ ეთამაშათ, „ზიმბრუს“ მაინც ვერ გადაარჩენდნენ, რადგან გერმანელებმა სოლიდური მარაგი მატჩის დებიუტშივე შეიქმნეს. მოლდოველთა მწვრთნელმაც, ეტყობა, ვერაფერს გავხდებიო, იფიქრა და შეცვლებსაც მოერიდა.

სტადიონზე მისულმა მცირერიცხოვანმა მაყურებელმა პირველად 23-ე წუთზე გაიხარა, როცა მცველთა ცუდად მოგერიებული ბურთი ჰარტმანმა მიიღო და 18 მეტრიდან ძლიერი დარტყმით დალაშქრა რომანენკოს კარი. სამ წუთში კი ანგარიში 2:0-იც გახდა: დაისლერის ჩაწოდებული მცველებმა ვერ გამოიტანეს და ირანელმა ალი დაეიმ ახლოდან თავით გაიტანა.

გოლებამდე რამდენიმე წუთით ადრე სტუმრებს დაწინაურება შეეძლოთ, მაგრამ არხირემ ათიოდე მეტრიდან ძელს გაარტყა ბურთი. იგივე 36-ე წუთზე განმეორდა, ამჯერად მიტერევის დარტყმის შემდეგ.

მასპინძლები მეორე ნახევარში ფლობდნენ უპირატესობას, მაგრამ აშკარა იყო, ძალებს ზოგავდნენ. ბურთს წყნარად ათამაშებდნენ და ერთიორჯერ დაისჯებოდნენ კიდეც, სტუმრებს ბოლო მომენტში რომ ემარჯვათ. რამდენიმე გოლს „ზიმბრუც“ გადაურჩა.

„ცუდი თამაში იყო. მთავარია, ძალების მაქსიმალური დაზოგვით გავიმარჯვეთ. ძირითადი ამოცანა იყო, პირველი გოლი არ გაგვეშვა, ამას შეიძლება სხვა უსიამოვნებები მოჰყოლოდა“ — აღნიშნა „ჰერტას“ თავკაცმა იურგენ რიობერმა ნამატჩევს. მისმა მოლდოველმა კოლეგამ, ალექსანდრ სპირიდონმა კი თავისი გუნდით კმაყოფილება გამოთქვა.

ირლანდიურ „ბოჰემიანსთან“ სტუმრად 3:1 გამარჯვებით დაარხეინებულმა „კაიზერსლაუტერნმა“ საპასუხო მატჩში 0:1 წააგო. მართალია, გერმანელები მეტოქეს აშკარად სჯობდნენ, მომენტებიც ბევრად მეტი შექმნეს, მაგრამ ვერ გამოიყენეს. დუბლინელებმა კი პირველივე სახიფათო შეტევისას ივარგეს: უილიამსონის პასით კროუმ გაიტანა. კროუმ იგივე მეორე ნახევარშიც გაიმეორა, მაგრამ მსაჯმა, თამაშგარე იყოო, გოლი არ ჩათვალა.

„რაც გუნდში ვარ, ასე საზიზღრად არ გვითამაშია. იმ 15 ათას ქომაგს, რომლებიც დღეს ტრიბუნებზე ისხდნენ, პირადად ვუხდი ბოდიშს. პირველი მატჩის შედეგმა ფეხბურთელებზე უარყოფითად იმოქმედა. ბიჭები კი გავაფრთხილე, ყურადღება არ მოადუნოთმეთქი, მაგრამ ამან არ გაჭრა“ — თქვა მატჩის შემდეგ „კაიზერსლაუტერნის“ უკმაყოფილო თავკაცმა ოტო რეჰაგელმა.

**ვანო ოქროპირიძე**




REUTERS

ჰერტა — ზიმბრუ 2:1. თამაში და ბერლინის ოლიმპიური სტადიონის ერთ-ერთი ტრიბუნის რემონტი პარალელურად მიმდინარეობდა

# ...და რა შუაშია მათიას ზამერი?

## კრისტოფ დაუმს დამცველები გამოუჩნდნენ



კრისტოფ დაუმი

1:4 შტუტგარტში, 0:2 მოსკოვში „სპარტაკთან“, 1:2 შინ როსტოკის „ჰანზასთან“, მეცხრე ადგილი ბუნდესლიგაში (ხუთი ტურის შემდეგ) და ბოლო ჩემპიონთა ლიგაში (პირველი ტურის შემდეგ) — ასეთი იყო გერმანიის შარშანდელი ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორის, ლევერკუზენის „ბაიერის“ შედეგი შინაურ თუ გარეულ ასპარეზზე ოთხშაბათამდე. ჰოდა, ახლა თავად განსაჯეთ, რა კრიტიკის ქარცეცხლი დაატყდებოდა კლუბის თავკაც კრისტოფ დაუმს, რომელმაც მომავალი წლის 1 ივნისიდან გერმანიის ეროვნული ნაკრები უნდა ჩაიბაროს.

მწვრთნელობა ძალიან უმადური პროფესიაა. არ გჯერათ?

„ვინ არის კრისტოფ დაუმი?“, „გვჭირდება ჩვენ კიდევ კრისტოფ დაუმი?“, „უკეთესი იქნება, თუ ფეხბურთის მამები გადაწყვეტილებას შეცვლიან“ — აი, ასეთი სათაურებით გამოდიან უკვე გერმანული გაზეთები, რომლებმაც ორიოდე თვის წინ „ლევერკუზენის“ მთავარი მწვრთნელი ცაში აიყვანეს და ხოტბა-დიდება არ მოაკლეს, მესიადაც კი შერაცხეს. „ევროპის ჩემპიონატზე დაუმი რომ გვყოლოდა, უეჭველია, ბევრად უკეთეს შედეგს მივაღწევდით. ახლა კი მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ქვეჯგუფში ინგლისის ძლევა თუ გვინდა, ნაკრები მას უნდა ჩავაბაროთ“ — „კიკერმა“ ეროვნული გუნდის თავკაცად ლევერკუზენელის დანიშვნა მაშინ კატეგორიულად მოითხოვა.

ერთი სიტყვით, კრისტოფ დაუმის ერთ დროს კაშკაშა ვასკვლავი აგერ უკვე თითქმის ერთი თვეა, ნელ-ნელა ფერმკრთალდება და მალე ეგებ სულაც ჩაქრეს.

გასულ კვირაში, ჩემპიონთა ლიგის მატჩში „სპარტაკთან“ წაგების შემდეგ სამშობლოში დაბრუნებულმა ლევერკუზენელმა ფეხბურთელებმა მწვრთნელი გააკრიტიკეს.

„დაუმი ნამდვილი პროფესიონალი და კარგი მწვრთნელია, მაგრამ ბოლო დროს ძალიან შეიცვალა. თითქოს პირში წყალი აქვს ჩაგუბებული, ჩვენთან საუბარს ერიდება. გვგონია, რომ გამუდმებით ნაკრებზე ფიქრობს, მისი აზრები თავის და ეროვნული გუნდის მომავალს უკავშირდება“ — განუცხადა კარსტენ რამელომ გაზეთ „ველტს.“

მწვრთნელს შეგირდებმა სასელექციო მუშაობაც დაუწუნეს. „სეზონის წინ ყველა გუნდი გაძლიერებაზე ფიქრობს, ჩვენ კი სერიოზული მიზნები დაგვისახეს და დაგვასუსტეს — ბრაზილიელი ემერსონი „რომაში“ გაუშვეს, შტეფან ბაინლიხი „ჰერტაში“. ორივე ძალიან დიდი ძალა იყო გუნდისთვის. მათი შემცვლელების მოძებნაზე კი არავის უზრუნია“ — უკმაყოფილოა „ლევერკუზენის“ ლიდერი ულფ კირსტენიც, რომელსაც ტრავმის გამო ბოლო მატჩებში არ უთამაშია. კირსტენი ერთი მხრივ მართალიცაა: „ბაიერის“ ხელმძღვანელობამ სეზონის წინ ჩემპიონობა და ევროტურნირებზე კარგი თამაში ამოიჭრა გულში, ამ დროს კი ფაქტობრივად ორი ლიდერი გაუშვა. ისე, იტალიურ „რომაში“ გადასვლის შემდეგ ბრაზილიელმა ემერსონმაც ამოიდგა ენა. „მივხვდი, რომ შარშან რასაც მივაღწიეთ, მაქსიმუმი იყო. ლევერკუზენში ველარაფერს მოვიგებდი, მე კი ამბიციური კაცი ვარ და მწვერვალების დაპყრობა მიყვარს. „რომაში“ ამის გაკეთება სავსებით შესაძლებელია“ — გაამხილა გერმანიიდან წასვლის ალბათ მხოლოდ ერთ-ერთი მიზეზი ემერსონმა.

მოსკოვში მარცხსა და ფეხბურთელთა კრიტიკას შედეგად ბუნდესლიგის ჩემპიონატში შინ აუტსაიდერ „ჰანზასთან“ სენსაციური მარცხი მოჰყვა და... დაუმის კლუბიდან გაშვებაზეც ალაპარაკდნენ. ნაკრებზე ხომ საუბარიც ზედმეტია. „ვგონებთ დროა, კალმუნდმა ახალი მწვრთნელი ეძებოს. დაუმი გუნდს ველარ ერგება, რა აზრი აქვს მის იქ ყოფნას“ — წერს „ზიდი“. სხვაც ბევრი ითქვა, ამგვარი.

სამშაბათს „ლევერკუზენმა“ ჩემპიონთა ლიგის მეორე ტურში პორტუგალიურ „სპორტინგს“ უმასპინძლა. ამ მატჩზე, ფაქტობრივად, დაუმის ბედი ეკიდა. თამაშის წინ მწვრთნელმა გუნდი შეკრიბა და თათბირი ჩაუტარა. კრების შემდეგ დაუმი იმედიანი ჩანდა, მაგრამ დაიწყო მატჩი და... მე-12 წუთზე გერმანელ მწვრთნელს ელდა ეცა — ანდრე კრუზმა პირდაპირ კუთხურიდან გაუტანა მასპინძლებს. დაუმი მსაჯის საფინალო სასტვენის შემდეგღა მოფერიანდა. „ლევერკუზენმა“ თამაშის შემოტრიალება შეძლო და 3:2 მოიგო.

...და დაუმს მომხრეებიც გამოუჩნდნენ. ყველაზე მნიშვნელოვანი კი მწვრთნელისთვის რაიმონდ კალმუნდისა და გერმანიის საფეხბურთო კავშირის ვიცე-პრეზიდენტის, ფრანც ბეკენბაუერის მხარდაჭერაა.

„მოგვბეზრდა ამდენი დავა და კრიტიკის მოსმენა. ყველას დიდ პატივს ვცემთ, ქომაგებსაც და მასმედიასაც, მაგრამ ასე არ შეიძლება. რამდენიმე კვირის წინ ამ კაცს აღმერთებდნენ, სამი მატჩი წააგო და ლანძღავენ. ხომ ნახეთ, „სპორტინგთან“ გუნდმა რა კარგად ითამაშა. ამ ჩავარდნას თავი რომ დააღწიოს და მომდევნო შეხვედრებში თავისი შესაძლებლობები გამოამჟღავნოს, მერე რაღას იტყვიან ისინი, ვინც დაუმს ახლა ასე უდიერად იხსიენებს? — თქვა კლუბის პრეზიდენტმა კალმუნდმა და იქვე დაამატა — მთელი გუნდი განერვიულებულია. ბოლო დროს გერმანულ ფეხბურთში სხვა სალაპარაკო აღარაა, სულ „ლევერკუზენზე“ საუბრობენ, რამაც გუნდზე უარყოფითად იმოქმედა. ყველა დაძაბული და აღელვებული იყო. პორტუგალიური კლუბის დამარცხებით ბიჭები გონზე მოვიდნენ, ალბათ, ამ კოშმარს მალე დაივიწყებენ. ჩვენ გვჯერა დაუმის. მისი ხელმძღვანელობით ბევრს მივაღწიეთ და იმედია, მომავალში უფრო მეტს მივაღწევთ.“

ფრანც ბეკენბაუერს, კალმუნდისგან განსხვავებით, ამდენი არ უსაუბრია, მხოლოდ ერთი წინადადება თქვა, მაგრამ უაღრესად მნიშვნელოვანი. „კრისტოფი კარგი კი არა, ძალიან კარგი მწვრთნელია“ — აღნიშნა „კაიზერ ფრანცმა“, რომელსაც ნაკრების მწვრთნელის დანიშვნაში არცთუ მოკრძალებული სიტყვა ეთქმის.

რა იქნება მომავალში, არავინ იცის. კრისტოფ დაუმი ჯერჯერობით „ლევერკუზენს“ წვრთნის და ეროვნულ ნაკრებზეც ფიქრობს, რომელსაც უკვე გაფორმებული კონტრაქტის მიხედვით, სათავეში 2001 წლის 1 ივნისიდან უნდა ჩაუდგეს. მაგრამ ეროვნულ გუნდში ახლა რუდი ფიოლერია, რომლის ხელმძღვანელობითაც ნაკრები ჩინებულად ათამაშდა. გერმანელებიც მის დატოვებას ითხოვენ.

თვით „ბაიერნის“ ამჟამად დაშავებულმა ლიდერმა შტეფან ეფენბერგმაც, ნაკრებში თამაშს რომ უარობს, ფიოლერის მხარე დაიჭირა. უკეთესი იქნება, თუ ეროვნულ გუნდს მომავალშიც რუდი გაწვრთნისო, აღნიშნა „ეფემ“ „კიკერისთვის“ მიცემულ ინტერვიუში.

მოგება და წაგება რომ ძმები არიან, კარგად მოგეხსენებათ. მარცხისგან დაზღვეული არავინაა, თვით რუდი ფიოლერის გერმანიის ნაკრებიც კი, რომელსაც 7 ოქტომბერს „უემბლიზე“ დიდი გამოცდა ელის — მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში „უემბლიზე“ სტუმრობს. ეს ბოლო მატჩია ძველ „უემბლიზე“. წარმოგიდგენიათ, რა ხდება ინგლისში, სადაც ამ მოვლენაზე დასასწრები ყველა ბილეთი თვეზე მეტია, გაყიდულია?

და რა მოხდება, ინგლისელებმა რომ მოიგონ? ნუ გაგიკვირდებათ, თუ გერმანულ გაზეთებში ასეთ რამეს წაიკითხავთ: „ჰერ დაუმ, დაბრძანდით ბოლოს და ბოლოს ამ სავარძელზე!“ და ხელი ნაკრების თავკაცის სკამისკენ გაიშვირონ. ეს შეიძლება ივნისში მოხდეს, სამომავლოდ კი ახალი კაცი შეგულებულია: კულუარებში გაკვრით უკვე მათიას ზამერს ახსენებენ.

**ვანო ოქროპირიძე**

# ძაკერონი ბრაზობს

**ჩემპიონთა** ლიგაში „ელანდ როუდზე“ წაგებამ „მილანის“ თავკაცი ალბერტო ძაკერონი განარისხა. მან ზოგიერთ თავის შეგირდს უსაყვედურა კიდეც: „ყველამ უნდა იგრძნოს, რომ „მილანში“ თამაშობს. დიდხანს ფიქრი არ დამჭირდება და ზოგიერთ ფეხბურთელს სასტარტო შემადგენლობიდან ამოვაგდებ.“ მისი აზრით, იორკშირში წაგება მარტო მეკარე დიდას ფატალური შეცდომის ბრალი როდია. ყველაფერი იმ თამაშის შედეგია, რაც მილანურმა კლუბმა მთელი 90 წუთის მანძილზე აჩვენა. უფრო აგრესიულად უნდა გვეთამაშა — დასძინა ძაკერონიმ.

ბრიტანეთში მარცხის შემდეგ მილანის სიამაყე შინ დაბრუნდა და ვარჯიში ჩვეული რიტმით გააგრძელა. მილანელოს ბაზაზე ძაკერონი ახლა შემდეგი მეტოქის, „ბარსელონას“ დამარცხების გეგმებს აწყობს. რამდენიმე ფეხბურთელმა ლიგსური მატჩის შემდეგ დაისვენა. დანარჩენებმა და სათადარიგო მოთამაშეებმა მწვრთნელის თანდასწრებით ივარჯიშეს. ბაზიდან გამოსული ხმებით, ძაკერონი ზოგიერთ მისგანვე მივიწყებულ ფეხბურთელს გულმოდგინედ აკვირდებოდა. ერთ-ერთი მათგანი ანდრეს გულია. არგენტინელი ძირითადში მუდმივად ვერ ხვდება. მართალია, „ლიდსთან“ ითამაშა, მაგრამ მერე დე აშენტისით შეცვალეს. „გული ბოლო ხანს ძალიან მონდომებულია და კარგადაც თამაშობს. ლიდსში მას ვენდე და ვფიქრობ, მომავალში კიდევ მეტად ვენდობი“ — განმარტა მწვრთნელმა.

ფინალამდე ჯერ შორია, ლიგის მთავარი მატჩი კი, მოგეხსენებათ, „სან სიროზეა“ დაგეგმილი. პირველი ორი ტურის შემდეგ რომელ გუნდს აქვს იქ თამაშის შანსიო, დაინტერესდნენ ჟურნალისტები. ძაკერონიმ უპასუხა: „იქამდე დიდი დროა, მანამდე ბევრი რამ შეიცვლება. „ბარსელონა“, „ლაციო“, „მანჩესტერ იუნაიტედი“ და მიუნხენის „ბაიერნი“ ძლიერი გუნდები არიან. ისინი ყველაფერს ილონებენ, რათა გაზაფხულის ბოლო თვეს „სან სიროზე“ ითამაშონ.“

არ გაკვირვებთ, რომ ძაკერონის ჩამოთვლილ გუნდთა შორის „რეალი“ ვერ მოხვდა? არადა, თასის ამჟამინდელი მფლობელი არ უნდა იყოს ისეთი სუსტი, რომ მის ყურადღებას არ იმსახურებდეს. თუმცა მწვრთნელებს რას გაუგებ... რადგან მადრიდული კლუბი ვახსენეთ, რედონდოზეც ვთქვათ. „სამეფო კლუბის“ ყოფილი მოთამაშე „მილანმა“ იგდო ხელთ, მაგრამ არგენტინელი ახლა ვერ თამაშობს, დაშავებულია. ამბობენ, მინდორზე რომ გამოჩნდება, ფლორენტინო პერესს თავს კიდევ შეახსენებს და აფიქრებინებს, ასეთი მოთამაშე „რეალიდან“ როგორ გავუშვიო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ინგლისი

**პრემიერლიგის** წინა ტურში „სტემფორდ ბრიჯზე" „ჩელსი" „ლესტერთან" დამარცხდა. ლონდონელთა ახალი მწვრთნელი კლაუდიო რანიერი მაშინ ტრიბუნაზე იჯდა და ის მარცხიც უფრო მის თანაშემწეებს მიეწერათ. ამჯერად სხვაგვარად იქნება. მოგეხსენებათ, გულშემატკივარი შედეგს დაუყოვნებლივ ითხოვს და მწვრთნელი რომ გუნდის საქმეებში ჯერ ბოლომდე არ გარკვეულა, ამას არად აგდებს.

გაუჭირდება რანიერს. ვინმე სუსტი მეტოქე მაინც რგებოდა, მაგრამ ბედი არ გინდა? ეგრევე „მანჩესტერ იუნაიტედს" ეჯახება, თან „ოლდ ტრეფორდზე", თუმცა... აბა, ერთი წუთით წარმოვიდგინოთ, რა მოხდება, „ჩელსიმ" სერ ალექსის გაწვრთნილებს მათსავე ტერიტორიაზე რომ მოუგოს. ძნელი წარმოსადგენია? გეთანხმებით. მაგრამ არსებობს რამდენიმე სტატისტიკური მონაცემიც, „ჩელსის" შანსებს მთლად უიმედოდ რომ არ წარმოაჩენს.

პირველი: პრემიერლიგელთა შორის არავის მოაქვს მანჩესტერიდან იმდენი ქულა, რამდენიც „ჩელსის". „ოლდ ტრეფორდზე" გამართული ბოლო რვა შეხვედრიდან ლონდონელებმა ორი მოიგეს, ოთხი ფრედ ითამაშეს და ორიც წააგეს.

მეორე: „ჩელსი" — „მანჩესტერის" ჯერჯერობით ბოლო შეხვედრა „ჩერითი შილდად" წოდებული ინგლისის სუპერთასის დასაუფლებლად ჯანლუკა ვიალის ნაშეგირდალთა გამარჯვებით დასრულდა.

მესამე: წინა სეზონში, მართალია, „სტემფორდ ბრიჯზე", მაგრამ „ჩელსიმ" მეტოქე პირწმინდად გაანადგურა — 5:0.

ზემოთქმულ მონაცემებს ერთი, ეგებ უხეირო არგუმენტიც დავუმატოთ: ახალი ცოცხი კარგად გვისო, ამბობს ანდაზა და ვინ იცის, იქნებ მართლაც ასეა. თუმცა რამდენი არგუმენტიც არ უნდა ჰქონდეს „ჩელსის", „მანჩესტერს" თავისი ფავორიტობის დასამტკიცებლად ერთი ისეთი საბუთი აქვს, ქვას გახეთქავს: ის „მანჩესტერ იუნაიტედია" — მრისხანე გუნდი, თანაც შინ თამაშობს.

არა და არ ეღირსათ დერბელ ქომაგებს შვებით ამოსუნთქვა. წინა სეზონი იყო და სულ იმის შიშით იყვნენ, ვაითუ, გავვარდეთო. გადარჩნენ. დაიწყო ახალი სეზონი და იგივე მეორდება.

რაღაც უცნაური ამბავია ქინქლაძის გუნდის თავს. ოცგუნდიან პრემიერლიგაში მხოლოდ ლიდერ „მანჩესტერს" გაუტანია „დერბიზე" მეტი გოლი. აი, თუნდაც "ლესტერი" ავიღოთ. „ცხვრებზე" ორჯერ ნაკლები გააქვს და მეორე ადგილზე მოკალათებულა, ესენი კი... განა ლოგიკურია, გუნდს ყოველ შეხვედრაში საშუალოდ ორი გოლი გაჰქონდეს და ჯერაც (ექვსი ტურის მერე) მოგებათა გრაფა ცარიელი ჰქონდეს? კი, ლოგიკურია, თუ იმასაც ვიტყვით, რომ „დერბი" გაშვებულ გოლებში ანტირეკორდსმენია, ასე რომ...

ამ ტურში „დერბი" მასპინძლობს „ლიდს იუნაიტედს". ამ თამაშამდე დევიდ ოლირის გუნდმა „მილანს" სძლია და მაშინ ერთადერთი გოლის გამტანი (დიდას არ ვგულისხმობთ) ლი ბოიერი ამჯერად დერბელი მეკარის პოომის საიმედოობას შეამოწმებს. კვლავაც საეჭვოა ლიდსელთა კაპიტან ლუკას რადებეს გამოჩენა, თუმცა მასზე ამბობენ, ტრავმა უკვე მოიშუშაო. „დერბის" სირცხვილი აქვს ჩამოსარეცხი. სირცხვილია, აბა, რა, როცა ლიგის თასზე შინ „ვესტ ბრომვიჩ ალბიონთან" აგებ. ჰოდა, აი, ბურთი და მოედანი. მაგრამ „ჩელსისა" არ იყოს, როგორი საქმეა „ლიდსის" დამარცხება.

„ლიდსის" დამმარცხებელი ვინ არისო, ვთქვით. ვინ და „იფსვიჩი". პრემიერლიგაში ახალდაბრუნებული გუნდი ბობოლებს რისხვად მოევლინა: წინა ტურში, „ლიდსთან" მოგებამდე, „მანჩესტერს" ფრედ ეთამაშა. ახლა მეტოქედ „ვესტ ჰემი" ჰყავს — ლიგის აუტსაიდერი.

„ჩაქუჩებმა" სეზონი ერთობ ცუდად დაიწყეს. ერთი საოცარი განცხადებაც მათმა მწვრთნელმა ჰარი რედნაპმა ამ დღეებში გააკეთა. მაფიოზური ენით რომ ვთქვათ, „ლიდსმა" „ვესტ ჰემს" ისეთი გარიგება შესთავაზა, რომელზეც ამ უკანასკნელს უარი ვერ უნდა ეთქვა: დამითმეთ რიო ფერდინანდი და გადაგიხდით 15 მილიონ გირვანქას. ამხელა თანხა წლეულს არცერთ ინგლისურ გუნდს არ გაუღია ფეხბურთელის სანაცვლოდ. და როგორ მოიქცა ჰარი რედნაპი? ლიდსელებს ერთი სიტყვა შეუთვალა — არა. ჰოდა, ვნახოთ. ეგებ ასეთი დაფასების შემდეგ რიო ფერდინანდმა არავინ გააჭაჭანოს „ვესტ ჰემის" კარის სიახლოვეს, მისმა მეგობრებმა კი ერთი-ორი გაიტანონ და ლონდონურ კლუბს პირველი გამარჯვება ეღირსოს.

**გიორგი დარჯანია**

## ესპანეთი

პრიმერადივიზიონის კალენდრის შედგენისას ბილბაოელები დაიჩაგრნენ. აბა, როგორი საქმეა, ჩემპიონატის სტარტზევე მიყოლებით ეთამაშო „დეპორტივოს", „ბარსელონასა" და „რეალს". ამას დავუმატოთ, რომ სეზონისწინა სატრანსფერო ციებ-ცხელებას ბასკები ტრადიციულად გულგრილად ხვდებიან, რაკი ადათი გუნდში უცხოტომელთა მიწვევას უკრძალავთ.

მაგრამ დაიწყო ჩემპიონატი და ირკვევა, რომ ფრანსისკო ჩიჩი როხოს საწუწუნოც ბევრი არაფერი აქვს. მართალია, „ატლეტიკი" პირველ ტურში ჩემპიონ „დეპორტივოსთან" დამარცხდა, სამაგიეროდ, მეორეში „ბარსელონას" ძლევით (თან 0:1 აგებდა) ქომაგებსაც აამა და პრიმერადივიზიონის პირველი სენსაციაც გააზერხა. ახლა „რეალია" „სანტიაგო ბერნაბეუზე".

ორი ფაქტორის გათვალისწინებით, ბასკები „სამეფო კლუბთან" გასაჯიბრებლად უკეთეს დროს ვერც ინატრებდნენ. ერთი ის, რომ ჩემპიონთა ლიგის ტურის შემდეგ „რეალი" შინაურ პირველობაზე ტრადიციულად ძალიან ცუდად თამაშობს. მით უმეტეს, თუ გავიხსენებთ რამხელა ჯაფა დაადგათ მადრიდელებს „სპარტაკთან" მატჩისას. მეორეც — რა ხანია ტრავმირებულ ფერნანდო მორიენტესს ხუთიოდე დღის წინ რაული შეემატა, ხოლო რუსებთან ბრძოლაში ხოსე მარია გუტიერესი და ალბერტ სელადესიც დაშავდნენ. მართლაც, მეტი რა უნდა ინატროს ბასკურმა გუნდმა, რომელსაც ხოსება ეჩებერია, ისმაელ ურსაისი და იულენ გერერო — ნაკრების სამი წევრი — საუკეთესო ფორმაში ჰყავს? ბილბაოელებს „რეალთან" მატჩში მხოლოდ ხოსე ურუტია დააკლდებათ. ის წინა ტურში რივალდოსთან უხეშობისთვის გააძევეს.

წინა სეზონში დაიწყო და ახლაც აგრძელებს ტრადიციას „ბარსელონა". რაღაც ძალიან დაეჩვივნენ კატალონიელები სამ-სამი ბურთის გაშვებას ზედიზედ სამ თამაშში. ჯერჯერობით ორი თამაში წააგო სერა ფერერის გუნდმა და ახლა „რასინგს" ხვდება, რომლისგანაც სამი გოლის გაშვება და საერთოდ წაგება გამორიცხულიაო, იტყვით. ნამდვილად ძნელად წარმოსადგენი გახლავთ, მაგრამ გამორიცხული არაფერია. აი, წინა სეზონში „მალიორკასთან" და „ჩელსისთან" მარცხის შემდეგ „ბარსელონას" მესამე შეხვედრაშიც 0:3 წაგებას წარმოვიდგენდით? მაგრამ წააგო. თან ვისთან? „ოვიედოსთან", ასე რომ... თუმცა „ბარსელონას" ჩავარდნაში ერთი დამაიმედებელი რამ მაინც ჩანს: წინა სეზონში „ბარსამ" ბრწყინვალედ დაიწყო თამაში და ბოლოსკენ აურია. ახლა თუ პირიქით მოხდა, მაის-ივნისში მის ბედს ძაღლი არ დაჰყეფს.

ვერაფერი გუნდია „ნუმანსია", თუმცა სორიაში სათამაშოდ ჩასულ ვალენსიელებს ალბათ მაინც გაუჭირდებათ. მიზეზი ტრავმებია. ჩემპიონთა ლიგაში „ჰერენვენთან" დიდიე დეშამპის დაშავებაზე გუშინ ვწერდით. იმავე მატჩში მცირე ტრავმა მიიღო კილი გონსალესმაც და ექტორ რაულ კუპერი თანამემამულეს „ნუმანსიასთან" არ ათამაშებს.


**იურიდიული და საადვოკატო მომსახურება შეღავათიან ფასად. ფირმების რეგისტრაცია სწრაფად და იაფად**

*მარჯანიშვილის ქუჩა №5; II სართული; ოთახი №228*

ტელეფონი: 95 53 20; 62 56 52 (საღამოს)


# მიყვარს №12 და მომწონს ვან ბასტენი

**საოცარი თამაშის შემდეგ ტიერი ანრი ინტერვიუზე დათანხმდა. მისმა „არსენალმა" სულ რამდენიმე საათის წინ ჩემპიონთა ლიგაში უკრაინული „შახტარი" 3:2 დაამარცხა, თანაც ლონდონელები მშობლიურ „ჰაიბერიზე" 0:2-ს აგებდნენ. ისე მოხდა, რომ ფრანგმა პირველი ტაიმის ბოლოს პენალტი ვერ გაიტანა, თუმცა მისმა თანამემამულე სილვენ ვილტორდმა იყოჩაღა და ერთი ბურთი უმალ გაქვითა. მერე იყო კიოუნი და მისი გმირობა. ამაზე თავად ანრი გვიამბობს.**



**— „შახტართან" მატჩში მართლაც დიდი სამუშაო შეასრულეთ...**

— პირველ ტაიმში ჩვენი თამაშით კმაყოფილი არ ვარ. მეტოქეს ორი გოლი გავატანინეთ, თუმცა, საბედნიეროდ, ტაიმის მიწურულს ვილტორდმა მაინც მოახერხა ერთი ბურთის გაქვითვა. მაშინ ვიგრძენი, რომ მოგება შეგვეძლო. მეორე ნახევარში მეტოქე ოდნავ დაშინებული მეჩვენა — ჩვენმა ზეგავლენამ აშკარად დააფრთხო. თანაც მთელი მეორე ტაიმი ათი კაცით ჩაატარეს. ისინი შედეგის შენარჩუნებას ცდილობდნენ, მაგრამ მაინც დავჯაბნეთ. იყო მომენტები, როცა უკრაინელები თავიანთი საჯარიმოდან ბურთს უგზოუკვლოდ იგერიებდნენ.

**— მატჩის გმირი მარტინ კიოუნი გახდა. ვეტერანმა გუნდი იხსნა და „ჰაიბერის" ოვაციები მოისწყვიტა. არც მოთამაშეები დაგვიანებდნენ მილოცვებს...**

— კიოუნი მართლაც იმ დღის გმირი იყო. მისმა ორმა გოლმა გუნდი წაგებას გადაარჩინა. „არსენალის" მებრძოლი ხასიათი სწორედ მარტინის თამაშში გამოიხატა, იგი ხომ ინგლისელია... თუმცა ბოლო წუთებამდე ბრძოლას ყველა არსენალელი შეჩვეულია.

**— გსიამოვნებთ, ჩემპიონთა ლიგის საშინაო მატჩებს „ჰაიბერიზე" რომ ატარებთ?**

— ამას ჩვენთვის მართლაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს. განსხვავება საგრძნობია. „შახტართან" „უემბლიზე" რომ გვეთამაშა და მატჩი ისევე წარუმატებლად დაგვეწყო, მეტოქეზე ასეთი ზეწოლა ეგებ ვეღარც მოგვეხდინა. „უემბლის" მინდორი გაცილებით დიდი აქვს. „შახტარს" შესაძლებლობა ექნებოდა, ბურთი უფრო მეტ ხანს ეკონტროლებინა, ეს კი ჩვენ ორმაგად გაგვირთულებდა საქმეს. „ჰაიბერი" პატარაა, მაღალი ტემპის შენარჩუნება აქ უფრო ადვილია. უდიდეს როლს ასრულებენ გულშემატკივრებიც.

**— პეტის და ოვერმარსის გარეშე „არსენალს" რაღაც აკლია. ამას ალბათ მოთამაშეები მეტად გრძნობთ.**

— პეტისა და ვიეირას ნახევარდაცვის წყვილი მსოფლიოში უდავოდ ერთ-ერთი უძლიერესი იყო. ოვერმარსიც ძალიან ძლიერად თამაშობდა. საწყენია, ორი წამყვანი ფეხბურთელი რომ გავუშვით, თუმცა ვცდილობთ, ეს გუნდს არ დაეტყოს, ვახერხებთ კიდეც.

**— როგორ ეგუებით, რომ უფრო ხშირად გამოკვეთილი ფორვარდის პოზიციაზე გათამაშებენ?**

— თავიდან ცენტრფორვარდად დავიწყე თამაში, მერე ნელ-ნელა ფრთაზე დავიხიე. შევეჩვიე და მერჩივნა, ხელსაყრელ პოზიციაში მყოფი თავდამსხმელი პასებით მომემარაგებინა. ხანდახან ხდებოდა, თავად უკეთეს სიტუაციაში ვიყავი, მაგრამ მაინც გადაცემას ვაკეთებდი. ერთხანს თავდაჯერებულობა დავკარგე, რაც ფორვარდისთვის აუცილებელია. როცა „მონაკოში" ვთამაშობდი, 16 წლის ვიყავი და მაშინ ცუდი ცენტრალური თავდამსხმელი გახლდით. რამდენიმე წელიწადს ასე გაგრძელდა. კარის სიახლოვეს ბურთით მყოფს გოლის გატანაში ალღო მეხმარებოდა.

**— „არსენალში" თავიდან თუ გაგიჭირდათ?**

— დიახ, ოდნავ. მეტ შანსს ვაფუჭებდი და ნაკლებს ვიტანდი. რთული იყო, მაგრამ უკან პატრიკ ვიეირა მედგა, რომელიც ყოველთვის მეხმარებოდა. ნელ-ნელა ყველაფერი გაადვილდა, ძველი თავდაჯერებულობა დავიბრუნე. ახლაც მახსოვს „დერბისთან" მატჩი, 0:1-ს ვაგებდით და ორი გოლის გატანა მე შევძელი. მერე ყველაფერი საპირისპიროდ შეტრიალდა. თითქოს მძიმე ტვირთი მომხსნესო.

**— გოლების გატანა მსოფლიოში უადვილესი სამუშაოა?**

— არამც და არამც. ფორვარდობა და მეკარეობა ყველაზე რთულია. გოლკიპერის შეცდომა გოლის ტოლფასია, ხოლო როცა თავდამსხმელი ზედიზედ სამ-ოთხ თამაშში ვერ გაიტანს, მერე თავისი თავის რწმენასაც კარგავს. ხალხიც სულ მასზე ლაპარაკობს. ბედნიერებაა, რომ ახლა გაწბილებისა და მედგაცრუების საბაბი არ მაქვს. თანაც არსენ ვენგერს ვენდობი. ვიცი, რომ თუ თავდასხმაში გამამწესებს, არ შეცდება. ჩემი კარიერა მის პროფესიონალიზმზეა დამოკიდებული.

**— თქვენი მისაბაძი ფეხბურთელია...**

— მარკო ვან ბასტენი. იგი ჩემთვის ნამდვილი იდეალია. მის პატივსაცემად საფრანგეთის ნაკრებში ნომერ 12 მაისურით ვთამაშობ. ძალიან მომწონდა „არსენალში" მოასპარეზე იან რაიტიც. მას განსაკუთრებული თავდაჯერებულობა ახასიათებდა. ვცდილობ, ასეთ დიდ ფორვარდებს ყოველთვის მივბაძო. ახლა ნიკოლა ანელკას ვაფასებ. ის ნაკრებში ჩემი თანაგუნდელია. მწამს, რაც არ უნდა მოხდეს, იგი „არსენალის" ისტორიაშიც შევა.

**— მართალია, რომ „არსენალის" ახალგაზრდული გუნდის ფანი ხართ?**

— შარშან ასოციაციის თასის ახალგაზრდული გუნდების ფინალს დავესწარი. „მეთოფეები" „მიდლსბროს" შეხვდნენ. თამაში ძალიან მომეწონა. დიდი დრო არ გასულა, რაც „მონაკოს" ახალგაზრდული გუნდი დავტოვე. კლუბების რეზერვების ტურნირზე საფრანგეთში ვთამაშობდი. აქაური ახალგაზრდული თასის გათამაშების მსგავსი შეჯიბრი იყო, „გამზარდელას" უწოდებდნენ. დავიდ ტრეზეგესთან ერთად ვთამაშობდი. მახსოვს, ლილიან ტურამი მოდიოდა ჩვენი თამაშების სანახავად. ამას რომ გავიგებდით, გვეამაყებოდა. დიახ, ახალგაზრდობის თამაშის ყურება დიდ სიამოვნებას მანიჭებს. როგორც კი დროს გამოვნახავ, გული იქეთ მიმიწევს.

**თარგმნა ნიკა შუგლაძემ**

### ფეხბურთის რუკასთან

**ფრანგი** ფორვარდი კაბა დიავარა „ვესტ ჰემმა" სეზონის ბოლომდე ინათხოვრა. ლონდონური კლუბის ერთბაშად რამდენიმე ფეხბურთელი ახლა ტრავმირებულია. დაშავებულნი არიან პაოლო დი კანიო და ფრედი კანუ, დავორ შუკერს კი საზარდულის ტრავმა აწუხებს. დიავარა ბოლოს „ბლექბერნში" თამაშობდა. პირველდივიზიონელთა რიგებში 24 წლის ფეხბურთელმა 6 შეხვედრა ჩაატარა და ერთი გოლი გაიტანა. ფრანგი შარშან „არსენალშიც" ასპარეზობდა, თუმცა 13 მატჩში ერთხელაც ვერ გამოიჩინა თავი.



**თურქ ოქთაი დერელიოღლუს „ლას პალმასი" ერთი კვირის ხელფასს არ გადაუხდის. ფორვარდმა ხელმძღვანელთა დაუკითხავად ორჯერ გააცდინა ვარჯიში, რისთვისაც ხუთშაბათამდეა დისკვალიფიცირებული. თურქი ესპანურ კლუბში სეზონის დასაწყისში „ბეშიქთაშიდან" გადავიდა.**

**არგენტინელი** თავდამსხმელის კილი გონსალესის ხელში ჩაგდებას „ინტერი" და „ფიორენტინა" ცდილობენ, თუმცა „ვალენსია" მის გაყიდვას არ აპირებს. მილანური კლუბი თანახმაა, არგენტინელი დროებით ინათხოვროს და სანაცვლოდ 7,3 მილიონი გირვანქა გადაიხადოს. შეგახსენებთ, რომ კილიმ ჩემპიონთა ლიგის მეორე ტურში „ჰერენვენს" ერთადერთი და გამარჯვების გოლი გაუტანა.

**ზამბიელ ფეხბურთელებს მვაპე მიტის და ენდრიუ ტემბოს ეროვნულ გუნდში თამაში აღარ სურთ. ეს ნაკრების თავკაცმა იან ბროუერმა გაამხილა, თუმცა მეტი არაფერი დაუზუსტებია. ეს ორი ფეხბურთელი დანიურ „ოდენსეში" თამაშობს. ისინი მწვრთნელმა ამხანაგური მატჩისთვის გამოიძახა გუნდში, თუმცა ამაოდ.**

## ქართველები სიდნეის ოლიმპიურ თამაშებზე Sydney 2000

22 სექტემბერი

**ძიუდო:** ალექსი დავითაშვილი (მძიმე წონა) — პირველ წრეში დამარცხდა თურქ სელიმ თათაროღლუსთან. **წყალში ხტომა:** ნანა ნებიერიძე (10 მ კოშკი) — წინასწარ ხტომებში დაიკავა 26-ე ადგილი და ნახევარფინალში ვერ მოხვდა. **სროლა:** ნინო სალუქვაძე (სპორტული პისტოლეტი) — მე-11 ადგილი; ნინო უჩაძე (სპორტული პისტოლეტი) — 33-ე ადგილი. **მძლეოსნობა:** თამარ შანიძე (100 მ) — წინასწარ გარბენში დაიკავა 67-ე ადგილი და მომდევნო წრეში ვერ გავიდა; რუსლან რუსიძე (100 მ) — წინასწარ გარბენში დაიკავა 71-ე ადგილი და მომდევნო წრეში ვერ გავიდა. **ბატუტი:** რუსუდან ხოფერია — მე-7 ადგილი

# ბულგარელ ძალოსნებს მედლები წაართვეს და ოლიმპიადიდან გააძევეს

**22 სექტემბერს** ბულგარეთის ძალოსანთა ნაკრებს სამწუხარო განაჩენი გამოუტანეს. შესაბამისად, თუ გუშინდელ „სარბიელს" მეათე გვერდზე გადაშლით და წერილში „ბულგარული დოპინგის სკანდალი გაფართოვდა" ზმნებს მომავლიდან წარსულ დროში გადაიყვანთ, ჩათვალეთ, რომ ძირითადი ინფორმაცია უკვე მიიღეთ, ჩვენ კი ერთხელაც დავაკონკრეტებთ: ბულგარელი ძალოსნები ოლიმპიადიდან ერთიანად გააძევეს, ოქროს მედალი ჩამოერთვა იზაბელა დრაგნევას, ვერცხლისა — ივან ივანოვს, ბრინჯაოსი — სევდალინ მინჩევს. მთლიანად ბულგარული ძალოსნობა ერთწლიანი დისკვალიფიკაციით დაისაჯა. რაც შეეხება 50 ათას დოლარს: ბალკანელებს ანტისადოპინგე ფონდში მისი შეტანა აღარ მოუწევთ. ეს იმ შემთხვევაში იქნებოდა საჭირო, თუ მათ რუმინელებივით დატოვებდნენ ოლიმპიადაზე. და აი, ორი უმთავრესი კითხვა: რატომ მოექცნენ ბულგარეთის მეზობელზე სასტიკად და რაბედი ელით იმ ძალოსნებს, რომელთაც მედლები უკვე ჩამოიკიდეს და არც უპატიოსნო საქციელში შეუნიშნავთ? პირველ კითხვას პასუხობს მსოფლიო ძალოსნობის ფედერაციის გენერალური მდივანი, ტამაშ აიანი: „რუმინელები ადრე აღებული სინჯების ტესტებით ვამხილეთ, ბულგარელები კი ზედ ოლიმპიადაზე, რაც სხვადასხვა სიტუაციებია". მეორე კითხვის პასუხს იმავე ორგანიზაციის ვიცე-პრეზიდენტი სემ კოფა გვაძლევს. „სხვა ბულგარელთა შედეგები ძალაში რჩება — კოფა გალაბინ ბოევსკისა და გეორგი მარკოვს გულისხმობს, რომელთა მედლები და პირველის მსოფლიო რეკორდი სკანდალზე ერთი დღით ადრეული ამბავია — მათ მედლები და რეკორდი შეუნარჩუნდებათ". დასჯილები დაგვიანებით თავს იმართლებენ. გაირკვა: ათლეტები ბულგარეთში საკვების დანამატად თურმე ორაზეტანს ღებულობდნენ, რომელიც აკრძალულ ნივთიერებათა სიაში არ შედის და ტესტის შედეგებიც იქნებ იქიდან მომდინარეობდეს, მაგრამ ზემოთ ნახსენები აიანი ცივი და შეუვალია: „დადებითი ტესტი დადებითია და ეს ჩვენი პრობლემა სულ არ არის. და კიდევ, არა მგონია, აქ რაიმე უნებლიე ამბავთან გვქონდეს საქმე".

ამერიკელი ტარა ნოტი სიხარულისგან შოკშია. ვერცხლი ჰქონდა და უცებ გამოუცხადეს, ოლიმპიური ჩემპიონი ხარო (დრაგნევას ნაცვლად). ჯაჭვური რეაქციით ბრინჯაოსმედალოსანი, ინდონეზიელი რაემა ლიზა რუმბევასი ვერცხლოსანი გახდა და სულ უჩინოდ დარჩენილმა მისმა თვისტომმა, სრი ინდრიანიმ ბრინჯაო მიიღო. მინჩევის მესამე ადგილზე ბელარუსი გენადი ოლეშჩუკი დასვეს.

**დავით ბულუა**



REUTERS საფოტოებიდან

ოქროს მედალი, რომელსაც იზაბელა დრაგნევა 17 სექტემბერს კოცნიდა, მას ჩამოერთვა და ამერიკელ ტარა ნოტს გადაეცა

## ქვეყანათა მონაგარი

| ქვეყანა | ო. | ვ. | ბ. |
|---|---|---|---|
| აშშ | 16 | 10 | 14 |
| ჩინეთი | 14 | 7 | 9 |
| საფრანგეთი | 9 | 10 | 4 |
| ავსტრალია | 8 | 11 | 9 |
| იტალია | 7 | 3 | 10 |
| ჰოლანდია | 6 | 2 | 3 |
| რუსეთი | 5 | 8 | 10 |
| რუმინეთი | 5 | 2 | 4 |
| კორეა | 4 | 5 | 7 |
| იაპონია | 4 | 4 | 3 |
| გერმანია | 3 | 5 | 7 |
| შვედეთი | 3 | 1 | 1 |
| ბულგარეთი | 3 | 1 | 0 |
| უკრაინა | 2 | 6 | 3 |
| დიდი ბრიტანეთი | 2 | 5 | 3 |
| კუბა | 2 | 2 | 2 |
| პოლონეთი | 2 | 2 | 0 |
| უნგრეთი | 2 | 1 | 1 |
| ესპანეთი | 2 | 0 | 1 |
| თურქეთი | 2 | 0 | 0 |
| სლოვაკეთი | 1 | 3 | 1 |
| შვეიცარია | 1 | 3 | 1 |
| ინდონეზია | 1 | 2 | 1 |
| კანადა | 1 | 1 | 2 |
| მექსიკა | 1 | 1 | 0 |
| ჩეხეთი | 1 | 0 | 3 |
| ლიტვა | 1 | 0 | 0 |
| ხორვატია | 1 | 0 | 0 |
| ფინეთი | 1 | 0 | 0 |
| კოლუმბია | 1 | 0 | 0 |
| აზერბაიჯანი | 1 | 0 | 0 |
| საბერძნეთი | 0 | 2 | 1 |
| ბრაზილია | 0 | 2 | 1 |
| დანია | 0 | 2 | 0 |
| ბელარუსი | 0 | 1 | 6 |
| ბელგია | 0 | 1 | 2 |
| სამხრეთ აფრიკა | 0 | 1 | 1 |
| ტაივანი | 0 | 1 | 1 |
| ჩრდილოეთ კორეა | 0 | 1 | 1 |
| იუგოსლავია | 0 | 1 | 0 |
| ურუგვაი | 0 | 1 | 0 |
| ნიგერია | 0 | 1 | 0 |
| მოლდოვა | 0 | 1 | 0 |
| ესტონეთი | 0 | 0 | 2 |
| კოსტა რიკა | 0 | 0 | 2 |
| ტაილანდი | 0 | 0 | 1 |
| პორტუგალია | 0 | 0 | 1 |
| ახალი ზელანდია | 0 | 0 | 1 |
| ლატვია | 0 | 0 | 1 |
| ქუვეითი | 0 | 0 | 1 |
| ყირგიზეთი | 0 | 0 | 1 |
| ინდოეთი | 0 | 0 | 1 |
| საქართველო | 0 | 0 | 1 |
| სომხეთი | 0 | 0 | 1 |

## ჩემპიონები და პრიზიორები

### 22 სექტემბერი

#### მშვილდოსნობა

ვაჟები. გუნდური
1. კორეა
(იანგ იონგ ჰო, კიმ ჩუნგ ტაე, ოჰ კუო მუნი)
2. იტალია
3. აშშ

#### მძლეოსნობა

ვაჟები. 20 კმ. სიარული
1. რობერტ კორჟენიოვსკი (პოლონეთი)
2. ნოე ერნანდესი (მექსიკა)
3. ვლადიმირ ანდრეევი (რუსეთი)

ვაჟები. ბირთვი
1. არსი ჰარიუ (ფინეთი)
2. ადამ ნელსონი (აშშ)
3. ჯონ გოდინა (აშშ)

#### ბადმინტონი

ქალები
1. გონგ ჟიჩაო (ჩინეთი)
2. კამილა მარტინი (დანია)
3. იე ჟაოინგი (ჩინეთი)

#### ცხენოსნობა

სამჭიდი
1. დევიდ ოკონორი (აშშ)
2. ენდრიუ ჰოი (ავსტრალია)
3. მარკ ტოდი (ახალი ზელანდია)

#### ფარიკაობა

ვაჟები. რაპირა. გუნდური
1. საფრანგეთი
(ჟან-ნოელ ფერარი, ბრის გიარი, პატრის ლოტელიე, ლიონელ პლუმენელი)
2. ჩინეთი
3. იტალია

#### ბატუტი

ქალები
1. ირინა კარავაევა (რუსეთი)
2. ოქსანა ციხულევა (უკრაინა)
3. კარენ კოკბერნი (კანადა)

#### ძიუდო

ვაჟები. მძიმე წონა
1. დავიდ დუიე (საფრანგეთი)
2. შინიჩი შინოჰარა (იაპონია)
3. ინდრეკ პერტელსონი (ესტონეთი)
3. ტამერლან ტმენოვი (რუსეთი)

ქალები. მძიმე წონა
1. იუან ჰუა (ჩინეთი)
2. დაიმა ბელტრანი (კუბა)
3. სეონ იუინგ კიმი (კორეა)
3. მაიუმი იამასიტა (იაპონია)

#### სროლა

ვაჟები. პნევმატური შაშხანა მოძრავ სამიზნეებზე
1. იანგ ლინგი (ჩინეთი)
2. ოლეგ მოლდოვანი (მოლდოვა)
3. ნიუ ჟიუანი (ჩინეთი)

ქალები. სპორტული პისტოლეტი
1. მარია გროზდევა (ბულგარეთი)
2. ლუნა ტაო (ჩინეთი)
3. ლოლიტა ევგლევსკაია (ბელარუსი)

#### ცურვა

ვაჟები. 50 მ. თავისუფალი სტილი
1. ენტონი ირვინი (აშშ)
1. გერი ჰოლი (აშშ)
3. პიტერ ვან ჰოგენბანდი (ჰოლანდია)

ვაჟები. 100 მ. ბატერფლაი
1. ლარს ფროლანდერი (შვედეთი)
2. მაიკლ კლიმი (ავსტრალია)
3. ჯეფ ჰიუგილი (ავსტრალია)

ქალები. 200 მ. გულაღმა
1. დიანა მოკანუ (რუმინეთი)
2. როქსანა მარასინეანუ (საფრანგეთი)
3. მიკი ნაკაო (იაპონია)

ქალები. 800 მ. თავისუფალი სტილი
1. ბრუკ ბენეტი (აშშ)
2. იანა კლოჩკოვა (უკრაინა)
3. კაიტლინ სანდენო (აშშ)

#### მაგიდის ჩოგბურთი

ქალთა წყვილები
1. ლი ჟუ — ვანგ ნანი (ჩინეთი)
2. სუნ ჟინი — იანგ ინგი (ჩინეთი)
3. კიმ მუ კიო — რიუ ჟი ჰიე (კორეა)

#### ძალოსნობა

ქალები. მძიმე წონა
1. დინგ მეი იუანი (ჩინეთი)
2. აგატა ვრობელი (პოლონეთი)
3. ჩერილ ჰავორტი (აშშ)

ვაჟები. 77 კგ
1. ჟან სუგანგი (ჩინეთი)
2. ვიქტორ მიტრუ (საბერძნეთი)
3. არსენ მელიქიანი (სომხეთი)

ცურვა



ენტონი ირვინი (მარცხნივ) და გერი ჰოლი საზიარო ოლიმპიურ ჩემპიონობას ზეიმობენ

# ოქროგაყოფილმა ამერიკელებმა პოპოვი მშრალზე დატოვეს

**სიდნეის** ოლიმპიურ აუზში მართლაც რომ სასწაულები ხდება. თავად განსაჯეთ, „ოლიმპიური წყალი“ 13 ისტორიული გაცურვის მოწმე გახდა — 12 მსოფლიოს რეკორდი და ერთიც გამეორებული შედეგი. აქედან ბოლო მსოფლიოს რეკორდის ავტორი ჰოლანდიელი ინგე დე ბრუინია, რომელმაც 50-მეტრიან დისტანციაზე თავისუფალი სტილით ნახევარფინალური გაცურვისას უკვე მერამდენედ დაამხო თავისივე მსოფლიოს რეკორდი.

27 წლის ჰოლანდიელის ახლანდელი მიღწევა 10 ივნისს რიო დე ჟანეიროში დამყარებულ თავისივე მსოფლიოს რეკორდზე (24,39) უკეთესი აღმოჩნდა — 24,13, რაც ფინალში მისი მესამედ გაჩემპიონების საბაბს იძლევა.

მიუხედავად ამისა, გუშინ ყველანი 50 მეტრზე თავისუფალი სტილით ფინალური გაცურვის მოლოდინში იყვნენ, რადგან შეიძლებოდა, ისტორიული შედეგის მოწმენი გამხდარიყვნენ და ამაში მთავარი როლი ოთხგზის ოლიმპიურ ჩემპიონს, რუს ალექსანდრ პოპოვს უნდა შეესრულებინა, რადგან გამარჯვების შემთხვევაში იგი შეიქნებოდა პირველი მოცურავე კაცი, რომელმაც ერთსა და იმავე დისციპლინაში ზედიზედ მესამე ოლიმპიადაზე მიაღწია წარმატებას. მაგრამ ყველაფერი ამერიკელთა სცენარით წარიმართა. იანკებმა ფინალში თავად შეასრულეს მთავარი როლი, ხოლო მეორე ხარისხის, უფრო სწორად, მესამე ხარისხის საუკეთესო როლის შემსრულებლად ჰოლანდიელი პიტერ ვან დენ ჰოგენბანდი მოგვევლინა.

საქმე ისაა, რომ კაცი მოცურავეების ოლიმპიადის ფინალური ასპარეზობების ისტორიაში ორი ოქროს მედალი პირველად გათამაშდა, რადგან ამერიკელებმა — ენტონი ირვინმა და გერი ჰოლმა აუზის კედელს ერთდროულად დაჰკრეს ხელი და შედეგად ერთნაირი შედეგიც აჩვენეს — 21,98. ისე, როგორი ამბავია, ერთ ფინალში ორი ოქრო, მით უმეტეს, ცურვაში, სადაც ჩემპიონობის ბედს წამის მეასედები წყვეტს?

სხვათა შორის, ასეთი საარაკო გაცურვის მოწმენი იყვნენ 1984 წლის ლოს ანჯელესის ოლიმპიურ თამაშებზეც, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ 100 მეტრზე იმავე დისციპლინაში მაშინ ქალმა მოცურავეებმა, ასევე ამერიკელებმა — ნენსი ჰოგშედმა და კერი სტეინსეიფერმა გაიმარჯვეს ფინალში, თუმცა შეიძლებოდა, ყველაფერი სხვაგვარად ყოფილიყო.

1972 წლის მიუნხენის ოლიმპიადაზე 400 მეტრზე კომპლექსური ასპარეზობის ფინალში შვედმა გუნარ ლარსონმა და ამერიკელმა ტიმ მაკკიმ ერთი და იგივე დრო დააფიქსირეს, თუმცა მსაჯებმა გადაწყვიტეს, რომ წამის მეათასედით უკეთესი დრო შვედს ეკუთვნოდა. ამიტომაც ოქრო ლარსონს გადაეცა.

ასე თუ ისე, ირვინმა და ჰოლმა 50 მეტრზე თავისუფალი სტილით პოპოვის რვაწლიანი მეფობა შეწყვიტეს. ეს უკანასკნელი კი თავისი შედეგით — 22,24 მეექვსე ადგილზე გავიდა.

საინტერესოა, რომ ჰოლიც და ირვინიც არიზონაში თანაგუნდელები არიან. ირვინი კი პირველი აფრო-ამერიკელი მოცურავეა, რომელიც აშშ-ის ოლიმპიურ ნაკრებში მოხვდა.

— ამაზე უკეთეს მეგობარს ვერც კი ვინატრებდი, ვისაც ოქროს მედალს გავუყოფდი. ამ ზაფხულს ჩვენ ყოველ დღე ერთად ვვარჯიშობდით. ასე რომ, ახლანდელი გაცურვაც ვარჯიშს წააგავდა. ჩემთვის რთული პერიოდის შემდეგ, დიდი ხანია, ასეთ წარმატებას ველოდი — განაცხადა გერი ჰოლმა. იგი 1998 წელს გულისხმობს, როდესაც მარიხუანის გამოყენების გამო სამთვიანი დისკვალიფიკაცია მიუსაჯეს, თანაც დიაბეტითაც იტანჯებოდა. გარდა ამისა, თურმე მწარედ ახსოვს პოპოვთან ოთხჯერ მარცხი — რუსმა ჯერ 1994 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე, მერე ატლანტის ოლიმპიადაზე 50 და 100 მეტრიან დისტანციებზე აჯობა. მართლაც ძნელია ამის დავიწყება. ყოველდღე უყურებს ალბათ იგი ვერცხლის ოთხ მედალს და ახსენდება, რა ახლოს იყო წარმატებებთან.

ამჯერად ჰოლი კმაყოფილი უნდა იყოს სიდნეური ოქროთი, თუნდაც საზიაროთი.

არადა, თანამემამულეთა ჭიდილში პირველობა შეიძლებოდა ჰოლანდიელ ჰოგენბანდს დარჩენოდა, რომ არა მისი სუსტი წერტილი — ნახტომი.

— 50-მეტრიანი დისტანცია რომ მოიგო, ძლიერი სტარტია საჭირო, მე კი ამაში მოვიკოჭლებ. მათ, ჩემგან განსხვავებით, ეს საოცრად გამოსდით, ამიტომაც გაცურეს ასე სწრაფად — გვიხსნის ჰოგენბანდი, რომელმაც ჯერ იყო და 200 მეტრზე თავისუფალი სტილით ტორპს არ დაანება ჩემპიონობა, ხოლო შემდეგ 100 მეტრზე იმავე დისტანციაზე პოპოვსაც იგივე განაჩენი გამოუტანა.

სიდნეური ოლიმპიადა მართლაც რომ საბედისწერო გამოდგა პოპოვისთვის, რადგან ყველამ სამაგიერო გადაუხადა. ამაში უდიდესი „წვლილი“ მფრინავ ჰოლანდიელს მიუძღვის, რომელმაც გარდა იმისა, რომ ჩემპიონობა ჩამოართვა, ისტორიისკენ მიმავალი გზაც ჩაუხერგა.

— თუ ერთ ოლიმპიადას იგებ, ცნობილი ხდები. თუ იგივეს მომდევნო ოლიმპიადაზეც გაიმეორებ, მაშინ ალბათ უდიდესი მოცურავის სახელს მოიხვეჭ, ხოლო თუ მესამე ოლიმპიადაზეც შეძელი გამარჯვება, მაშინ ისტორიის კუთვნილება ხდები — აცხადებდა ოდესღაც პოპოვი.

არანაკლები დაძაბულობით გამოირჩეოდა 100-მეტრიანი დისტანცია ბატერფლაიში.

აქ, როგორც მოსალოდნელი იყო, საპრიზოები ამ დისციპლინის ვარსკვლავებმა გაინაწილეს. თუმც ისე მოხდა, რომ ფავორიტმა მაიკლ კლიმმა გულშემატკივრები გააწბილა, რადგან მასპინძლები მისგან მხოლოდ გამარჯვებას მოელოდნენ, პირველობა კი შვედ ლარს ფროლანდერს ხვდა წილად — 52,00. მან თანამემამულეები აუზში მოპოვებული პირველი ოქროთი გაახარა. არადა, მსოფლიოს ჩემპიონატზე კლიმისა და ფროლანდერის დუელში გამარჯვებული ავსტრალიელი გამოვიდა, ახლა კი — პირიქით.

აღსანიშნავია რუმინელი დიანა მოკანუსა და ამერიკელი ბრუკ ბენეტის გამოსვლაც.

პირველმა 100 მეტრზე გულაღმა ცურვაში მოპოვებულ ოქროს ამჯერად მეორე ასეთი ხარისხის მედალი შეუწყვილა 200 მეტრზე იმავე დისციპლინაში.

20 წლის ბრუკ ბენეტმა, ისევე როგორც 16 წლის რუმინელმა, მეორე ოქრო მოიპოვა. ამჯერად 400 მეტრზე თავისუფალი სტილით მოპოვებულ ჩემპიონობას 800 მეტრზე ოლიმპიური რეკორდით — 8.19,67 გამარჯვებაც დაურთო, თანაც წინა ოლიმპიადაზე მიღწეული წარმატებაც გაიმეორა.

**გიგა გურასაშვილი**

**ქალები. 800მ. თავისუფალი სტილი**
**1. ბრუკ ბენეტი (აშშ) 8.19,67; 2. იანა კლოჩკოვა (უკრაინა) 8.22,66; 3. კაიტლინ სანდენო (აშშ) 8.24,29**

**ქალები. 200 მ. გულაღმა**
**1. დიანა მოკანუ (რუმინეთი) 2.08,16; 2. როქსანა მარასინეანუ (საფრანგეთი) 2.10,25; 3. მიკი ნაკაო (იაპონია) 2.11,05**

**ვაჟები. 50მ. თავისუფალი სტილი**
**1. ენტონი ირვინი (აშშ) 21,98; 1. გერი ჰოლი (აშშ) 21,98; 3. პიტერ ვან ჰოგენბანდი (ჰოლანდია) 22,03**

**ვაჟები. 100 მ. ბატერფლაი**
**1. ლარს ფროლანდერი (შვედეთი) 52,00; 2. მაიკლ კლიმი (ავსტრალია) 52,18; 3. ჯეფ ჰიუგილი (აშშ) 52,22**

ფარიკაობა

# ფერარი საფრანგეთის სამსახურში

**„ძალიან** ძლიერად ჩავატარე ბოლო დუელი. დაღლილობისგან ფეხზე ძლივს ვიდექი, მაგრამ მაინც ბოლომდე ვიბრძოლე. ამ გამარჯვებისთვის ყველაფერი გავიღე“ — განუცხადა საფრანგეთის ტელეკომპანია „ფრანს 2“-ს ჟან-ნოელ ფერარიმ, როგორც კი ფრანგ რაპირისტთა ნაკრებმა ოლიმპიური ოქრო მოიგო.

„სამფეროვნებმა“ ჩინელები ფინალში 45:44 დაამარცხეს და თავიანთ ქვეყანას პირველი ოქრო მოუტანეს ფარიკაობაში, თუმც ამის გაკეთება ძლიერ გაუჭირდათ.

ფრანგებმა ტურნირი კუბელებთან მატჩით დაიწყეს და კინაღამ დაამთავრეს კიდეც. ბოლო ორი დუელის წინ კუნძულელები 35:30 უგებდნენ, თუმცა ფერარიმ შეხვედრის ბედის შემოტრიალება შეძლო. მან როლანდო ტაკერს 10:3 აჯობა და საფრანგეთმაც ამით მიღებული უპირატესობა ბოლომდე შეინარჩუნა — 45:43. პოლონეთთან ნახევარფინალი მომავალი ჩემპიონებისთვის გაცილებით იოლი გამოდგა. ისინი მალე 25:13 დაწინაურდნენ და, მცირედი მოდუნების მიუხედავად, საქმე მაინც გამარჯვებამდე მიიყვანეს (45:38).

ფინალში წინა მსოფლიოს ჩემპიონატის საუკეთესო ორი ნაკრები შეხვდა ისევ ერთმანეთს. მაშინ სეულში ფრანგებმა იმარჯვეს, ამიტომაც ჩინელები რევანშის წყურვილით იწვოდნენ. პირველი სამი დუელი ერთნაირი ანგარიშით (5:4) დამთავრდა ევროპელთა სასარგებლოდ, მერე კი 19 წლის ბრის გიარმა მსოფლიოს კლასიფიკაციაში მეათე ნომერ დონგს 5:1 მოუგო და თავისიანები უკვე შვიდი ჩხვლეტით დააწინაურა.

ჩინელ რაპირისტთა სისწრაფემ და ტექნიკამ მოვლენები მალე სხვაგვარად წარმართა. ფერარი იესთან 0:6 შერცხვა, ლოტელიემ ვანგთან 1:4 წააგო, გიარიც დამარცხდა (3:5) და წინ უკვე ჩინეთი გავიდა — 35:31. მერე ლოტელიემ ერთი ჩხვლეტით აჯობა მოწინააღმდეგეს და თავისიანებს იმედი გაუღვიძა. ბოლო ორთაბრძოლის წინ ანგარიში 37:34 იყო ჩინელთა სასარგებლოდ.

ჟან-ნოელ ფერარი დაღლილობისგან ფეხზე ძლივს იდგა, თუმც ბოლო დუელი მან ძალიან ძლიერად ჩაატარა, ბოლომდე იბრძოლა, გამარჯვებისთვის ყველაფერი გაიღო და...

43:40-ზე ფერარიმ ზედიზედ სამჯერ განახორციელა მომგებიანი შეტევა და მერე, როდესაც ვანგს გამარჯვების შანსი ჰქონდა, იგი პანიკაში არ ჩავარდა და ანგარიში ერთხელაც გაათანაბრა. ბოლოს ორივე რაპირისტმა ერთდროულად გაიწია ერთმანეთზე, ორივემ შეძლო ჩხვლეტა და ორივემ აღმართა ხელები გამარჯვების აღსანიშნავად. თუმცა ფრანგი უფრო სწრაფი აღმოჩენილა და ხელებიც მას დარჩა აწეული.

ბრინჯაოს მედლები იტალიელებმა მოიპოვეს, რომლებმაც პოლონელებს 45:38 მოუგეს.

**გაიოზ თალაკვაძე**



REUTERS

ბოლო, ერთდროული ჩხვლეტით ჩინელმა ვან ჰაიბინმა (ზურგით) და ფრანგმა ჟან-ნოელ ფერარიმ ერთნაირად გაიხარეს. ჩინელის სიხარული ნაადრევი გამოდგა...

**სპორტულ ჟურნალისტთა საყურადღებოდ!**

12 სექტემბრიდან სიდნეიში მუშაობას შეუდგა საქართველოს ოლიმპიური დელეგაციის პრესცენტრი. თქვენთვის საინტერესო ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ ყოველდღე, თბილისის დროით 17.30-დან 19 საათამდე.
ტელეფონი: (612) 8 11 35 445

## მძლეოსნობა



REUTERS სიდნეიდან

ფინიშთან პირველმა ბერნარდო სეგურამ (მარჯვნივ) ჯერ არ იცის, რომ დისკვალიფიკაციას მისცემენ და ოლიმპიურ ჩემპიონად რობერტ კორჟენიოვსკის (მარცხნივ) გამოაცხადებენ

# ჩემპიონობიდან არარაობამდე მართლა მრთი ნაბიჯია, რომელიც სეგურას არ აპატიეს მალდმუაზელ მშიშარა პარიზშია

**სიდნეიდან** სინგაპურს გაქცეული მარი-ჟო პერეკი გუშინ პირდაპირი რეისით პარიზში ჩაფრინდა, რომლის ქუჩებსაც უკვე მოსდებოდა მისი ფოტოებით აჭრელებული პოპულარული გაზეთები. მსოფლიო ქალაქის პრესის რეაქცია მრავალფეროვანი იყო. „ლა პარიზიენმა" და „ლიბერასიონმა" კრიტიკა არჩიეს, „ეკიპმა" მორბენალი დაიცვა, „ფრანს-სუამ" და „ჰერალდ ტრიბუნის" პარიზის განყოფილებამ კი იუმორი მოიშველიეს. პირველის პირველ გვერდზე სარბენ ბილიკზე გაქანებული პერეკის და ნიშნის მიმცემი მსაჯის ზორბა კარიკატურა ეხატა. მსაჯის პირს მიკერებულ ოვალში კი წერია: „მე არ გემუქრებით, მხოლოდ სტარტიორი ვარ!" პერეკს არაფერი განუმარტავს, რამდენიმე დღე კაცი არ გამეკაროს, დავისვენებ და სათქმელს მერე ვიტყვიო. სიდნეიში მყოფ საფრანგეთის სპორტის მინისტრს, მარი-ჟორჟ ბუფეს როგორც კი პერეკის გაქცევა შეუტყვია, სატელეფონო ზარი დაუდევნებია მისთვის, რომელიც მორბენალს სინგაპურში დასწევია და ახალი ამბავიც წამოტივტივდა: პერეკს მინისტრთან დაუჩივლია, ავსტრალიაში პრესამაც დიდად გამაწამაო. იგი ხომ კეტი ფრიმენის მთავარი კონკურენტი იყო 400 მეტრზე სირბილში და, რა დასამალია, ოზებმა ერთი-ორჯერ მართლა გაკენწლეს, გაქცევის შემდეგ კი სულ არ დაინდეს. „მალდმუაზელ მშიშარა" — ყვიროდა სიდნეის „დეილი ტელეგრაფი" გუშინ და სხვებიც ერთ ამბავში იყვნენ, ჩვენებურისა შეეშინდა და გაიქცა, თორემ რა უცნობი, რის მუქარაო.

ათი პერეკის გაქცევაც ვერ შეუშლის ხელს ოლიმპიადის გრანდიოზულობას. იქ ცხოვრება ისევ დუღს და პარასკევს სწორედ მძლეოსნებმა გაშალეს ხელ-ფეხი. ელიტარულ მორბენალთა დიდი უმრავლესობა უპრობლემოდ ხურდება. ფრიმენმა, მარიონ ჯონსმა, მორის გრინმა, ხავიერ სოტომაიორმა, მერლინ ოტიმ და მრავალმა მისთანამ პირველი საკვალიფიკაციო ეტაპები უზრუნველად გაიარეს. მხოლოდ 100 მეტრის მოქმედ ოლიმპიურ ჩემპიონს, დონოვან ბეილის შეეყარა სულისშემხუთველი გრიპის ვირუსი (ვგონებ, ის გახმაურებული სიდნეური). საცოდავი ტრავმის მერე ისედაც ვერ იყო ფორმაში და ახლა ესღა აკლდა. ამიტომ საკვალიფიკაციო გარბენზე ბეილი ბოლო იყო და მისთვის ოლიმპიადა დასრულდა, ისევე, როგორც პოლონელი რობერტ კორჟენიოვსკისა და ფინელი არსი ჰარიუსთვის, ოღონდ ისინი სამშობლოში გმირებად ჩავლენ, ორივე ოლიმპიური ჩემპიონი გახდა. კორჟენიოვსკი ცნობილი სპორტულად მოსიარულეა, ატლანტის ოლიმპიადის ჩემპიონი. ამჯერად ფინიშთან მექსიკელმა ბერნარდო სეგურამ მიასწრო, მაგრამ მსაჯებმა ლათინს იგივე გაუკეთეს, რაც პოლონელს ბარსელონას თამაშებზე, ანუ დისკვალიფიკაციით დასაჯეს. მიზეზი უგულისყურობაა, მსაჯებმა მექსიკელი შვიდჯერ გააფრთხილეს, ნუ ცქმუტავ, ლანჩის ნიადაგთან კონტაქტის ლიმიტი დაიცავიო. შვიდი მეტისმეტი იყო, ამიტომ უკვე გამარჯვებით აფორიაქებულ და ტელევიზიასთან ჩახუტებულ საბრალო სეგურას ზემოთ ნათქვამი უთხრეს და იგიც დაღონდა.

ფინელი ბირთვს ტყორცნიდა. ამ საქმით სიდნეიში არ დაკავებულა „სარბიელის" „მეგობარი" (ხშირად ვახსენებთ) და მარიონ ჯონსის ქმარი, სი ჯეი ჰანტერი. ტრავმა აწუხებს და მთლიანად მარიონის ქომაგობაზეა გადასული. სხვა ამერიკელებსაც არა უშავდათ, მაგალითად, ჯონ გოდინას და, რაც მთავარია, ბოლო დროს აწყვეტილ ადამ ნელსონს, ზაფხულში თავად ჰანტერს რომ მოერია. მაგრამ ფინელმა იმძლავრა, ბირთვი 21 მეტრსა და 29 სანტიმეტრზე გადატყორცნა და სადაც თქვენი თქვათო... დაუბარა იანკებს.

ქართველებს კი არავინ არაფერი დაუბარა, ისინი უბრალოდ პირველივე ეტაპზე გაეყარნენ ოლიმპიადას. თამარ შანიძემ 100 მეტრი 12,56 წამში გაირბინა და 67-ე იყო, რუსლან რუსიძე — 71-ე, შედეგით 10,70.

**დავით გულუა**

ვაჟები. 20 კმ სიარული

1. რობერტ კორჟენიოვსკი (პოლონეთი) 1.18,59; 2. ნოე ერნანდესი (მექსიკა) 1.19,03; 3. ვლადიმირ ანდრეევი (რუსეთი) 1.19,27

ვაჟები. ბირთვი

1. არსი ჰარიუ (ფინეთი) 21მ 29სმ; 2. ადამ ნელსონი (აშშ) 21,21; 3. ჯონ გოდინა (აშშ) 21,20

## ფრენბურთი

### ქალები

IV ტური

A ჯგუფი

ბრაზილია 3:0 ხორვატია

ჩინეთი 3:0 კენია

აშშ 3:0 ავსტრალია

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ბრაზილია | 4 | 4 | 0 | 12:0 | 8 |
| აშშ | 4 | 4 | 0 | 12:1 | 8 |
| ხორვატია | 4 | 2 | 2 | 6:8 | 6 |
| ჩინეთი | 4 | 1 | 3 | 5:9 | 5 |
| ავსტრალია | 4 | 1 | 3 | 4:10 | 5 |
| კენია | 4 | 0 | 4 | 1:12 | 4 |

B ჯგუფი

კუბა 3:0 იტალია

კორეა 3:1 პერუ

რუსეთი 3:2 გერმანია

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| რუსეთი | 4 | 4 | 0 | 12:5 | 8 |
| კუბა | 4 | 3 | 1 | 11:3 | 7 |
| კორეა | 4 | 3 | 1 | 9:6 | 7 |
| იტალია | 4 | 1 | 3 | 6:9 | 5 |
| გერმანია | 4 | 1 | 3 | 5:9 | 5 |
| პერუ | 4 | 0 | 4 | 1:12 | 4 |

## ძალოსნობა

ქალები. მძიმე წონა

1. დინგ მეი იუანი (ჩინეთი) 300,0 კგ; 2. აგატა ვრობელი (პოლონეთი) 295,0 კგ; 3. ჩერილ ჰავორტი (აშშ) 270,0 კგ.

ვაჟები. 77 კგ

1. ჟან სუგანგი (ჩინეთი) 367,5 კგ; 2. ვიქტორ მიტრუ (საბერძნეთი) 367,5 კგ; 3. არსენ მელიქიანი (სომხეთი) 265,0 კგ.

## ბატუტი

### ქალები

1. ირინა კარავაევა (რუსეთი) 38,90; ოქსანა ციხულევა (უკრაინა) 37,70; 3. კარენ კოკბერნი (კანადა) 37,40; ... 7. რუსუდან ხოფერია (საქართველო) 34,10; 8. ანა დოლონაძე (გერმანია). სულ 12 მონაწილე.

## მაგიდის ჩოგბურთი

### ქალთა წყვილები

ფინალი

ლი იუ - ვანგ ნანი (ჩინეთი) — სუნ ჟინი - იანგ ინგი (ჩინეთი) 3:0 (21:18; 21:11; 21:11).

მესამე ადგილისთვის

კიმ მუ კიო - რიუ ჯი ჰიე (კორეა) — ჩილა ბატორფი - კრისტინა ტოტი (უნგრეთი) 3:2 (21:18; 21:19; 22:24; 19:21; 21:19).

## ბადმინტონი

### ქალები

ფინალი

გონგ ჟიჩაო (ჩინეთი) — კამილა მარტინი (დანია) 2:0 (13:10; 11:3).

მესამე ადგილისთვის

იე ჟაოინგი (ჩინეთი) — დაი იუნი (ჩინეთი) 2:1 (8:11; 11:2; 11:6).

## წყალბურთი

ქალები. ნახევარფინალი

აშშ 6:5 ჰოლანდია

ავსტრალია 7:6 რუსეთი

ფინალი და მატჩი მესამე ადგილისთვის დღეს გაიმართება.

## ბეისბოლი

აშშ 4:2 იტალია

იაპონია 8:0 სამხრეთ აფრიკა

კუბა 1:0 ავსტრალია

კორეა 2:0 ჰოლანდია

## სოფტბოლი

იაპონია 2:0 იტალია

ავსტრალია 1:0 ჩინეთი

კუბა 2:1 კანადა

აშშ 2:0 ახალი ზელანდია

## ჩოგბურთი

# ვინუსმა კლინტონი და გეიტსი ცოტა ხანს აცდინა

**დიაც** თანამემამულეთაგან განსხვავებით, რომლებიც სიდნეიში მედლების უპირობო ფავორიტები არიან, ამერიკელმა მამაკაცებმა სამშობლოს ღირსების დაცვა ღირსეულად ნამდვილად ვერ მოახერხეს.

პიტ სამპრასისა და ანდრე აგასის არყოფნაში ტოდ მარტინმა, მაიკლ ჩანგმა და ვინს სპედეამ პირველივე წრეში დაასრულეს ასპარეზობა, იგივე ბედი ეწვია წყვილებში მეორედ განთესილ ალექს ობრაიენსა და ჯარედ პალმერს (ისინი პირველი წრიდან გათავისუფლებულები იყვნენ).

ერთადერთი იანკი, ვინც მომდევნო ეტაპზე გააღწია, ჩოგბურთის ცუდი ბიჭი, მთავარი შარისთავი ჯეფ ტარანგო იყო. დიდხანს ზეობა არც ამ ამერიკელს ეწერა — არგენტინელმა მარიანო ზაბალეტამ მსოფლიოს უძლავრესი საჩოგბურთო „დერჟავის" ბოლო წარმომადგენელს მეორე წრეში აკრეფინა გუდა-ნაბადი — 6:2, 6:3.

„ძალიან დამწყდა გული ბიჭების გამო. გინდა დაიჯერეთ, გინდ არა, მაგრამ ისინი მართლაც კარგად იყვნენ მომზადებული ოლიმპიადისთვის და ურიგოდაც არ უთამაშიათ" — აშშ-ის ნაკრების მწვრთნელ სტენ სმიტს თავის ცალყბად მართლების გარდა რაღა დარჩენოდა.

სამაგიეროდ, სმიტის კოლეგას, ლეგენდარულ ბილი ჯინ კინგს სადარდებელი არაფერი აქვს. მოწმენდილ ცაზე პატარა ღრუბლად ის თუ გამოდგება, რომ ვინუს უილიამსი (2) და მონიკა სელეში (3) კენჭისყრის ნებით უკვე ნახევარფინალში და არა გადამწყვეტ მატჩში უნდა შეხვდნენ ერთმანეთს და ვერცხლის ნაცვლად რომელიმე მათგანი ბრინჯაოს მედლით უნდა დაკმაყოფილდეს.

თუმცა ნახევარფინალში თითქმის გარდაუვალ შეხვედრამდე ამერიკელმა დიაცებმა თითო მატჩიც უნდა მოიგონ. გუშინ უფროსმა უილიამსმა მორიგ მეტოქეს, გერმანელ იანა კანდარს გადაუარა 6:2, 6:2 და გამარჯვებათა სერია 29-მდე გაზარდა. ტრიბუნებზე მოკალათებულ, U-S-A-ის მოყვირალ დებს, სერენასა და ლინდრეას (ნუ გეშინიათ, ეს ჩოგბურთელობას არ აპირებს), ასევე მოგულშემატკივრე ჩელსი კლინტონსა და პლანეტის უმდიდრეს ადამიანს, ბილ გეიტსს ხმის იოგების გავარჯიშება სულ 50 წუთის მანძილზე დასცალდათ.

ახლა ვინუსს მეოთხედფინალში არანჩა სანჩეს-ვიკარიოსთან (5) ელის შეხვედრა. ესპანელი სწორედ ის ჩოგბურთელია, რომელმაც უილიამსს ბოლო მარცხი აწვნია წლევანდელი როლან გაროსის მეოთხედფინალში.

„უილიამსების დაჯაბნა ძალიან ძნელია, მაგრამ ჩვენ სწორედ ასეთ მატჩებს ველით ყველაზე მოუთმენლად, მატჩებს საუკეთესოების წინააღმდეგ" — განაცხადა ატლანტის ოლიმპიადის ვერცხლის მედალოსანმა ესპანელმა. თავის მხრივ არანჩაც არაა ცუდ ფორმაში, რაც კოლუმბიელი ფაბიოლა ზულუაგას 6:2, 6:0 განადგურებამაც დაადასტურა. ასე რომ, ხერხისა და ლონის მორიგი დაპირისპირება საინტერესო უნდა გამოდგეს.

**ავთანდილ სვანიძე**

### ვაჟები

ერთეულები. მეორე წრე

მარიანო ზაბალეტა (არგენტინა) — ჯეფ ტარანგო (აშშ) 6:2, 6:3; ალექს კორეჩა (6, ესპანეთი) — არნო კლემანი (საფრანგეთი) 6:7 (5:7), 6:4, 6:4; ქარიმ ალამი (მაროკო) — ჯანლუკა პოცი (იტალია) 6:2, 4:6, 8:6; ტომი ჰაასი (გერმანია) — ანდრეას ვინსიგერა (შვედეთი) 4:6, 6:4, 6:2; როჯერ ფედერერი (შვეიცარია) — კაროლ კუჩერა (სლოვაკეთი) 6:4, 7:6 (7:5); მიქაელ ტილსტრომი (შვედეთი) — სებასტიან ლარო (კანადა) 6:1, 3:6, 6:3; ფაბრის სანტორო (საფრანგეთი) — ფერნანდო ვისენტე (ესპანეთი) 6:1, 6:7 (2:7), 7:5; მაქს მირნი (ბელარუსი) — ირჟი ვანეკი (ჩეხეთი) 6:7 (5:7), 6:4, 11:9

წყვილები. მეორე წრე

დევიდ ადამსი და ჯონ-ლეფნი დე ჯაგერი (სამხრეთ აფრიკა) — ევგენი კაფელნიკოვი და მარატ საფინი (რუსეთი) 6:3, 3:6, 9:7; მარკ ნოულსი და მარკ მარკლეინი (ბაჰამები) — ალექს ობრაიენი და ჯარედ პალმერი (აშშ) 6:2, 6:4; სებასტიან ლარო და დანიელ ნესტორი (4, კანადა) — გუსტავო კუერტენი და ხაიმე ონსინსი (ბრაზილია) 6:1, 6:4; ჰიუნგ-ტაიკ ლი და იონგ-ილ იუნი (სამხრეთ კორეა) — ნიკოლას მასიუ და მარსელო რიოსი (ჩილე) 6:3, 6:4; ტოდ ვუდბრიჯი და მარკ ვუდფორდი (1, ავსტრალია) — ლეანდერ პაესი და მაჰეშ ბჰუპატი (ინდოეთი) 6:3, 7:6 (7:1)

### ქალები

ერთეულები. მერვედფინალი

ვინუს უილიამსი (2, აშშ) — იანა კანდარი (გერმანია) 6:2, 6:2; დომინიკ ვან რუსტი (8, ბელგია) — სილვია ფარინა (იტალია) 6:1, 7:5; არანჩა სანჩეს-ვიკარიო (5, ესპანეთი) — ფაბიოლა ზულუაგა (კოლუმბია) 6:2, 6:0; მონიკა სელეში (3, აშშ) — ნატალი დეში (საფრანგეთი) 6:3, 6:2

წყვილები. პირველი წრე

ელენა დოკიჩი და რენე სტაბსი (6, ავსტრალია) — მანიშა მალჰორტა და ნირუპამა ვაიდიანათანი (ინდოეთი) 6:0, 6:0; კონჩიტა მარტინესი და არანჩა სანჩეს-ვიკარიო (2, ესპანეთი) — დანიელა ბედანოვა და კვეტა პრდლიჩკოვა (ჩეხეთი) 6:4, 6:3; ელს კალენსი და დომინიკ ვან რუსტი (5, ბელგია) — ივა მაიოლი და სილვია ტალაია (ხორვატია) 6:2, 5:7, 6:2; ოლგა ბარაბანშიკოვა და ნატაშა ზვერევა (ბელარუსი) — ბარბარა შეტი და პატრიცია ვარტუში (ავსტრია) 6:2, 6:2.



REUTERS სიდნეიდან

არანჩა სანჩეს-ვიკარიო მეოთხედფინალში ვინუს უილიამსს შეხვდება

ეროვნული ბიბლიოთეკა



# დღის გმირი

22 სექტემბერი

## დავიდ დუიე საფრანგეთი, ძიუდო



1969 წლის 17 თებერვლიდან რვა წელიწადი რომ გავიდა, ფრანგმა ძიუდოისტმა, თანამემამულეთაგან პირველმა მსოფლიო ჩემპიონმა, ჟან-ლუკ რუჟემ ერთი ზორბა და სხარტი ბიჭი შენიშნა. რუჟემ ბიჭი თავისთან, სექციაში მიიყვანა და როდესაც აღმოაჩინა, რომ ის თანატოლებზე 15 სანტიმეტრით მაღალი იყო, გაოცდა.

გავიდა კიდევ 16 წელიწადი და ძიუდოს სამყაროში მსოფლიოს ახალი ჩემპიონი გამოჩნდა — დავიდ დუიე, 195 სანტიმეტრი სიმაღლის, 130 კილოიანი გოლიათი.

გუშინ, უკვე 31 წლის ფრანგმა, სიდნეიში მორიგი ოქროს მედალი მოიპოვა და ვაჟ ძიუდოისტთა შორის გახდა პირველი, სამი ოლიმპიადის კვარცხლბეკზე რომ მდგარა — 1992-ში ბრინჯაო, 1996-ში ოქრო და ახლაც უმაღლესი ჯილდო.

საფრანგეთში, ათასგვარ ფონდებში საზოგადოებრივი საქმიანობით ცნობილ დავიდს წინა, ატლანტის ოლიმპიადის შემდეგ ბედმა დიდი გამოცდა მოუწყო. ჩემპიონობიდან ასე სამი თვე იქნებოდა გასული, როდესაც ღამის პარიზში მოტოციკლეტით მოსეირნე ძიუდოისტი საბარგო მანქანასთან შეჯახების შემდეგ საავადმყოფოში აღმოჩნდა. გადარჩება, მაგრამ სპორტისა რა მოგახსენოთო, ბრძანეს ექიმებმა და ერთი წლის შემდეგ, 1997-ში, ტელევიზორები რომ ჩართეს, თავიანთი პაციენტი კვლავ მსოფლიოს ჩემპიონის რანგში იხილეს.

აი, მას მერე კი დუიე ტატამიდან გაუჩინარდა. მხოლოდ ახლახანს გამოჩნდა ბონის ტურნირზე, სადაც ნახევარფინალში წააგო, მაგრამ ბრინჯაოსთვის ბრძოლაში გაიმარჯვა.

ხოლო გუშინ სამი შვილის დევკაცი მამა ერთხელაც გახდა ოლიმპიური ჩემპიონი.

და იცით, სიტყვა დუიე ფრანგულად რას ნიშნავს? რბილს, ნაზს, სუსტს...

## სროლა

ქალები. სპორტული პისტოლეტი

1. მარია გროზდევა (ბულგარეთი) 690,3; 2. ლუნა ტაო (ჩინეთი) 689,8; 3. ლოლიტა ევგლევსკაია (ბელარუსი) 686,0; ... 11. ნინო სალუქვაძე (საქართველო) 579; ... 33. ნინო უჩაძე (საქართველო) 567. სულ 42 მონაწილე.

ვაჟები. პნევმატური შაშხანა მოძრავ სამიზნეებზე

1. იანგ ლინგი (ჩინეთი) 681,1; 2. ოლეგ მოლდოვანი (მოლდოვა) 681,0; ნიუ ჟიუანი (ჩინეთი) 677,4.

## მშვილდოსნობა

### ვაჟები

ფინალი

კორეა — იტალია 55:247

მესამე ადგილისთვის

აშშ — რუსეთი 239:239 (ტაიბრეიკზე — 29:26)

## ბალახის ჰოკეი

### ქალები

A ჯგუფი

დიდი ბრიტანეთი 2:0 ესპანეთი

ავსტრალია 3:0 კორეა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ავსტრალია | 4 | 3 | 1 | 0 | 9:3 | 10 |
| არგენტინა | 4 | 2 | 0 | 2 | 5:6 | 6 |
| ესპანეთი | 4 | 1 | 2 | 1 | 2:3 | 5 |
| დიდი ბრიტანეთი | 4 | 1 | 1 | 2 | 5:5 | 4 |
| კორეა | 4 | 0 | 2 | 2 | 4:8 | 2 |

B ჯგუფი

სამხრეთ აფრიკა 1:0 ჩინეთი

ჰოლანდია 2:2 გერმანია

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ახალი ზელანდია | 4 | 2 | 1 | 1 | 7:5 | 7 |
| ჩინეთი | 4 | 2 | 0 | 2 | 4:5 | 6 |
| ჰოლანდია | 4 | 1 | 2 | 1 | 9:9 | 5 |
| გერმანია | 4 | 1 | 2 | 1 | 6:6 | 5 |
| სამხრეთ აფრიკა | 4 | 1 | 1 | 2 | 4:5 | 4 |

მეორე ჯგუფურ ეტაპზე მედლებისთვის ბრძოლას გააგრძელებენ: ავსტრალია, არგენტინა, ესპანეთი, ახალი ზელანდია, ჩინეთი, ჰოლანდია.

## კრივი

მერვედფინალი

48 კგ. მაიკრო რომერო (კუბა) — ველიკუ მარიანი (რუმინეთი) ნოკაუტი; ვალერი სიდორენკო (უკრაინა) — სუბან პუნონი (ტაილანდი) ტრავმა; ბრაჰიმ ასლუმი (საფრანგეთი) — ბრაიან ვილორია (აშშ) 6:4; კიმ კი სუკი (კორეა) — ლა პაენე მასარა (ინდონეზია) 8:4; ივან სტაპოვიჩი (ლიტვა) — ლიბორიო რომერო (მექსიკა) 24:11; კიმ უნ ჩოლი (ჩრდილოეთ კორეა) — პალ ლაკატოში (უნგრეთი) 20:8; სულეიმან ვანჯაუ ბილალი (კენია) — ფუმზილე მატიბილა (სამხრეთ აფრიკა) ნოკაუტი; რაფაელ ლოსანო მუნიოსი (ესპანეთი) — დანილო ლერიო (ფილიპინები) 17:175

60 კგ. ალმაზბეკ რაიმკულოვი (ყირგიზეთი) — ხოსე ლეონარდო კრუზ ლასო (კოლუმბია) 12:2; კრისტიან ბენიტესი (მექსიკა) — გეორგე ლუნგუ (რუმინეთი) 14:11; ნურჟან ქარიმჟანოვი (ყაზახეთი) — მაიკლ კაციდისი (ავსტრალია) 9:7; სელიმ ფალიანი (თურქეთი) — დევიდ ჯექსონი (აშშ) ჯექსონი არ გამოცხადდა; ანდრიი კოტელნიკი (უკრაინა) — რეიმონდ ნარი (განა) 17:11; ალექსანდრ მალეტინი (რუსეთი) — პატრიკ ლოპესი (ვენესუელა) ნოკაუტი; მარიო კინდელანი (კუბა) — ფონგსიტ ვიანგვისეტი (ტაილანდი) 14:8; ტიგრან უზლიანი (საბერძნეთი) — აშღარ ალი შაჰი (პაკისტანი) 17:15

75 კგ. ბკინ კაკაურიძე (თურქეთი) — იმ იუნგ ბინი (კორეა) ტრავმა; ფულარ ალეკპეროვი (აზერბაიჯანი) — პოლ მილერი (ავსტრალია) 9:8; ადრიან დიაკონუ (რუმინეთი) — ჯიტენდერ კუმარი (ინდოეთი) 12:3; ხორხე გუტიერესი (კუბა) — ანტონიოს იანულასი (საბერძნეთი) 20:7; ჯეფ ლეისი (აშშ) — პაველ კაკიეტეკი (პოლონეთი) 21:7; გაიდარბეკ გაიდარბეკოვი (რუსეთი) — ალბერტ ერმოსელე (ნიგერია) 15:9; ჟოლტ ერდეი (უნგრეთი) — ვლადისლავ ვიზილტერი (ყირგიზეთი) ნოკაუტი; ალექსანდრ ზუბრიხინი (უკრაინა) — მოჰამედ მესბაჰი (მაროკო) 9:5

## ცხენოსნობა

სამჭიდი. პირადი

1. დევიდ ოკონორი (აშშ) 34,00 საჯარიმო ქულა; 2. ენდრიუ ჰოი (ავსტრალია) 39,80; 3. მარკ ტოდი (ახალი ზელანდია) 42,00.

## კალათბურთი

# ამათ ოლიმპიადაზე რა ესაქმებათ?

### ქალები

A ჯგუფი

ავსტრალია 96:39 სენეგალი

საფრანგეთი 73:70 ბრაზილია (ძირითადი დრო 63:36)

სლოვაკეთი 68:56 კანადა

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ავსტრალია | 4 | 4 | 0 | 325:202 | 8 |
| საფრანგეთი | 4 | 4 | 0 | 276:218 | 8 |
| ბრაზილია | 4 | 2 | 2 | 298:262 | 6 |
| სლოვაკეთი | 4 | 1 | 3 | 226:260 | 5 |
| კანადა | 4 | 1 | 3 | 222:257 | 5 |
| სენეგალი | 4 | 0 | 4 | 167:315 | 4 |

B ჯგუფი

კორეა 75:73 რუსეთი (ძირითადი დრო 69:69)

აშშ 93:42 ახ. ზელანდია

პოლონეთი 72:65 კუბა

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| აშშ | 4 | 4 | 0 | 360:255 | 8 |
| პოლონეთი | 4 | 3 | 1 | 270:263 | 7 |
| რუსეთი | 4 | 2 | 2 | 306:271 | 6 |
| კორეა | 4 | 2 | 2 | 313:301 | 6 |
| კუბა | 4 | 1 | 3 | 262:289 | 5 |
| ახ. ზელანდია | 4 | 0 | 4 | 211:343 | 4 |



ფრანგი ნიკოლ ანტიბი (№15) და ბრაზილიელი ალექსანდრა ოლივეირა

**სიდნეის** ოლიმპიადას მსოფლიოს უძლიერეს კალათბურთელთა ნაკრებებისთვის მოუყრია თავი. როგორც ვაჟებში, ასევე ქალებში სულ 12-12 გუნდი ეცილება ერთმანეთს უკეთეს ადგილს, მაგრამ ზოგიერთთა შორის იმდენად დიდი სხვაობაა, რომ არა აუცილებელი ფორმალობა, მათი მატჩი სულ არ გაიმართებოდა. ქალთა ტურნირი ბევრით ჰგავს კაცებისას. ახალი ზელანდიის ნაკრებიც მოხვედრილა 12 ფინალისტს შორის, მაგრამ ავსტრალიელთა მეზობლები არც ერთი სქესის ნაკრებისგან არ უნდა ელოდნენ რომელიმე მედალს. უპირველესი ფავორიტიც ერთია, აშშ-ს ქალებიც და კაცებიც მხოლოდ ოქროს გეგმავენ.

22 სექტემბერს ახალმა ზელანდიამ კიდევ ერთხელ „ისახელა" თავი. ფავორიტ ამერიკელებთან ახალზელანდიელები განწირულები იყვნენ და ეს თავადაც ბრწყინვალედ უწყოდნენ, მაგრამ 51 ქულით დამარცხებამ კიდევ უფრო „მოუხვეჭა" მათ უიმედო აუტსაიდერის სახელი. ის კი არა, ახალმა ზელანდიამ პირველ ტაიმში მხოლოდ 17 ქულა ჩაუგდო ამერიკელ დიაცებს. მეორე ტაიმში მეტოქემ იგი დაინდო და 25 ქულის გაკეთების საშუალება მისცა.

კიდევ უფრო სასტიკად შერცხვნენ აფრიკის ჩემპიონები — სენეგალელები. მათ 38 ქულა ჩაუგდეს მასპინძელ ავსტრალიელებს, სულ კი 57 ქულის სხვაობით დამარცხდნენ.

მაგრამ ოლიმპიადაზე მარტო ფავორიტთა და განწირულთა დაპირისპირება როდია. 22 სექტემბერს ორჯერ დაინიშნა დამატებითი დრო. A ჯგუფში საფრანგეთმა ოვერტაიმში ბრაზილია დასცა. ასევე მხოლოდ დამატებით დროში (და მოულოდნელად) იმარჯვა კორეის ნაკრებმა, რომელმაც ერთ-ერთი ფავორიტი, რუსეთის ნაკრები შეიწირა.

**ირაკლი ფირცხვილი**

## ხელბურთი

# მარტო კარგი დასაწყისი არ კმარა

**გუშინდელმა** შეხვედრებმა ვადამდე გაარკვია თითქმის ყველა მეოთხედფინალისტის ვინაობა.

მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონ რუსეთს ორი ურთულესი მატჩი ჰქონდა დარჩენილი გერმანიასა და იუგოსლავიასთან. მედლებისთვის ბრძოლის უფლება მათ წინა ტურში გაინაღდეს, თუმცა ვლადიმერ მაქსიმოვის ბიჭები მხოლოდ მაქსიმალურ შედეგზე ფიქრობდნენ, რათა ფინალამდე არ გადაჰყროდნენ ჩემპიონ შვედებს. მაგრამ გერმანელთა წინააღმდეგ მშვენივრად დაწყებული თამაში, როგორც ხშირად ემართებათ, სამარცხვინოდ ჩაამთავრეს.

რუსებმა ტაიმი საგრძნობი უპირატესობით მოიგეს — 15:11, მერე კი მოეშვნენ და როცა მეტოქემ ანგარიში გაუთანაბრა, ხელმეორე სპურტისთვის ძალა აღარ აღმოაჩნდათ.

ეგვიპტემ დამაჯერებლად სძლია კორეის ნაკრებს და მეოთხედფინალის საგზური წაართვა.

მეორე ჯგუფში მოულოდნელობა არ მომხდარა, თუმცა შვედები ახლოს იყვნენ მარცხთან ექსჩემპიონ ფრანგებთან შეხვედრაში (სკანდინავიელებმა ტაიმი ორი ბურთით დათმეს — 9:11).

ამ ქვეჯგუფიდან მეოთხე გამსვლელდამრჩენის საკითხი ხვალ სლოვენია — ტუნისის მატჩში გაირკვევა.

**გია ახალაძე**



ეგვიპტელ ჰუსეინ ზაქის (ბურთით) კორეელი ვონ ჩულ პაეკი აჩერებს

### ვაჟები

A ჯგუფი

გერმანია 25:23 რუსეთი

იუგოსლავია 33:26 კუბა

ეგვიპტე 28:21 კორეა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გერმანია | 4 | 3 | 1 | 0 | 107:91 | 7 |
| რუსეთი | 4 | 3 | 0 | 1 | 102:96 | 6 |
| იუგოსლავია | 4 | 3 | 0 | 1 | 105:100 | 6 |
| ეგვიპტე | 4 | 2 | 0 | 2 | 100:94 | 4 |
| კორეა | 4 | 0 | 1 | 3 | 93:103 | 1 |
| კუბა | 4 | 0 | 0 | 4 | 100:123 | 0 |

B ჯგუფი

ესპანეთი 31:28 სლოვენია

ტუნისი 34:24 ავსტრალია

შვედეთი 24:23 საფრანგეთი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შვედეთი | 4 | 4 | 0 | 0 | 127:94 | 8 |
| ესპანეთი | 4 | 3 | 0 | 1 | 117:98 | 6 |
| საფრანგეთი | 4 | 2 | 1 | 1 | 92:88 | 5 |
| სლოვენია | 4 | 1 | 1 | 2 | 115:107 | 3 |
| ტუნისი | 4 | 1 | 0 | 3 | 91:95 | 2 |
| ავსტრალია | 4 | 0 | 0 | 4 | 90:150 | 0 |

ეროვნული ბიბლიოთეკა




ხესუს ხილი ლუის ფერნანდესს: ჩემთან ხომ არ იმუშავებდი?

# ბოდიში, თქვენ გელით ვირის აბანო

**სეგუნდა** დივიზიონი. პირველი ტური: „ლევანტე“ — „ატლეტიკო“ 4:1; მეორე ტური: „ატლეტიკო“ — „უელვა“ 0:1; მესამე ტური: „ხაენი“ — „ატლეტიკო“ 1:0.

ზედიზედ სამი წაგებისა და გათამაშების ცხრილში ბოლო ადგილზე გამყარების შემდეგ „ატლეტიკოს“ სკანდალურად ცნობილი მწვრთნელი ხესუს ხილი საკურორტო ქალაქ მარბელაში ჩავიდა. მცირე განმარტება: მარბელა ერთ-ერთი უძვირესი კურორტია მსოფლიოში. საშუალო შეძლების ევროპელის ჯიბე იქ დასასვენებლად ჩასვლას ვერ გაუძლებს. ხესუს ხილი ბოლო დრომდე ამ ქალაქის მერი იყო.

მოკლედ, ჩავიდა ხილი მარბელაში და ფიქრი მოეძალა, საფიქრალი კი იცოცხლეთ, გვარიანი ჰქონდა: რა უპასუხოს გამოძიებას და რა მოუხერხოს გუნდს. პირველი პრობლემით დავიწყოთ.

ბევრმა წყალმა ჩაიარა მას შემდეგ, რაც ხესუს ხილის მიერ აშენებული საცხოვრებელი სახლი ჩამოინგრა და 40 ადამიანი დაიღუპა. მაშინ ხილი იოლად გადარჩა და პროფილი შეიცვალა: ცემენტის მოპარვის ნაცვლად პირდაპირ ფულის მოპარვა დაიწყო — ხალხი მაინც არ დაიღუპებოდა. აქვე, პასუხისმგებლობის თავიდან ასაცილებლად, აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ, რომ „ატლეტიკოს“ პრეზიდენტს ჩვენ არაფერში ვადანაშაულებთ და მხოლოდ იმას ვწერთ, რაც ესპანეთის პროკურატურის ბრალდებაშია ნათქვამი.

შეგახსენებთ, რომ პროკურატურას ხესუს ხილის მიერ წარმოებული ფინანსური ოპერაციების არაკეთილსინდისიერებაში ეჭვი ერთი თითქოსდა უწყინარი სარეკლამო კამპანიის დროს გაუჩნდა.

ეს ასე იყო: ხილმა, როგორც მარბელას მერმა, გადაწყვიტა, რომ ამ ისედაც ფართოდ რეკლამირებულ კურორტს უფრო ხშირად სჭირდებოდა ხალხისთვის თავის შეხსენება და ერთ-ერთ საფეხბურთო კლუბს მოთამაშეთა მაისურებზე „მარბელა“ დააწერინა. რა ძნელი მისახვედრია, რომ ეს კლუბი მადრიდის „ატლეტიკო“ იყო. მშვენიერი საქმე გამოვიდა: ხესუს ხილმა მარბელას ბიუჯეტიდან გვარიანი თანხა აიღო და „ატლეტიკოს“ ანუ საკუთარ ჯიბეში ჩაიდო. როგორც ვთქვით, ამ ოპერაციამ პროკურატურა დააეჭვა და გამოძიება დაიწყო. გაირკვა: ხილმა სარეკლამო კამპანია მარბელას მუნიციპალიტეტთან შეუთანხმებლად ჩაატარა.

ერთი დანაშაულის მოკვლევას სხვა საქმეთა უფრო გრძელი ჯაჭვი მოჰყვა. „ატლეტიკოს“ მრავალრიცხოვანმა მევალეებმაც ჰაერში დენთის სუნი იყნოსეს და ვალების განაღდება მოითხოვეს. იქეთ ფეხბურთელები აწუწუნდნენ, ხელფას-პრემიებს გვიგვიანებენო. ჰოდა, აირია მონასტერი, ხოლო ხესუს ხილი წინა შობას სატუსაღოში შეხვდა. პატიმრობამ დიდხანს არ გასტანა და გაქნილმა პრეზიდენტმა მალევე დაიძვრინა თავი, თუმცა საკითხავია, რამდენი ხნით.

რამდენიმე დღის წინ ხესუს ხილი მადრიდელი მოსამართლე მანუელ გარსია კასტელონის წინაშე იდგა და ანგარიშს აბარებდა: წინა წელს 15,8 მილიარდი პესეტა (80,851 მილიონი დოლარი) მოვიხვეჭეთ, მაგრამ ხარჯიც ბევრი გვქონდა — 11,750 მილიარდი (60,126 მილიონი დოლარი. ქვემოთ თანხებს მხოლოდ დოლარებში მივუთითებთ). 30 მილიონამდე ახალი ფეხბურთელების შეძენაში გადავიხადეთ, ხუთი მილიონიც მათ დაზღვევაში, 12 მილიონისა ბანკის სესხი დავფარეთ, რეკლამა 14 მილიონი დაგვიჯდა, სატელეფონო საუბრები 4800 დოლარი. ღმერთმანი, კაპიკი არ მიმითვისებიაო.

მოსამართლე მანუელ გარსია კასტელონი ხესუს ხილის პასუხმა დააკმაყოფილა, თუმცა დროებით. ხესუს ხილმა იცის, რომ კასტელონი შემდეგ სხდომაზე რამდენიმე უხერხულ კითხვას დაუსვამს. მაგალითად, ასეთებს: 1999 წელს დონ ხილმა ბანკიდან კრედიტი გამოიტანა, რომელიც ფეხბურთელებს უნდა მოხმარებოდა. და თუ მართლაც ასე მოხდა, რატომ ჩივიან ფეხბურთელები? იქნებ დონ ხილმა დეტალურად აღწეროს იმ 14 მილიონის მოძრაობა, რომელიც მას რეკლამაში დაუხარჯავს?

... „ატლეტიკოს“ სკანდალურად ცნობილი პრეზიდენტი ხესუს ხილი საკურორტო ქალაქ მარბელაში ჩავიდა და ფიქრი მოეძალა. საფიქრალი კი იცოცხლეთ, გვარიანი ჰქონდა: რა უპასუხოს გამოძიებას და რა მოუხერხოს გუნდს.

ხვალ სეგუნდა დივიზიონის მეოთხე ტურში „ატლეტიკო“ „კომპოსტელას“ მასპინძლობს. ხესუს ხილმა საბოლოოდ გადაწყვიტა, რომ ფერნანდო სამბრანო გუნდის მწვრთნელი აღარ იქნება, ოღონდ როდის მოხსნას — „კომპოსტელასთან“ მატჩამდე თუ შემდეგ? თუ დააყოვნებს, ხომ შეიძლება „ატლეტიკო“ კარგად ათამაშდეს და სამბრანოს მოხსნის საბაბი დაკარგოს? არადა, ისე უნდა ამ მწვრთნელის მოცილება, როგორც აქამდე მოიცილა ერთი ვაგონი თავკაცები.

მაგრამ ვინ უნდა მოიყვანოს? დღეს „ატლეტიკოსგან“ მხოლოდ სახელია დარჩენილი, ვინ მოისურვებს იქ მუშაობას? იქნებ ლუის ფერნანდესის გადაბირება ეცადა? „ბილბაოში“ ურიგოდ არ მუშაობდა ფრანგი, ორი წლის წინ ბასკები ჩემპიონთა ლიგაშიც ათამაშა. უარი რომ თქვას? მაშინ გრეგორიო მანსანოს უნდა შევეხმიანო — აი, ასეთი აზრები უტრიალებს თავში ხესუს ხილი ხილს.

მეოთხე ტურში „ატლეტიკო“ „კომპოსტელას“ ხვდება, ზედიზედ სამი წაგების შემდეგ. წესით, მადრიდელთა საწვრთნელ ბაზაზე ვარჯიში უნდა ტარდებოდეს, საქმიანი ფუსფუსი უნდა იყოს. მსგავსი არაფერი: პრეზიდენტი მარბელაშია, ფეხბურთელები ისვენებენ, მწვრთნელი შინ არის, ოჯახთან. კლუბის ოფისში მხოლოდ ვიცე-პრეზიდენტი მიგელ ანხელ ხილი იმყოფება და ისიც პირადი საქმეების მოგვარებითაა დაკავებული.

ამასობაში კი ხესუს ხილი და ფერნანდო სამბრანო ერთმანეთს სიტყვიერად ეპაექრებიან, შუამავლად კი ჟურნალისტებს იყენებენ.

ფერნანდო სამბრანო: „პრეზიდენტის გადაწყვეტილებას წინაალმდეგობას ვერ გავუწევ, შეუძლია მომხსნას, თუმცა დიდი სურვილი მაქვს, „კომპოსტელასთან“ მატჩისას იქ ვიყო“.

ხესუს ხილი: „ამაზე ადვილი რაა, იყიდოს ბილეთი და მივიდეს სტადიონზე“.

ფერნანდო სამბრანო გაცხარდა: „თუ მოვინდომე, სტადიონზე უბილეთოდაც შევალ. მე მსურს, თამაშს სათადარიგოთა სკამიდან ვუყურო და არა ტრიბუნიდან. ნუთუ ვერ ხვდება?“

ხილი ხვდება, ყველაფერს ხვდება. ვფიქრობთ, ეს სამბრანო ვერ გარკვეულა იმაში, რომ პრეზიდენტი დასცინის და მისი დრო წასულია.

**ესპანური პრესის მიხედვით**
**მოამზადა ეკა ჯაფარიძემ**

# ლინჩის წესი ასეთია

## როი კინის ბიძას თავზე მილიონები დაეცა

**მან** ახალი „უემბლის“ ასაშენებლად საჭირო მილიარდამდე დოლარის გარკვეული ნაწილი თავის თავზე აიღო; ფეხბურთის მუზეუმის დაფინანსებაც, ინგლისის პირველი ჩემპიონის „პრესტონ ნორს ენდის“ ქალაქში რომ შენდება, იკისრა; ბობი მურის ქვრივმა ქმრის მიერ 1966 წელს მოპოვებული მსოფლიოს ჩემპიონის ოქროს მედლის გაყიდვა დააპირა და ესეც ამან იგდო ხელთ — სწორედ ფეხბურთის მუზეუმს გადავცემო.

ასეთი გულუხვი ინგლისური „ნეიშნლ ლოთერი“ ანუ ეროვნული ლატარიაა. უფრო სწორედ, მისი საქველმოქმედო ფონდი. კვირაში ორჯერ, ოთხშაბათობითა და შაბათობით, მთელი ბრიტანეთი 49-დან 6 ციფრის გამოცნობას და ჯეკ-პოტის მოგებას ცდილობს. შუა კვირაში ის არცთუ გრანდიოზულია, შაბათობით კი 8-9 მილიონ გირვანქას (13-15 მილიონი დოლარი) აღწევს. ჩამოყალიბების წლიდან (1995) დღემდე მისი წყალობით უკვე ათასზე მეტი ბრიტანელი გამილიონერდა.

ამ ოთხშაბათს ამათ რიცხვს 46 წლის მაიკლ ლინჩიც მიემატა და იქაურ მედიას რომ თავი ვანებოთ, აგერ, „სარბიელის“ საფეხბურთო გვერდზეც მოკალათდა. ამის მიზეზი კი ის გახლავთ, რომ ირლანდიური კორკის მკვიდრი ექვსი შვილის მამა „მანჩესტერ იუნაიტედის“ კაპიტნის, როი კინის ალალი ბიძაა.

...გათამაშება დამთავრდა. ლინჩების ოჯახში ზეიმია — იციან, რომ მოიგეს, მაგრამ რამდენი, ერთ საათში გაირკვევა. ეგ დროც მოდის და... 2,8 მილიონი გირვანქა!

რას იზამთ ამ შემთხვევაში? ჩვენში, ცხადია, მთავარი ამ ფაქტის დამალვა გახდებოდა, მაგრამ შეგახსენებთ, რომ ამჯერად ირლანდიაში ვიმყოფებით. ჰოდა, ატყდა ერთი რეკვა — თანამშრომლებთან, მეზობლებთან, დასთან... სუფრა ადგილობრივ პაბში გაიშალა.

„როიმ მობილურზე დამირეკა და მომილოცა. ის მეტად გულისხმიერი ბიჭია და ვიცი, რომ ალალად გაუხარდა. მე გავეხუმრე, მგონი შენზე მდიდარი გავხდი-მეთქი. არა, ცოტა მაინც გიკლიაო, სიცილით მომიგო“ — გამილიონერების და ცნობილ დისშვილთან საუბრის ამბავი ბიძამ გაზეთებს მეორე დღესვე ამცნო.

აქ ამ ამბის სპორტთან ანუ როი კინთან დაკავშირებული დეტალები წყდება, თუმცა ბარემ შაბათია, დრო ბევრი გვაქვს და მაიკლ ლინჩის ამბავიც ბოლომდე ვიკითხოთ. ახალგამომცხვარი მილიონერი ხუთშაბათ დილას სამსახურში მიბანცალდა (ქეიფი დილამდე გაგრძელებულა). სიტყვამ მოიტანა და კინის ბიძა აქამდე გაზის მრიცხველების ინკასატორი ყოფილა, წლიური 30 ათასი გირვანქა ანაზღაურებით (ამის წამკითხველი ჩვენებური ინკასატორები, წესით, ჩემთან სახლში აღარ უნდა მოვიდნენ. გ.კ.). აქ რაღა გინდა, ძმაო, წადი, თავი გაგვანებეო — თანამშრომლებს უთქვამთ და სიცილით დაუყოლებიათ — ეგრეა, კარგი ტიპები ვერ იგებენ, შენნაირ ქაქებს აქვთ ბედიო.

მოკლედ, მეტი რომ არ გავაგრძელოთ, ექვსი შვილის (შვიდიდან 24 წლამდე) მამა ამბობს, რომ არც სამსახურისთვის თავის განებებას აპირებს და არც თავის ოთხოთახიანი ბინიდან გადასვლას — აქ კარგი სამეზობლო გვყავს და სხვაგან წასვლას ისევ ძველი ბინის გარემონტება და გაფართოება გვიჯობსო. მისის ლინჩიც ანუ კინის ბიცოლაც ჯიგარი ქალი ყოფილა — ამ ფულს რას ვუზამთ, ჯერ არ ვიცი, მაგრამ ჯანმრთელობა და ბედნიერება რომ ყველაფერს სჯობს, ფაქტიაო.

ერთი ცუდი კი ჩაიფიქრა მაიკლ ლინჩმა, ცხადია, „მანჩესტერ იუნაიტედის“ ქომაგმა: „პირველი, რასაც გავაკეთებ, ის იქნება, რომ მანჩესტერში გადავფრინდები, „ოლდ ტრეფორდზე“ საყვარელი გუნდის თამაშს დავესწრები, მატჩის მერე კი ჩემს დისშვილს და მის მეგობრებს დავპატიჟებ და ლაზათიანად დავათრობ“.

არ გინდა, ბიძა! წელიწადში 2,7 მილიონი ხელფასის მქონე როიმ ხომ ახლახან იმკურნალა და ვგონებთ, ლოთობას შეეშვა. თუმცა ჩიზბურგერ-ჰამბურგერით გამოსვლაც რომ არ ივარგებს, ფაქტია.

გგონიათ, მოვრჩით მანჩესტერელი ვარსკვლავების პირად ცხოვრებაზე საუბარს? ვიქტორია ადამსი იყოს კარგად და მსგავს ამბებს რა გამოლევს. გუშინწინ ერთი ბექემის მეუღლეს და მეორე ბექემის დედას დღესასწაული ჰქონდა — ექიმებმა საბოლოოდ უარყვეს ვერსია მისი მენინგიტით დაავადების შესახებ. ეს ცნობა ფოშ-სპაისმა ახალი ვარცხნილობით აღნიშნა. ძალიან ცნობისმოყვარეებს ვაცნობებთ: ქალბატონ ადამსს გაუკეთეს სხვა ადამიანების თმებით დამზადებული კიკინები და ახლა მისი ვარცხნილობა ზუსტად შეესაბამება წითელინდურ სტილს, პოკაჰონტასი რომ ჰქვია (აუჰ!). პროცედურა ჩატარდა გოფს ოუკში, ვიქტორიას მშობლების სახლში, გრძელდებოდა ოთხი საათი, დაჯდა ზუსტად 1000 გირვანქა (2636 ლარი) და ასრულებდა ლონდონიდან საგანგებოდ გამოძახებული სტილისტი (პარიკმახერი ჩვენებურად) ფელენი ჯორჯო.

ჯერჯერობით მისის ბექემის ახალი თავი სიფთაზე არავის შეუფასებია — გუშინ იგი შინიდან ბენდენაწაკრული გამოვიდა. სწორედ ეს ფოტოა თქვენს წინაშე. პოკაჰონტასიან ვიქტორიას კი მსოფლიოში ყველაზე ოპერატიული ქართულენოვანი სპორტული გაზეთი, ალბათ, მომავალ კვირაში შემოგთავაზებთ.

**გიგა ქოგახიძე**



ბიძა: 2,8 მილიონი ერთ დღეში




დისშვილი: 2,7 მილიონი წელიწადში



THE SUN

ეროვნული ბიბლიოთეკა

სარბიელი

# სპორტული ლატარია "CROCO"

გერმანია. ბუნდესლიგა. მე-6 ტური

23 სექტემბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 18.30 | 002 | კიოლნი-ბაიერნი | 4,4 | 3,2 | 1,7 |
| 18.30 | 003 | შტუტგარტი-ბოხუმი | 1,55 | 3,3 | 5,3 |
| 18.30 | 004 | ვოლფსბურგი-ჰამბურგი | 2,1 | 2,9 | 3,4 |
| 18.30 | 005 | დორტმუნდი-შალკე | 1,75 | 3,2 | 3,6 |
| 18.30 | 006 | ვერდერი-აინტრახტი | 1,75 | 3,0 | 4,2 |
| 23.15 | 007 | კოტბუსი-ლევერკუზენი | 3,3 | 2,9 | 2,1 |

24 სექტემბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 20.30 | 008 | ჰანზა-კაიზერსლაუტერნი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 20.30 | 009 | უნტერჰახინგი-ჰერტა | 2,5 | 3,0 | 2,5 |

გერმანია. II ბუნდესლიგა. მე-6 ტური

23 სექტემბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 012 | ვალდჰოფი-როიტლინგენი | 1,75 | 3,0 | 4,4 |
| 18.00 | 013 | ზანქტ პაული-არმინია | 2,5 | 3,0 | 2,5 |

24 სექტემბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 014 | მაინცი-ფიურტი | 2,2 | 2,9 | 3,2 |
| 18.00 | 015 | ობერჰაუზენი-ქემნიცი | 1,6 | 3,4 | 5,0 |
| 18.00 | 016 | ოსნაბრიუკი-ჰანოვერი | 2,7 | 3,0 | 2,4 |
| 18.00 | 017 | ალენი-კიკერსი | 2,4 | 3,0 | 2,7 |

25 სექტემბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.15 | 018 | ალემანია-მიონხენგლადბახი | 2,4 | 2,9 | 2,8 |

ინგლისი. პრემიერლიგა. მე-7 ტური

23 სექტემბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 15.30 | 019 | მანჩესტერი-ჩელსი | 1,65 | 2,9 | 5,3 |
| 19.00 | 020 | ბრედფორდი-საუთჰემპტონი | 2,0 | 2,9 | 3,6 |
| 19.00 | 021 | ქოვენთრი-ვესტ ჰემი | 2,0 | 3,0 | 3,5 |
| 19.00 | 022 | დერბი-ლიდსი | 2,8 | 3,0 | 2,3 |
| 19.00 | 023 | იფსვიჩი-არსენალი | 3,8 | 3,0 | 1,9 |
| 19.00 | 024 | ლივერპული-სანდერლენდი | 1,25 | 5,0 | 9,0 |
| | 025 | ლივერპული-სანდერლენდი 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| 19.00 | 026 | მიდლსბრო-ასტონ ვილა | 2,3 | 2,9 | 3,0 |
| 19.00 | 027 | ნიუკასლი-ჩარლტონი | 1,4 | 3,8 | 7,0 |
| | 028 | ნიუკასლი-ჩარლტონი 0:1 | 2,0 | 3,0 | 2,4 |
| 19.00 | 029 | ტოტენჰემი-სიტი | 1,5 | 3,5 | 6,0 |

24 სექტემბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 20.00 | 030 | ლესტერი-ევერტონი | 1,75 | 3,0 | 4,4 |

ინგლისი. I დივიზიონი. მე-9 ტური

23 სექტემბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 031 | ბირმინგემი-ტრანმერი | 1,55 | 3,4 | 5,6 |
| 19.00 | 032 | ბლექბერნი-ბოლტონი | 2,0 | 2,9 | 3,6 |
| 19.00 | 033 | ქრიუ-ბარნლი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 19.00 | 034 | კრისტალ პალასი-შეფილდი | 2,2 | 2,9 | 3,2 |
| 19.00 | 035 | ფულემი-ჯილინგემი | 1,25 | 5,0 | 9,0 |
| | 036 | ფულემი-ჯილინგემი 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| 19.00 | 037 | გრიმსბი-ნოტინგემი | 2,4 | 3,0 | 2,7 |
| 19.00 | 038 | ჰადერსფილდი-ბარნლი | 2,0 | 3,1 | 3,4 |
| 19.00 | 039 | პორტსმუთი-ვესტ ბრომვიჩი | 1,9 | 2,9 | 4,0 |
| 19.00 | 040 | ქუინზპარკი-უიმბლდონი | 2,4 | 3,0 | 2,7 |
| 19.00 | 041 | უენსდი-პრესტონი | 2,3 | 3,1 | 2,8 |
| 19.00 | 042 | სტოკპორტი-უოტფორდი | 3,1 | 3,0 | 2,2 |

24 სექტემბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 17.00 | 043 | ვულვერჰემპტონი-ნორვიჩი | 1,7 | 3,1 | 4,7 |

ინგლისი. II დივიზიონი. მე-9 ტური

23 სექტემბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 044 | ბორნმუთი-ოლდემი | 1,8 | 3,1 | 4,0 |
| 19.00 | 045 | ბრისტოლი-კოლჩესტერი | 1,8 | 3,3 | 3,6 |
| 19.00 | 046 | ბერი-პორტ ვეილი | 1,8 | 3,1 | 4,0 |
| 19.00 | 047 | კემბრიჯი-როვერსი | 2,3 | 2,9 | 3,0 |
| 19.00 | 048 | ლუტონი-სუინდონი | 1,9 | 3,2 | 3,5 |
| 19.00 | 049 | მილუოლი-ოქსფორდი | 1,5 | 3,5 | 6,0 |
| 19.00 | 050 | ნოტსი-ბრენტფორდი | 1,9 | 3,2 | 3,6 |
| 19.00 | 051 | რედინგი-სუონსი | 1,6 | 3,4 | 5,0 |
| 19.00 | 052 | სტოკი-როტერჰემი | 1,6 | 3,4 | 5,0 |
| 19.00 | 053 | უიგანი-ნორთჰემპტონი | 1,6 | 3,3 | 5,3 |
| 19.00 | 054 | რექსემი-უოლსოლი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 19.00 | 055 | უიკომბი-პიტერბრო | 1,9 | 3,1 | 3,6 |

ინგლისი. III დივიზიონი. მე-9 ტური

23 სექტემბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 057 | ბარნეტი-ჰალი | 1,6 | 3,4 | 5,0 |
| 19.00 | 058 | ბლეკპული-ჩესტერფილდი | 2,9 | 3,0 | 2,3 |
| 19.00 | 059 | კარდიფი-კიდერმინსტერი | 1,8 | 3,1 | 4,0 |
| 19.00 | 060 | კარლაისლი-ექსეტერი | 2,1 | 3,1 | 3,2 |
| 19.00 | 061 | ჩელტენემი-პლიმუთი | 1,75 | 3,0 | 4,4 |
| 19.00 | 062 | ლეიტონი-ლინკოლნი | 1,8 | 3,1 | 4,0 |
| 19.00 | 063 | მენსფილდი-ჰარტლპული 2,0 | 3,1 | 3,4 | |
| 19.00 | 064 | შრიუსბერი-როჩდეილი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 19.00 | 065 | საუთენდი-სკანთორპი | 2,1 | 3,0 | 3,3 |
| 19.00 | 066 | ტორკი-ჰალიფაქსი | 1,7 | 3,2 | 4,4 |
| 19.00 | 067 | იორკი-ბრაიტონი | 2,5 | 3,0 | 2,5 |

საფრანგეთი. I დივიზიონი. მე-9 ტური

23 სექტემბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 20.15 | 068 | ოსერი-მარსელი | 2,1 | 2,8 | 3,5 |
| 23.00 | 069 | ბორდო-ტულუზი | 1,4 | 4,0 | 6,5 |
| | 070 | ბორდო-ტულუზი 0:1 | 2,0 | 3,0 | 2,4 |
| 23.00 | 071 | ლიონი-გენგამი | 1,4 | 3,8 | 7,0 |
| | 072 | ლიონი-გენგამი 0:1 | 2,0 | 3,0 | 2,4 |
| 23.00 | 073 | მეცი-მონაკო | 2,3 | 3,0 | 2,9 |
| 23.00 | 074 | პსჟ-ნანტი | 1,5 | 3,4 | 6,5 |
| 23.00 | 075 | რენი-ტრუა | 1,9 | 2,8 | 4,2 |
| 23.00 | 076 | სედანი-ბასტია | 2,2 | 2,9 | 3,2 |
| 23.00 | 077 | სტრასბური-სენტ ეტიენი | 2,4 | 2,9 | 2,7 |

24 სექტემბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.45 | 078 | ლილი-ლანსი | 2,3 | 2,8 | 3,1 |

საფრანგეთი. II დივიზიონი. მე-11 ტური

23 სექტემბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.00 | 079 | აიაჩო-ლავალი | 2,4 | 2,7 | 3,0 |
| 23.00 | 080 | ანჟე-ვასკეალი | 2,0 | 2,7 | 4,0 |
| 23.00 | 081 | კაენი-ნიცა | 2,1 | 2,7 | 3,6 |
| 23.00 | 082 | კანი-მონპელიე | 2,9 | 2,8 | 2,4 |
| 23.00 | 083 | შატორუ-ნანსი | 2,6 | 2,8 | 2,6 |
| 23.00 | 084 | ლე მანი-ლორიანი | 2,2 | 2,7 | 3,4 |
| 23.00 | 085 | მარტიგი-გენიონი | 1,8 | 2,9 | 4,4 |
| 23.00 | 086 | ნიმი-ბოვუა | 1,6 | 3,0 | 6,5 |
| 23.00 | 087 | ნიორი-კრეტეი | 1,6 | 3,0 | 6,5 |
| 23.00 | 088 | სოშო-ლე ავრი | 2,0 | 2,8 | 3,8 |

იტალია. სერია B. მე-6 ტური

24 სექტემბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 089 | კროტონე-კიევო | 2,4 | 2,5 | 3,2 |
| 18.00 | 090 | პესკარა-მონცა | 1,8 | 2,6 | 5,0 |
| 18.00 | 091 | პისტოიეზე-ჩიტადელა | 1,8 | 2,6 | 5,0 |
| 18.00 | 092 | ტერნანა-ემპოლი | 1,9 | 2,6 | 3,8 |

25 სექტემბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.45 | 093 | ჯენოა-რავენა | 1,6 | 2,7 | 6,0 |

იტალია. სერია [illegible]. მე-4 ტური

24 სექტემბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 094 | ალძანო-ბრეშელო | 1,6 | 2,9 | 7,0 |
| 19.00 | 095 | არეცო-ალბინოლეფე | 2,1 | 2,5 | 4,0 |
| 19.00 | 096 | ჩეზენა-მოდენა | 1,8 | 2,6 | 5,0 |
| 19.00 | 097 | კომო-ლუკეზე | 2,4 | 2,5 | 3,2 |
| 19.00 | 098 | ლივორნო-კარარეზე | 1,7 | 2,6 | 6,5 |
| 19.00 | 099 | ლუმეცანე-ლეკო | 1,8 | 2,6 | 5,0 |
| 19.00 | 100 | რეჯანა-ვარეზე | 2,0 | 2,5 | 4,4 |
| 19.00 | 101 | სპალ-ალესანდრია | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| | 102 | სპალ-ალესანდრია 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |

25 სექტემბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.30 | 103 | სპეცია-პიზა | 2,6 | 2,5 | 2,9 |

იტალია. სერია C1/B. მე-4 ტური

24 სექტემბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 104 | ასკოლი-პეზარო | 1,45 | 3,4 | 7,5 |
| | 105 | ასკოლი-პეზარო 0:1 | 2,0 | 3,0 | 2,4 |
| 19.00 | 106 | ბენევენტო-ფერმანა | 2,1 | 2,5 | 4,0 |
| 19.00 | 107 | კატანია-აკილა | 1,45 | 3,3 | 7,0 |
| 19.00 | 108 | ფ.ანდრია-ვიტერბეზე | 1,9 | 2,5 | 4,7 |
| 19.00 | 109 | მესინა-ატლეტიკო | 1,9 | 2,6 | 4,7 |
| 19.00 | 110 | ნოჩერინა-დი სანგრო | 1,65 | 2,6 | 6,0 |
| 19.00 | 111 | პალერმო-აველინო | 1,5 | 3,3 | 7,0 |
| 19.00 | 112 | ტორესი-ჯულიანოვა | 2,3 | 2,5 | 3,4 |
| 19.00 | 113 | სავოია-ლოდიჯანი | 1,45 | 3,3 | 7,0 |

ესპანეთი. I დივიზიონი. მე-3 ტური

23 სექტემბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.15 | 118 | სოსიედადი-დეპორტივო | 2,5 | 2,9 | 2,6 |
| 24.00 | 115 | რეალი-ბილბაო | 1,5 | 3,4 | 6,5 |
| 24.00 | 116 | ბარსელონა-რასინგი | 1,25 | 5,0 | 9,0 |
| | 117 | ბარსელონა-რასინგი 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| 24.00 | 121 | სარაგოსა-ალავესი | 1,8 | 3,0 | 4,2 |
| 01.00 | 123 | ლას პალმასი-ვალიადოლიდი | 2,3 | 2,9 | 3,0 |

24 სექტემბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 20.00 | 114 | ნუმანსია-ვალენსია | 2,8 | 2,9 | 2,4 |
| 21.00 | 122 | ვილიარეალი-ოვიედო | 1,9 | 2,9 | 4,0 |
| 22.00 | 120 | ოსასუნა-რაიო ვალეკანო | 2,3 | 2,9 | 3,0 |
| 22.00 | 124 | მალიორკა-მალაგა | 1,8 | 3,0 | 4,2 |
| 23.00 | 119 | სელტა-ესპანიოლი | 1,6 | 3,1 | 6,0 |

ესპანეთი. II დივიზიონი. მე-4 ტური

23 სექტემბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 21.00 | 125 | ფეროლი-ელჩე | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 21.00 | 127 | ატლეტიკო-კომპოსტელა | 1,65 | 3,3 | 4,0 |
| 21.00 | 128 | კორდობა-ხაენი | 2,1 | 2,9 | 3,4 |
| 21.00 | 130 | ტენერიფე-ლევანტე | 1,7 | 3,0 | 5,0 |
| 22.00 | 129 | უნივერსიდადი-უელვა | 2,6 | 2,9 | 2,4 |

24 სექტემბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 15.00 | 135 | სევილია-ლეიდა | 1,45 | 3,5 | 7,0 |
| | 136 | სევილია-ლეიდა 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| 20.00 | 131 | ესტრემადურა-ხეტაფე | 1,5 | 3,4 | 6,5 |
| 21.00 | 132 | ეიბარი-სპორტინგი | 2,3 | 2,9 | 3,0 |
| 21.00 | 134 | სალამანკა-ლეგანესი | 1,8 | 3,1 | 4,0 |
| 22.00 | 126 | ბადახოსი-ბეტისი | 2,6 | 2,8 | 2,6 |
| 22.00 | 133 | მურსია-ალბასეტე | 2,6 | 2,9 | 2,5 |

პორტუგალია. I ლიგა. მე-5 ტური

23 სექტემბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.00 | 138 | ჟილ ვისენტე-სპორტინგი | 4,2 | 3,0 | 1,8 |
| 01.30 | 139 | ბოავიშტა-ბენფიკა | 2,4 | 2,9 | 2,8 |

24 სექტემბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 20.00 | 140 | ამადორა-ბელენენსეში | 2,1 | 2,9 | 3,4 |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 20.00 | 141 | ლეირია-ფერეირა | 1,55 | 3,3 | 5,6 |
| 20.00 | 142 | ბეირა მარი-კამპომაიორენსე | 2,3 | 2,9 | 3,0 |
| 20.00 | 143 | ავეში-ფარენსე | 2,4 | 2,9 | 2,8 |
| 20.00 | 144 | ბრაგა-ალვერკა | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| | 145 | ბრაგა-ალვერკა | | | |
| | | 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| 23.00 | 146 | პორტუ-მარიტიმუ | 1,3 | 4,4 | 8,0 |
| | 147 | პორტუ-მარიტიმუ | | | |
| | | 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |
| | | პორტუგალია. II ლიგა. მე-5 ტური | | | |
| | | 24 სექტემბერი | | | |
| 15.00 | 148 | აკადემიკა-ვარზიმი | 2,2 | 2,9 | 3,2 |
| 20.00 | 149 | შავეში-რიუ ავე | 2,3 | 2,9 | 3,0 |
| 20.00 | 150 | მაია-სანტა კლარა | 2,5 | 2,9 | 2,6 |
| 20.00 | 151 | ნავალი-ნასიონალი | 1,7 | 3,0 | 5,0 |
| 20.00 | 152 | ესპინიუ-ფელგეირაში | 1,9 | 2,9 | 4,0 |
| 20.00 | 153 | პენაფიელი-ოვარენსე | 1,7 | 3,1 | 4,7 |
| 20.00 | 154 | მარკუ-ლეცა | 2,1 | 2,9 | 3,4 |
| 20.00 | 155 | ლამაში-იმორტალი | 1,3 | 4,4 | 8,0 |
| | 156 | ლამაში-იმორტალი | | | |
| | | 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |
| 21.00 | 157 | სეტუბალი-ფრეამუნდე | 1,5 | 3,4 | 6,5 |
| | | ჰოლანდია. I დივიზიონი. მე-6 ტური | | | |
| | | 23 სექტემბერი | | | |
| 22.30 | 160 | სიტარდი-ვიტესი | 4,0 | 3,1 | 1,8 |
| | | 24 სექტემბერი | | | |
| 17.30 | 161 | გრონინგენი-უტრეხტი | 2,3 | 3,1 | 2,8 |
| 17.30 | 162 | ბრედა-ტილბურგი | 2,3 | 3,1 | 2,8 |
| 17.30 | 163 | ტვენტე-გრააფსხაპი | 1,45 | 3,5 | 7,0 |
| | 164 | ტვენტე-გრააფსხაპი | | | |
| | | 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| 20.15 | 165 | ვალვაიკი-ნაიმეგენი | 1,9 | 3,1 | 3,6 |
| | | ჰოლანდია. II დივიზიონი. მე-6 ტური | | | |
| | | 25 სექტემბერი | | | |
| 23.00 | 166 | ჰელმონდი-ტელსტარი | 1,9 | 3,2 | 3,5 |
| 23.00 | 167 | ეინდჰოვენი-ვეენდამი | 1,7 | 3,2 | 4,4 |
| 23.00 | 168 | ჰერაკლესი-ვენლო | 1,6 | 3,4 | 5,0 |
| 23.00 | 169 | კამბური-დენ ბოსხი | 2,3 | 3,2 | 2,7 |
| 23.00 | 170 | ემენი-ექსელსიორი | 2,0 | 3,1 | 3,4 |
| 23.00 | 171 | დორდრეხტი-მაასტრიხტი | 2,2 | 3,2 | 2,9 |
| 23.00 | 172 | ოსი-ცვოლე | 3,1 | 3,2 | 2,1 |
| | | ბელგია. I დივიზიონი. მე-7 ტური | | | |
| | | 23 სექტემბერი | | | |
| 23.00 | 175 | ბევერენი-მუსკრონი | 2,9 | 3,2 | 2,2 |
| 23.00 | 176 | შარლერუა-გენტი | 2,3 | 3,2 | 2,7 |
| 23.00 | 177 | ანტვერპენი-გენკი | 2,7 | 3,0 | 2,4 |
| 23.00 | 178 | მეხელენი-ბეერსხოტი | 2,3 | 3,2 | 2,7 |
| 23.00 | 179 | სენტ ტრუიდენი-სტანდარდი | 3,3 | 3,2 | 2,0 |
| 23.00 | 180 | ვესტერლო-ლოკერენი | 1,5 | 3,5 | 6,0 |
| | | 24 სექტემბერი | | | |
| 18.00 | 181 | აალსტი-ლუვიე | 1,9 | 3,0 | 3,8 |
| 18.00 | 182 | ჰარელბეკე-ბრიუგე | 4,7 | 3,1 | 1,7 |
| | | ბელგია. II დივიზიონი. მე-6 ტური | | | |
| | | 23 სექტემბერი | | | |
| 22.30 | 183 | დესელი-ტურნჰაუტი | 2,1 | 3,0 | 3,3 |
| 22.30 | 184 | გეელი-ლიეჟი | 1,4 | 4,0 | 6,5 |
| | 185 | გეელი-ლიეჟი | | | |
| | 0:1 | | 2,0 | 3,0 | 2,4 |
| 23.00 | 186 | ჰეკელგემი-მოლენბეკი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 23.00 | 187 | სერკლი-ჰეუსდენი | 1,35 | 4,0 | 7,5 |
| | 188 | სერკლი-ჰეუსდენი | | | |
| | | 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| 23.00 | 189 | ინგელმუნსტერი-რუზელარე | 1,25 | 5,0 | 9,0 |
| | 190 | ინგელმუნსტერი-რუზელარე | | | |
| | 0:1 | | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| 23.00 | 191 | ოსტენდე-ლომელი | 3,3 | 3,2 | 2,0 |
| | | 24 სექტემბერი | | | |
| 18.00 | 192 | ტინენი-მაასლანდი | 1,9 | 3,1 | 3,6 |
| 18.00 | 193 | სტრომბეკი-მონსი | 1,9 | 3,1 | 3,6 |
| 18.00 | 194 | დენდერლეუ-დაინცე | 1,7 | 3,3 | 4,2 |
| | | საბერძნეთი. მე-2 ტური | | | |
| | | 23 სექტემბერი | | | |
| 22.00 | 195 | პანიონიოსი-პანათინაიკოსი | 4,7 | 3,1 | 1,7 |
| | | 24 სექტემბერი | | | |
| 21.30 | 196 | ეთნიკოსი-იონიკოსი | 1,8 | 3,0 | 4,2 |
| 21.30 | 197 | არისი-პანილიაკოსი | 1,4 | 3,8 | 7,0 |
| | 198 | არისი-პანილიაკოსი | | | |
| | | 0:1 | 2,0 | 3,0 | 2,4 |
| 21.30 | 199 | ათინაიკოსი-აეკ | 4,7 | 3,1 | 1,7 |
| 21.30 | 200 | ირაკლისი-პანაჰაიკი | 1,5 | 3,4 | 6,5 |
| 21.30 | 201 | იანინა-პაოკ | 2,9 | 3,0 | 2,3 |
| 23.15 | 202 | ოფი-ოლიმპიაკოსი | 4,7 | 3,1 | 1,7 |
| | | 25 სექტემბერი | | | |
| 21.30 | 203 | ქსანთი-კალამატა | 1,8 | 3,0 | 4,2 |
| | | ჩეხეთი. მე-8 ტური | | | |
| | | 23 სექტემბერი | | | |
| 22.00 | 205 | ბოჰემიანსი-ლიბერეცი | 2,5 | 2,9 | 2,6 |
| | | 24 სექტემბერი | | | |
| 19.30 | 206 | ბლშანი-ჟიჟკოვი | 1,8 | 3,1 | 4,0 |
| 19.30 | 207 | პლზენი-ბანიკი | 2,3 | 3,0 | 2,9 |
| | | თურქეთი. მე-6 ტური | | | |
| | | 23 სექტემბერი | | | |
| 21.00 | 209 | ადანა-ანთალია | 2,2 | 3,0 | 3,1 |
| 21.00 | 210 | გალათასარაი-ისთანბული | 1,15 | 6,0 | 12,0 |
| | 211 | გალათასარაი-ისთანბული | | | |
| | | 0:1 | 1,4 | 3,6 | 4,0 |
| 21.00 | 212 | გაზიანთეფი-იეთფა | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 213 | გაზიანთეფი-იეთფა | | | |
| | | 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| 21.00 | 214 | ბურსა-სამსუნი | 2,3 | 3,0 | 2,9 |
| | | 24 სექტემბერი | | | |
| 21.00 | 215 | დენიზლი-რიზე | 1,9 | 2,9 | 4,0 |
| 21.00 | 216 | ფენერბაჰჩე-იოზგათი | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| | 217 | ფენერბაჰჩე-იოზგათი | | | |
| | | 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |
| 21.00 | 218 | ერზურუმი-ქოჯაელი | 1,8 | 3,2 | 3,8 |
| 21.00 | 219 | ტრაბზონი-გენჩლერბირლიგი | 1,7 | 3,2 | 4,4 |
| | | შოტლანდია. მე-9 ტური | | | |
| | | 23 სექტემბერი | | | |
| 19.00 | 220 | სელტიკი-დანდი | 1,25 | 5,0 | 9,0 |
| | 221 | სელტიკი-დანდი | | | |
| | | 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| 19.00 | 222 | დანდი იუნაიტედი-აბერდინი | 2,3 | 3,0 | 2,9 |
| 19.00 | 223 | დანფერმლაინი-ჰიბერნიანი | 2,8 | 2,9 | 2,4 |
| 19.00 | 224 | მოზერუელი-რეინჯერსი | 6,0 | 3,5 | 1,5 |
| 19.00 | 225 | სენტ მირენი-სენტ ჯონსტონი | 2,5 | 2,9 | 2,6 |
| | | 24 სექტემბერი | | | |
| 22.05 | 226 | ჰართსი-კილმარნოკი | 1,9 | 2,9 | 4,0 |
| | | ავსტრია. მე-12 ტური | | | |
| | | 23 სექტემბერი | | | |
| 18.30 | 228 | აუსტრია-ადმირა | 1,15 | 6,0 | 12,0 |
| | 229 | აუსტრია-ადმირა | | | |
| | | 0:1 | 1,4 | 3,6 | 4,0 |
| 18.30 | 230 | ზალცბურგი-ლინცერი | 1,3 | 4,4 | 8,0 |
| | 231 | ზალცბურგი-ლინცერი | | | |
| | | 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |
| 18.30 | 232 | ტიროლი-ბრეგენცი | 1,45 | 3,2 | 5,6 |
| | | 24 სექტემბერი | | | |
| 19.30 | 233 | შტურმი-რაპიდი | 2,4 | 3,0 | 2,7 |
| | | შვეიცარია. A ჯგუფი. მე-12 ტური | | | |
| | | 23 სექტემბერი | | | |
| 20.30 | 236 | ლოზანა-გრასჰოპერი | 2,1 | 2,9 | 3,4 |
| 22.30 | 237 | სიონი-ბაზელი | 2,3 | 2,9 | 3,0 |
| | | 24 სექტემბერი | | | |
| 17.30 | 238 | არაუ-სერვეტი | 2,4 | 3,0 | 2,7 |
| 19.15 | 239 | სენტ გალენი-ლუგანო | 2,0 | 3,0 | 3,5 |
| | | შვეიცარია. B ჯგუფი. მე-14 ტური | | | |
| | | 23 სექტემბერი | | | |
| 20.30 | 240 | კარუჟი-ბადენი | 2,3 | 3,0 | 2,9 |
| 20.30 | 241 | კრინსი-იანგ ბოისი | 3,5 | 3,0 | 2,0 |
| 20.30 | 242 | სოლოთურნი-ვანგენი | 2,3 | 3,0 | 2,9 |
| 22.30 | 243 | ბელინცონა-ვინტერთური | 1,8 | 3,1 | 4,0 |
| 22.30 | 244 | დელემონი-ლოკარნო | 1,6 | 3,2 | 5,6 |
| 22.30 | 245 | თუნი-ვილი | 2,2 | 3,0 | 3,1 |
| | | დანია. მე-10 ტური | | | |
| | | 24 სექტემბერი | | | |
| 18.00 | 247 | მიდტიულანდი-აკადემისკი | 1,8 | 3,1 | 4,0 |
| 18.00 | 248 | ოდენსე-ჰერფიოლგე | 2,0 | 3,1 | 3,4 |
| 18.00 | 249 | სილკებორგი-კოპენჰაგენი | 2,2 | 3,1 | 3,0 |
| 20.05 | 250 | ბრიონდბიუ-ოლბორგი | 1,6 | 3,3 | 5,3 |
| | | 25 სექტემბერი | | | |
| 22.00 | 251 | ორჰუსი-ჰადერსლევი | 1,35 | 4,0 | 7,5 |
| | 252 | ორჰუსი-ჰადერსლევი | | | |
| | | 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| | | რუსეთი. 25-ე ტური | | | |
| | | 23 სექტემბერი | | | |
| 19.00 | 254 | როტორი-ნ.ნოვგოროდი | 1,5 | 3,5 | 5,0 |
| 19.00 | 255 | ფაკელი-დინამო | 3,3 | 3,0 | 2,1 |
| 19.00 | 256 | კრილია-ჩერნომორეცი | 2,5 | 2,9 | 2,6 |
| 19.00 | 257 | ლოკომოტივი-ტორპედო | 1,5 | 3,3 | 5,0 |
| 19.00 | 258 | ურალანი-ზენიტი | 2,0 | 3,0 | 2,0 |
| 19.00 | 259 | ალანია-როსტსელმაში | 1,8 | 2,9 | 4,4 |
| | | შვედეთი. 21-ე ტური | | | |
| | | 23 სექტემბერი | | | |
| 18.00 | 260 | გაის-ჰელსინგბორგი | 3,3 | 3,2 | 2,0 |
| | | 24 სექტემბერი | | | |
| 20.00 | 261 | ნორჩიოპინგი-სუნდსვალი | 1,8 | 3,2 | 3,8 |
| 20.00 | 262 | იორგრიტე-ჰალმსტადი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| | | 25 სექტემბერი | | | |
| 22.00 | 263 | ელფსბორგი-ფრიოლუნდა | 1,3 | 4,4 | 8,0 |
| | 264 | ელფსბორგი-ფრიოლუნდა | | | |
| | | 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |
| 22.00 | 265 | ჰეკენი-ტრელებორგი | 2,2 | 3,1 | 3,0 |
| | | ნორვეგია. გადადებული მატჩი | | | |
| | | 24 სექტემბერი | | | |
| 19.00 | 266 | ლილესტრიომი-სტაბეკი | 2,2 | 3,0 | 2,9 |
| | | ინგლისი. ლიგის თასის II ეტაპი. II მატჩი | | | |
| | | 25 სექტემბერი | | | |
| 23.45 | 267 | ბრედფორდი-დარლინგტონი | 1,2 | 5,6 | 10,0 |
| | | იტალია. თასის 1/8 ფინალი. II მატჩები | | | |
| | | 23 სექტემბერი | | | |
| 21.00 | 269 | მილანი-ტორინო | 1,2 | 5,6 | 10,0 |
| 21.00 | 270 | ფიორენტინა-სალერნიტანა | 1,2 | 5,6 | 10,0 |
| 21.00 | 271 | უდინეზე-პიაჩენცა | 1,4 | 3,8 | 7,0 |
| 23.45 | 272 | იუვენტუსი-ბრეშა | 1,2 | 5,6 | 10,0 |
| 18.00 | 273 | პარმა-ვენეცია | 1,2 | 5,6 | 10,0 |
| 20.30 | 274 | ლაციო-სამპდორია | 1,15 | 6,0 | 12,0 |
| 20.30 | 275 | ლეჩე-ინტერი | 4,2 | 3,0 | 1,8 |
| | | ჰოლანდია. თასის I ეტაპი | | | |
| | | 23 სექტემბერი | | | |
| 18.00 | 276 | სპარტა-ვოლენდამი | 1,3 | 4,4 | 8,0 |
| | | ნორვეგია. თასის 1/2 ფინალი | | | |
| | | 23 სექტემბერი | | | |
| 18.15 | 277 | ოდ გრენლანდი-ბოდიო | 1,8 | 3,1 | 4,0 |
| | | 24 სექტემბერი | | | |
| 18.15 | 278 | ვიკინგი-სტარტი | 1,4 | 3,8 | 7,0 |

***ოლიმპიადის ფსონებს გაეცნობით ადგილზე***

ეროვნული ბიბლიოთეკა

F1 მეთხუთმეტე ეტაპი **აშშ-ის დიდი პრიზი**

## მოტორ სპიდვეი

*ინდიანაპოლისი, 24 სექტემბერი*



**ტრასის სიგრძე** ................................ 4.195 კმ
**რბოლის დისტანცია** ................................ 73 წრე — 306.235 კმ

*რბოლა დაიწყება ჩვენი დროით 24 საათზე*

**ბოლო რბოლის შედეგები**

1991 (ფინიქსი) — 1 სენა (მაკლარენი); 2 პროსტი (ფერარი); 3 პიკე (ბენეტონი); 4 მოდენა (ტირელი); 5 ნაკაჯიმა (ტირელი); 6 სუძუკი (ლოლა)

**ამ ტრასაზე რბოლა პირველად გაიმართება**



„იაგუარ-ფორდი" ნიუ იორკის ქუჩებში. ცხრა წელია, ფორმულის ბოლიდს ამერიკის მიწაზე „ფეხი არ დაუდგამს"

# ამერიკამ ფორმულა დაიბრუნა

**ხვალინდელი** ეტაპი ტომარაში გამომწყვდეული კატასავითაა — არ იცი, გახსნისას რა ხიფათი გელის. მთელ დუნიაზე უძველესი, ინდიანაპოლისის ავტოდრომი პირველად მასპინძლობს სამეფო რბოლებს.

უმარტივესი პროფილის, მხოლოდ ოთხვირაჟიან „ოვალს" საფორმულო ნორმებისთვის მოსარგებად ძირფესვიანად ეცვალა სახე და ძალიანაც გართულდა — ოთხი კილომეტრის სიგრძის წრეზე 13 მოსახვევი გაჩნდა. ძნელი სათქმელია, როგორ „მოიქცევა" მათგან უმთავრესი, სასტარტო სწორის ბოლოში „ჩასაფრებული" პირველი მართკუთხა ვირაჟი, რადგან მისი სიმწვავე ჯერ მხოლოდ თეორიულადაა გათვლილი და საქმეში ხვალ გამოიცდება. სწორედ იქაა მოსალოდნელი დიდი შეხლა-შემოხლა, განსაკუთრებით პირველ წრეზე, როცა 22 დაფეთებული ბოლიდი 300 კმ/სთ სიჩქარით ერთდროულად ეცდება გასწრებას და უკეთესი პოზიციის დაკავებას. მრბოლებს იმ ვერაგი მოსახვევის შემდეგ თითქმის ორკილომეტრიანი ჩახლართული მონაკვეთი ელით, მერე კი ისევ ოვალზე ამოჩნდებიან 200 000 მაყურებლის თვალწინ. ასეთ დასწრებას ვარაუდობს შტატებში ფორმულის დაბრუნების ორგანიზატორი, ინდიანაპოლისის ავტოდრომის მფლობელი ტონი ჯორჯი. ეს რაოდენობა გიგანტური, გინესის წიგნში შესული ტრიბუნების ტევადობის მხოლოდ ნახევარია, თუმცა სამეფო რბოლებისთვის მაინც სარეკორდო მაჩვენებელი იქნება.

ჯორჯის ოპონენტთა აზრით, „ოვალის" 500-მილიან მარათონზე „გაზრდილი" ამერიკელები ახალი სეირის საცქერლად თავპირისმტვრევით სულაც არ გაიქცევიან, მით უფრო, რომ არც ერთი მათი თანამემამულე არაა მონაწილეთა შორის.

ინდი 500-ის შედეგები 50-იან წლებში კი შედიოდა ფორმულის ჩემპიონატის ჩათვლაში, მაგრამ ეს სიმბოლური ფაქტი გახლდათ, რადგან „ოვალზე" მხოლოდ ადგილობრივი მრბოლები ასპარეზობდნენ მკვეთრად განსხვავებული მანქანებით, თანაც ორჯერ უფრო გრძელ დისტანციაზე. ერთი სიტყვით, არც ევროპელები და არც იანკები ოკეანის გაღმა-გამოღმა სიარულით თავს არ იწუხებდნენ.

აშშ-ის პირველი დიდი პრიზი 1959 წელს ფლორიდაში, „სებრინგის" 8 300-მეტრიან წრეზე გათამაშდა. ისტორიული ეტაპი ახალზელანდიელმა ბრიუს მაკლარენმა („კუპერ-კლიმა") მოიგო. შტატებში ფორმულა 1 იმხანად ისეთი პოპულარული იყო, რომ ზოგჯერ სეზონში ორი-სამი რაუნდიც კი ეწყობოდა. მაგრამ, მიზეზთა გამო, ინტერესი თანდათან განელდა. უკანასკნელი რბოლა 1991 წელს ფინიქსში, „აისბერგად" წოდებულ ტრასაზე გაიმართა. გამარჯვება ლეგენდარულ აირტონ სენას („მაკლარენი") დარჩა. სწორედ ბრაზილიელმა „ჯადოქარმა" მოიპოვა ყველაზე მეტი — ხუთი ამერიკული პრიზი.

იმ ბოლო ეტაპზე შედგა 22 წლის მიკა ჰაკინენის დებიუტი, თუმც საკმაოდ უიღბლო — მისმა „ლოტუსმა" ფინიშამდე ვერ მიაღწია.

წლევანდელი ჩემპიონატის ლიდერი ჰაკინენი და მისი უმთავრესი კონკურენტი მიხაელ შუმახერი ხვალ 143-ედ გავლენ სტარტზე. ფინელის ორქულიანი უპირატესობა, ცხადია, ბევრს არაფერს ნიშნავს და დარჩენილ სამ რბოლაში ცხარე ბრძოლაა მოსალოდნელი. წინასწარ ძნელი სათქმელია, ვინ მიაღწევს წარმატებას ახალ ტრასაზე, თუმცა, სინოპტიკოსების ვარაუდით, კვირას ინდიანაპოლისში თავსხმაა მოსალოდნელი. წვიმა კი, როგორც ცნობილია, შუმის წისქვილზე ასხამს წყალს.

**ირაკლი ნიკოლაძე**





მარტო მიხაელ შუმახერს კი არა, საცოდავი მეხანძრის სიკვდილმა და დაკრძალვამ ფორმულა 1-ში მოტრიალე ბევრ ადამიანს, ცნობილსაც და უცნობსაც დაუმძიმა გული

# რა ჩიტის გული გქონია...

**მიხაელ შუმახერი** რობოტი არ არის. იტალიის გრან პრის დასრულების შემდეგ ამაში დარწმუნდა ყველა, გერმანელის მტერიც და მოყვარეც. მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი, რომელსაც ბევრი გულქვა, კაცთმოძულე ადამიანად მიიჩნევს, პრესკონფერენციაზე ბავშვივით გულამომჯდარი აზლუქუნდა და თავისი საქციელით მარტო გვერდზე მჯდომ მთავარ კონკურენტს, მიკა ჰაკინენსა და იქ მყოფ ჟურნალისტებს კი არა, ფორმულა 1-ის უამრავ გულშემატკივარს დაალებინა პირი.

მოგვიანებით, იტალიურ გაზეთ „კორიერო დელო სპორტისთვის" მიცემულ ინტერვიუში შუმიმ კიდევ ერთხელ გააკვირვა ყველა. მონცაზე მომსახურე მეხანძრის, პაოლო ჯილიმბერტის ტრაგიკული დაღუპვის შემდეგ შუმახერს თურმე ერთი ხანობა სპორტიდან წასვლაც დაუპირებია: „მძიმე მომენტებში მუდამ ამაზე ვფიქრობ. ასე დამემართა აირტონ სენას გარდაცვალების შემდეგაც. განცდები შეიძლება ერთ წუთს, კვირას ან მთელ თვეს გაგყვეს, მაგრამ მე მაინც ვაგრძელებ მუშაობას, რადგან ეს არის ჩემი საქმე: საქმე, რომელიც დიდ სიამოვნებას მანიჭებს".

შუმის საქმენი კი ამჟამად ასეა: მას „ფერარისთან" კონტრაქტი 2002 წელს უმთავრდება, თუმცა გუნდის სპორტული დირექტორის, ჟან ტოდტის აზრით, გერმანელი ამის შემდეგაც იქ დარჩება: „მიხაელი „ფერარიში" ისე გრძნობს თავს, როგორც შინ. ეს უფრო მთავარია, ვიდრე შედეგები. ჩვენ კიდევ მრავალი წელი ვითანამშრომლებთ".

თუმცა ყველაფერი, ალბათ, იმაზე იქნება დამოკიდებული, მოიგებს თუ არა ბოლოს და ბოლოს შუმი იტალიელებთან ერთად მსოფლიოს ჩემპიონატს. „ფერარი" ამას უკვე 21 წელია, ელის, თავის მხრივ, ცხადია, გერმანელსაც ძალიან უნდა, თავის კოლექციას მესამე ტიტული შემატოს.

**ბაჩა არჯევანიძე**

# მონტოია უილიამსის კაცია

„უილიამსმა" ოფიციალურად დაადასტურა, რომ 25 წლის ხუან პაბლო მონტოია მისი კაცია. კოლუმბიელი მომავალი სეზონიდან რალფ შუმახერის პარტნიორი იქნება და ფრენკ უილიამსის ბოლიდით ფორმულაში ირბოლებს. „კარტში" მონტოიას შეფმა, ჩიპ გენესიმ მრბოლს წარმატება უსურვა და გაუშვა. კოლუმბიელი შეცვლის ბრიტანელ ჯენსონ ბატონს, რომელიც თავის მხრივ „ბენეტონში" გადადის. მონტოიას კონტრაქტი ორწლიანია. იგი საერთოდ „უილიამსის" ბოლიდების ხამი არ გახლავთ. სამი წლის წინ ბარსელონაში, „კატალუნიას" ავტოდრომზე გამართულ ტესტებზე მონტოია პირველად მიუჯდა „უილიამსის" საჭეს და ამერიკაში წასვლამდე 8000 კილომეტრი გაიარა. კოლუმბიელი ფორმულაში გადასვლით კმაყოფილია. „ავტორბოლათა უკეთ შეცნობის საქმეში ფორმულა წინწადგმული ნაბიჯია" — ამბობს ხუან პაბლო და ემშვიდობება ამერიკის კონტინენტს, სადაც დიდებული კვალი დატოვა: „კარტის" შარშანდელი ჩემპიონატი მოიგო, წლეულს კი იანკთა „სათაყვანებელი" ინდიანაპოლისის ტრასაზეც მოწინავე იყო. იმ ტრასაზე, სადაც ხვალ ფორმულის მორიგი ეტაპი შედგება.


**„55-ე სკოლა"**

გთავაზობთ გახანგრძლივებულ კლასგარეშე მომსახურებას I, II, III და IV კლასებისთვის. სათანადო დარგის კვალიფიციური პედაგოგები ძალღონეს არ დაიშურებენ, რათა ბავშვები დაახლოვონ ხელოვნების, მუსიკისა და ლიტერატურის საფუძვლებს; სურვილის მიხედვით ამეცადინონ ინგლისურ და/ან რუსულ ენებში, დაეხმარონ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის დავალებების დაძლევაში.

პატარები ისწავლიან ხელოვნების ისტორიის საწყის კურსს ლეგენდების თუ მითოლოგიის სახით. შესაძლებელია ანიმაციური ფილმის სპეციფიკის შესწავლა დაწყებით ეტაპზე. მსურველებს მიეცემათ საშუალება მონაწილეობა მიიღონ სატელევიზიო საბავშვო გადაცემაში „ჩიპო"

ცნობებისათვის დარეკეთ: 99 79 03 ლელა ჭავჭანიძე

**იყიდება ან ქირავდება**

შეღავათიან ფასში, ერთოთახიანი იზოლირებული ბინა სარაჯიშვილის მეტროსთან, ბუნებრივი აირით და ტელეფონით

ტელ: 60-21-23



# ჩვიდმეტი ლელო ერთ მოედანზე



ლოკომოტიველი ჭიბლაძე არმიულ მარწუხებში

| მესამე წრე. IV ტური<br>თბილისი<br>21 სექტემბერი |
|---|
| **ყოჩები 21:19 (13:0) უნივერსიტეტი** |

ყოჩები: ფირიაშვილი, ხოსროშვილი, კიკუაშვილი (ცხვედიანი), ხურცილავა, თედორაძე, გიგაური (ჩაკვეტაძე), გ. ხაბეიშვილი, კობახიძე, გიორხელიძე, ლიპარტელიანი (ხელაძე), კ. მხეიძე, შარაშენიძე (იმნაძე), კაჭარავა, ნ. მხეიძე, კობერიძე
2ლ — კიკუაშვილი, გიორხელიძე
3ს — კობახიძე (3), 1გ — კობახიძე
უნივერსიტეტი: წიკლაური, კუთარაშვილი, სანაძე (ჯალაღონია), ავსაჯანიშვილი, დ. ჩქარეული (ალიბეგაშვილი), მჭედლიშვილი, გუნდიშვილი, გ. ჩქარეული, კიზირია, დანელია, მოდებაძე, ო. ელოშვილი, მჟავანაძე, ბარამიძე, კ. ელოშვილი, ჭუმბურიძე (ჯაში)
3ლ — ავსაჯანიშვილი, ალიბეგაშვილი, ო. ელოშვილი
2გ — მოდებაძე (2)
მსაჯი: ნ. რობიტაშვილი
მეთვალყურე: მ. რობიტაშვილი

| მესამე წრე. IV ტური<br>თბილისი<br>21 სექტემბერი |
|---|
| **ლოკომოტივი 1 50:26 (26:0) ასკ** |

ლოკომოტივი 1: ჭელიძე, ჯაველიძე, ჩადუნელი, კახიანი, მოგელაძე (ცხომელიძე), გომიაშვილი (ჭიბლაძე), სუჯაშვილი, უდესიანი, ჯანაშია (მათიაშვილი), სარიშვილი, ბუგიანიშვილი, ცხადაია, ალანია (ჩაჩუა), ძნელაძე, ასათიანი
8ლ — კახიანი (2), ასათიანი, ცხადაია, ბუგიანიშვილი (2), უდესიანი, მათიაშვილი
5გ — ძნელაძე (5)
ასკ: ქავთარაძე, სუჯაშვილი, ზირაქიშვილი (ივანიშვილი), ჭელიძე, ანდრიასოვი, სვანიძე, ცხადაძე, უჩავა (ორდენიძე), სამხარაძე, აბუსერიძე, ენუქიძე, მაღრაძე, კაპანაძე (ლ. მგელაძე), პინჩუკოვი, სულთანიშვილი
4ლ — აბუსერიძე (2), მგელაძე, სუჯაშვილი
3გ — ანდრიასოვი (3)
მსაჯი: გ. ბაბუნაშვილი
მეთვალყურე: მ. კოროშინაძე

**რა** შეიძლება იფიქროს კაცმა, როდესაც შარშანდელი ვიცე-ჩემპიონი და წლევანდელი ჩემპიონატის წინ ფავორიტად მიჩნეული „ყოჩები“ მაჩანჩალა „უნივერსიტეტს“ რის ვაი-ვაგლახით ამარცხებს? პასუხი, სამწუხაროდ, იოლია: დღევანდელი „ყოჩები“ ერთხან მრისხანე გუნდის აჩრდილიღაა. თუმც პლეი-ოფამდე საკმაო დროა ხარვეზთა გასასწორებლად. ეს ყველაფერი ყოჩების მთავარმა მწვრთნელმა მალხაზ ჭეიშვილმა სხვებზე კარგად უწყის და იმედია, ახალგაზრდობისგან ბრძოლისუნარიან და ძლიერ გუნდს ჩამოაყალიბებს.

ამ მატჩში მასპინძლებს გამარჯვება თითქოს არ უნდა გასჭირვებოდათ, მაგრამ ამჟამად უმოტივაციო „უნივერსიტეტმა“ გაცილებით ძლიერ მეტოქეს უშელავათო ბრძოლა გაუჩაღა, შეხვედრის ბოლო წუთზე კი სტუდენტ მოდებაძეს საჯარიმო დარტყმით რომ ეხეირა, თავის გუნდს ამ ჩემპიონატში პირველ და სენსაციურ გამარჯვებას მოუტანდა. მაგრამ ქარმა ბურთს მიმართულება შეუცვალა და ყოჩთა ნადავლი გახადა.

მატჩი კი ისე დაიწყო, როგორც მოსალოდნელი იყო — „ყოჩების“ შეტევებით. დასაწყისშივე კიკუაშვილმა პირველი ლელო გაიტანა. კახა კობახიძემ ზუსტად გარდასახა. ამის შემდეგ უნივერსიტეტელები გააქტიურდნენ. ერთხელ სახეირო კომბინაცია წამოიწყეს, მაგრამ ამ შეტევას შედეგიანად დასრულება არ ეწერა: სტუდენტთა ფრთას, ოთარ ელოშვილს ბურთი წინ გაუვარდა და მსაჯის სასტვენმაც არ დააყოვნა. ყოჩებმა თითქოს იგრძნეს მოახლოებული საფრთხე და გამოცოცხლებულ მეტოქეს კობახიძის ორი საჯარიმო დარტყმით უპასუხეს. ტაიმიც ასე დასრულდა — 13:0.

მეორე ნახევარი დაიწყო, ყველა მასპინძელთა გააფთრებულ შეტევებს ელოდა, მაგრამ პირიქით კი მოხდა. ჯერ ალიბეგაშვილმა, მერე ოთარ ელოშვილმა დაალელოვეს „ყოჩები“, მოდებაძემ მხოლოდ ერთი გარდასახა და ანგარიშში სხვაობა მინიმუმამდე შემცირდა 13:12. „უნივერსიტეტს“ მატჩის გადარჩენის იმედი მიეცა, დამრტყმელმა მოდებაძემ არეკნით სცადა გატანა, მაგრამ ბურთმა ძელს სანტიმეტრით ჩაუქროლა. ამის შემდეგ „ყოჩებმა“ გამოიღეს ხელი. კობახიძე საჯარიმოდან კვლავ ზუსტია, გიორხელიძე „უნივერსიტეტის“ სალელოე მოედანში შეღწევას ახერხებს და თითქოს გამარჯვებულის ვინაობა ცნობილია, მაგრამ მეტოქესთან უხეშობის გამო მსაჯმა ყოჩი თედორაძე დასაჯა, ათი წუთით გააძევა, რაც კარგად გამოიყენა სტუდენტმა ავსაჯანიშვილმა და კაცნაკლულ მასპინძლებს ლელო გაუტანა. მოდებაძემ გარდასახა — 21:19. მატჩი მთავრდებოდა, მსაჯის მიერ დამატებული დროის ბოლო წუთიც იწურებოდა, როცა ყოჩები მოედნის ცენტრში დაჯარიმდნენ. მოდებაძე დასარტყმელად მოემზადა, უნივერსიტეტის მეათე ნომერს ასეთი მანძილიდან ადრეც გაუტანია, ახლაც გაიტანდა, მაგრამ ქარმა შეუშალა ხელი.

ამ მატჩის შემდეგ ერთმანეთს ლოკომოტივი 1 და ასკ დაუპირისპირდნენ. რკინიგზელებს დისკვალიფიცირებული ანდღულაძე და გუგავა აკლდათ, თუმც ამ გარემოებას მათთვის ხელი არ შეუშლია. აქედანვე ვიტყვით, რომ მატჩი საკმაოდ ლამაზი და საინტერესო გამოდგა. საწყის წუთებში თანაბარი ბრძოლა გაჩაღდა, მაგრამ ნელ-ნელა „ლოკომოტივის“ უპირატესობა გამოიკვეთა, რაც მეტოქეს ოთხ გაშვებულ ლელოდ დაუჯდა. რკინიგზელებმა შეხვედრის პირველ ნახევარშივე გაინაღდეს გამარჯვება და პრემიალური ქულაც მიითვალეს. მეორე ტაიმში კი მასპინძელთა მწვრთნელმა თემურ ბენდიაშვილმა რამდენიმე ძირითადი მობურთალი დაასვენა და ინერციითღა მიმდინარე მატჩში სათადარიგონი ჩართო. ამ ცვლილებებს თამაშის სურათი მნიშვნელოვნად არ შეუცვლია, რკინიგზელებმა საფინალო სასტვენამდე შეინარჩუნეს უპირატესობა. ეგაა, არმიელებს პრემიალური ქულის მოპოვების შესაძლებლობა მისცეს. ის კი, რაც ასკ-ს ექსმწვრთნელმა ლევან მგელაძემ მოიმოქმედა, ნამდვილად აღნიშვნის ღირსია. შეცვლაზე შესულმა ვეტერანმა, რომელმაც უკვე ორმოცს გადააბიჯა, „ლოკომოტივი 1-ის“ მცველთან ჭიდილში ბურთი მეტოქის სალელოე მოედანში დადო. ასეთი რამ მგელაძემ დათვებთან მატჩშიც გააკეთა, მაგრამ მაშინ მსაჯმა წესების დარღვევა დააფიქსირა. ამჯერად ყველაფერი რიგზე იყო.

**ბაჩო სვანიძე**

**სატურნირო ვითარება**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | პ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| დათვები | 11 | 9 | 0 | 2 | 214-115 | 6 | 42 |
| ლოკომოტივი 1 | 10 | 9 | 0 | 1 | 234-136 | 3 | 39 |
| ყოჩები | 10 | 5 | 0 | 5 | 189-204 | 1 | 21 |
| ასკ | 12 | 3 | 1 | 8 | 175-242 | 1 | 13 |
| უნივერსიტეტი | 11 | 0 | 1 | 10 | 146-268 | 0 | 1 |

*პ — პრემიალური ქულა*
*ასკ-ს დაკლებული აქვს ერთი ქულა*



ყოჩებმა უნივერსიტეტელი ავსაჯანიშვილი ვერ შეაჩერეს და მისგან ლელოც მიიღეს



# საფრანგეთში ქართული ნიჭი მალე დაფასდა

**საქართველოს** მორაგბეთა ნაკრებს რომ ფრანგი მწვრთნელი კლოდ სორელი თავკაცობს, რაგბის ქომაგებს მშვენივრად მოეხსენებათ. ბატონი სორელი წლის განმავლობაში რამდენჯერმე ჩამოდის საქართველოში, დანარჩენ დროს კი ნაკრების კანდიდატებს საფრანგეთში აკვირდება. „ბორჯღალოსანთა“ უმეტესობა ხომ იქ თამაშობს, ზოგი ელიტ A-ში, ზოგი კი ქვედა დივიზიონებში. კლოდ სორელი ყოველთვის სასიამოვნო და გულღია მოსაუბრეა და როდესაც გავიგეთ, რომ იგი თბილისში ჩამოვიდა, უმალ გადავწყვიტეთ მასთან შეხვედრა. ჩვეულებისამებრ, ბატონი სორელი დაუზარელად დაგვთანხმდა ინტერვიუზე.

**— ბატონო კლოდ, საქართველოში ეს სტუმრობა რა კონკრეტულ მიზნებს ისახავს?**

— ჩემი ვიზიტი ჩვეულებრივი, სამუშაოა. საქართველოს ჩემპიონატის მონაწილე გუნდების მწვრთნელებს რჩევებით უნდა დავეხმარო, განსაკუთრებულ ყურადღებას რაგბის ახალ წესებზე გავამახვილებ. გარდა ამისა, მინდა, ახალგაზრდული ნაკრების მზადების გეგმა დავსახოთ. თანაც რამდენიმე მატჩს დავესწრები, რათა ეროვნული ნაკრების პოტენციურ კანდიდატებს დავაკვირდე. მათ შესახებ მუდმივად უნდა მქონდეს სრული ინფორმაცია, ვინ როგორ ფორმაშია, პროგრესირებს თუ არა... შეიძლება რომელიმე მათგანი უკვე გაიზარდა იმ დონემდე, რომ სხვა ქვეყნის ჩემპიონატში გადავიდეს და დაოსტატება იქ განაგრძოს.

**— ვინმეს ტრანსფერი ხომ არაა მოსალოდნელი უახლოეს მომავალში?**

— სავსებით შესაძლებელია. ფრანგული კლუბები დარწმუნდნენ, რომ ქართველები ძალიან ნიჭიერი მორაგბეები არიან და მათ მიზიდვას ცდილობენ. თუმცა, რა თქმა უნდა, ყველას მაშინვე არ უფორმდება კონტრაქტი. ზოგს გამოსაცდელ ვადას აძლევენ, მაგრამ არიან ისეთებიც, რომლებსაც ულაპარაკოდ რიცხავენ თავიანთ შემადგენლობაში. ახლა კობახიძის თაობაზე ერთ გუნდთან შეთანხმებული ვიყავი, მაგრამ თვითონ მორაგბემ არ ისურვა წასვლა. ზოგი ოჯახს ვერ ტოვებს. თუმცა აბუსერიძე და ვართანიანი ალბათ მალე გადავლენ საფრანგეთში, შედარებით სუსტ გუნდებში, მაგრამ აქაურ ჩემპიონატს მაინც აჯობებს.

**— ქართველ ლეგიონერებს თუ აკვირდებით მუდმივად?**

— რა თქმა უნდა. მათ მწვრთნელებთანაც მუდმივი კავშირი მაქვს და ლეგიონერების შესახებ ამომწურავ ინფორმაციას ვფლობ. თამაშებსაც ხშირად ვესწრები. კარგია, საფრანგეთში რომ თამაშობენ. ამით ისინი ძალიან ძლიერდებიან. დღეში ორ-სამჯერ ვარჯიში, ბრწყინვალე პირობები, მშვენიერი სტადიონები, ტრენაჟორები... თანაც კარგი დონის შეჯიბრში გამოდიან და პროგრესი ამასაც მოაქვს. საფრანგეთში ქართული ნიჭი მალე დაფასდა. ახლა ქართველ ლეგიონერთა უმეტესობა თავისი გუნდის ძირითადი შემადგენლობის უცვლელი წევრია, დანარჩენები სისტემატურად თამაშობენ შეცვლებზე. ყველაზე მეტად ზედგენიძემ მოუმატა, იგი მალე მსოფლიო დონის მორაგბე გახდება. სხვებიც ანგარიშგასაწევ ძალას წარმოადგენენ თავიანთი კლუბებისთვის. ახალი იდეაც გამიჩნდა: ზოგიერთი ქართველი 13-კაცა რაგბის გუნდებშიც უნდა გავუშვა.

**— იქ დასარჩენად თუ მხოლოდ დაცვაში თამაშის დასახვეწად?**

— არა, ისინი რამდენიმე თვეში დაუბრუნდებიან ჩვეულებრივ რაგბის. უბრალოდ, 13-კაცაში მორაგბე დაცვით თამაშში ძალიან იწრთობა, რაც საქართველოს ნაკრებს ერთობ წაადგება.

**— რაკი საქართველოს ნაკრები ახსენეთ, მის ერთ-ერთ ყოფილ წევრზეც მინდა გკითხოთ. მალხაზ ურჯუკაშვილის სამუდამო დისკვალიფიკაციის ამბავს გაიგებდით...**

— ძალიან მეწყინა. იგი ნიჭიერი მორაგბეა, თუმცა მისი საქციელი დაგმობის ღირსია. საქართველოს ნაკრებში მე დისციპლინა მჭირდება. ასევე უნდა იყოს ყველა გუნდში. მოედანზე ჩხუბიც შეიძლება მოხდეს, მაგრამ ყველაფერს თავისი საზღვარი აქვს. თუმცა მისი სასჯელი მაინც ერთობ მკაცრია. მიზანი ადამიანის გამოსწორება უნდა იყოს და არა მისი მოკვეთა. შექმნილი სიტუაციიდან გამოსავალი უნდა არსებობდეს.

**— ქართული რაგბის ხელმძღვანელებს თუ ელაპარაკეთ ამის შესახებ?**

— რა საჭიროა ზედმეტი სიტყვები. ბატონმა ბიძინა გეგიძემ მშვენივრად იცის ჩემი აზრი. მე ვთვლი, რომ ურჯუკაშვილი უკვე საკმაოდ დაისაჯა. მისი საფრანგეთში გადასვლა ფაქტობრივად გადაწყვეტილი იყო და ჩაიშალა, საშვიდკაცო ნაკრებს ისრაელში ვერ გაჰყვა. ვგონებ, საკმარისია.

**— დავუბრუნდეთ ნაკრებს. ისრაელის ტურნირზე რას გვეტყოდით?**

— საშუალო დონის შეჯიბრი იყო, თუმცა ეს ჩვენს გამარჯვებას არ აკნინებს. ფინალი კი ძალიან დაძაბული გამოდგა. შტატებს საუკეთესო ნაკრები ჰყავდა, რომელშიც თითო-თითო ნატურალიზებული ფიჯელი, ტონგელი და სამოელიც თამაშობდა.

**— იანვარში არგენტინის მსოფლიოს ჩემპიონატზე რა შანსი გვაქვს?**

— ძნელი მატჩები გვექნება. ოცნებას თუ მივეცემი, მეოთხედფინალში გასვლაც შეიძლება, რაც უდიდესი წარმატება იქნება საქართველოსთვის.

**— მანამდე კი მსოფლიო სერია იწყება...**

— შარშანდელისგან განსხვავებით, ამ სეზონში უკვე ხუთ ტურნირზე გვაქვს ოფიციალური მიწვევა. დურბანის, დუბაის და პარიზის გარდა, ამჯერად ლონდონსა და ჰონკონგშიც გამოვალთ. იმედია, უკეთესი შედეგი გვექნება.

**გაიოზ თალაკვაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა



ქართულად დასაჩუქრებული ვიქტორ სანეევი




ვიქტორ სანეევს საუკუნის სპორტსმენი ვაჟის კუთვნილი ჯილდოები საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის პრეზიდენტმა ელგუჯა ბერიშვილმა გადასცა

# ზეიმი სოფლის კლუბში

ოლიმპიურ სოფელში 199 ქვეყნის დროშა ფრიალებს. ეს იმას ნიშნავს, რომ აქ სწორედ ამდენი კომლი ცხოვრობს. ყველაზე მრავალრიცხოვანი ოჯახი ავსტრალიელებს ჰყავთ. ისინი 1029 კაცს ითვლიან. მეორე ადგილზე არიან 1008-კაციანი დელეგაციით ჩამოსული ამერიკელები. მათ მოჰყვებიან რუსები (762) და გერმანელები (711)... ყველაზე ცოტანი არიან პალესტინელები და იემენელები, რომლებსაც 4-5 კაცისთვის ძლივს მოუყრიათ თავი.

საქართველოს სოფელში ჰყავს 65 კაცი, რომელთაგან 36 სპორტსმენია, დანარჩენნი კი არიან მწვრთნელები, სამედიცინო პერსონალი, ოფიციალური პირები...

ქართველებს პირველი დიდი სიხარული, მოგეხსენებათ, მოუტანა ძიუდოისტმა გიორგი ვაზაგაშვილმა, ვინც ბრინჯაო შეგვძინა. სოფლის კლუბში ესეც აღნიშნეს და სხვა ცერემონიალიც გაიმართა. ეს ამბავი საყოველთაოდ ქართული გამოდგა, რადგან კლუბში თავი მოიყარეს არამხოლოდ ჩვენი დელეგაციის წევრებმა, არამედ იმ ქართველებმაც, შორს რომ გადახვეწილან და ახლა უცხოელთა ამალაში არიან. მათ შორის იყვნენ ოლიმპიური ჩემპიონი, აწ ქუვეითელ მოფარიკავეთა მწვრთნელი ვლადიმერ აფციაური, რუსეთის წყალბურთელთა ნაკრების წევრი რევაზ ჩომახიძე, თურქთა სახელით მოკრივე აკაკი კაკაურიძე...

სიდნეიში მყოფ ქართველებს თავშეყრის მიზეზი რომ არ გვქონოდა, იგი უნდა გამოგვეგონა, მაგრამ ეს არ დაგვჭირდა, რადგან ამის საბაბი საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა რეფერენდუმის შედეგებმა მოგვცაო, თქვა სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის პრეზიდენტმა ელგუჯა ბერიშვილმა, რომელიც საქართველოს დელეგაციის პრესატაშე გახლავთ.

იმ რეფერენდუმმა, რომელმაც ჩვენი ქვეყნის XX საუკუნის საუკეთესო სპორტსმენი ვაჟიც გამოავლინა, ასეთი პატივი, გეხსომებათ, არგუნა სამგზის ოლიმპიურ ჩემპიონ ვიქტორ სანეევს, რომელიც შარშან რეფერენდუმის შემაჯამებელ საზეიმო საღამოს, სამწუხაროდ, ვერ დაესწრო. ახლა იმ საღამოზე გადასაცემი პრიზი ელგუჯა ბერიშვილმა ვიქტორ სანეევს სიდნეიში აახლა და სოფლის კლუბში საზეიმოდ გადასცა. იქვე საქართველოს სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარე კახი ასათიანმა ვიქტორ სანეევს გადასცა ვახტანგ გორგასლის მეორე ხარისხის ორდენი, სეოკ-ის გენერალურმა მდივანმა ემზარ ზენაიშვილმა კი საქართველოს ოლიმპიური კომიტეტის საიუბილეო მედალი.

საღამო, როგორც ამგვარ დღეს შეშვენის, დასრულდა ალა ფურშეტით და ჩვენებური სადღეგრძელოებით.

**ავთანდილ გურასაშვილი სიდნეიდან**
**ავტორის ფოტოები**



# გაფრინდაშვილი, პლატინი და ფოტო ფოტოში



ათასობით ფოტოაპარატთაგან, სიდნეის ოლიმპიადის ფრაგმენტებს რომ დასაჭერად დასდევენ, ჩვენებურისა, სარბიელელ ავთანდილ გურასაშვილისაც არის. იგი უპირველესად დიდ სიდნეურ ამბებში მოტრიალე ქართველებს წარმოაჩენს. აი, მისი კიდევ ორი ნამუშაკარიც: მარცხნივ ორი დიდი სპორტსმენის ნონა გაფრინდაშვილის და მიშელ პლატინის ტკბილღიმილიანი დიალოგი ჩანს, მარჯვნივ ბერძნულ-რომაულად მოჭიდავეთა ჩვენი ნაკრების მწვრთნელი ბეგი დარჩიაა ოლიმპიადის გახსნის ფოტო-გიგანტით ხელში.




**სარბიელი**
**სპორტული გაზეთი**
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ზურაბ მეძველია
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორაშვილი
კალათბურთის რედაქციის რედაქტორი მერაბ რატიშვილი
**ფეხბურთის რედაქცია.** ვახტანგ ბზიკაძე, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ვანო ოქროპირიძე; **ინფორმაციის რედაქცია** გია ახალაძე, ილია ბაბუნაშვილი, დავით გულუა, ავთანდილ გურასაშვილი, ირაკლი თავაძე, ავთანდილ სვანიძე; **კალათბურთის რედაქცია** გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, ირაკლი ფირაშვილი **კორესპონდენტი ქუთაისში** იუზა კაციტაძე **ფოტორეპორტიორები** გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე **სტილისტები** მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი **კომპიუტერული ცენტრი** ლია ბესელია, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, ნინო კედელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ნინო ყუფუნია, თინათინ შიოლაშვილი, გიორგი ხარატიშვილი, გურამ ხელაშვილი
**გამომშვები** ზურაბ ინაშვილი



**რედაქციის მისამართი:**
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@iberiapac.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge